

# ქალადობა ოჯახში

გზამკვლევი ჯანდაცვის სისტემის  
თანამშრომლებისთვის



პოლიცენტის დაბაზირება



HumanDoc

## **ავტორები:**

ბარბარა ლემინსკა (პოლონეთი),  
რუსევდან პაჭკორია (საქართველო)  
გაბრეინე თავართქილაძე (საქართველო)

## **სარედაქციო ჯგუფი:**

სტანისლავ ბრუნდოს, მეგი ბიბილური,

## **თარგმანი:**

სალომე ხინიკაძე

## **დიზაინერი:**

შალვა მურადაშვილი

საქართველო 2020

გამოცემა მოამზადა ფონდმა „ჰუმანდოკმა“ HumanDoc Fundation (პოლონეთი) პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში.



პარტნიორები საქართველოში:  
ასოციაცია „მერკური“, გულტურულ ჰუმანიტარული ცენტრი „სოსუმი“,  
მეგობრობის ხიდი - „ქართლესი“



წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდი „ჰუმანდოკის“ (Fundation HumanDoc), ან მისი რომელიმე პარტნიორი თრგანიზაციის, ასევე პოლონეთის მთავრობის მოსაზრებებს.

გამოცემა მომზადა ფონდმა „ჰუმანდოკმა“ HumanDoc Fundation (პოლონეთი). ასლიცია, „მერკურის“, კულტურულ ჰუმანიტარული ცენტრი „სოხუმის“ და მეგობრობის ხიდი - „ქართლოსის“ (საქართველო) ერთობლივი პროექტის „ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სისტემის ხელშეწყობა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვა საქართველოში“ ფარგლებში.

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

© გამოცემა „ძალადობა ოჯახში გზამეცნიერების სისტემის თანამშრომლებისთვის“ ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution 4.0 საერთაშორისო სააგენტო ლიცენზით. ზემოხსენებულიდან გამომდინარე დაცულია HumanDoc Foundation-ს უფლებები. 2020 წელს პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნა, რომლის წყალობით შეიქმნა სენებული პუბლიკაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, პუბლიკის გამოყენება იქნება ნებადართულია მხოლოდ იმ პირობით, თუ ზემოხსენებული ინფორმაცია, მათ შორის, გამოყენებული ლიცენზის და სააგენტო უფლებების შესახებ იქნება გამოქვეყნებული.

© ფონდი ჰუმანდოკის (Fundation HumanDoc) 2020

[www.HumanDoc.pl](http://www.HumanDoc.pl)  
[www.HumanDoc.ge](http://www.HumanDoc.ge)

## სარჩევი

წინასიტყვაობა	5
<b>I. ძალადობა ოჯახში - ზოგადი ინფორმაცია</b>	<b>6</b>
ოჯახში ძალადობის განმარტება	6
ძალაუფლების უპირატესობა	8
ძალადობის სახეები	10
ოჯახში ძალადობის მქანიზმი	12
ოჯახში ძალადობის ციკლი	13
ვინ არის მოძალადე? ვინ არის მსხვერპლი?	15
ქალთა მიმართ ძალადობა	17
როგორ ამოვიცნოთ ძალადობა ქალთა მიმართ?	18
ბავშვის მიმართ ძალადობა	20
როგორ ამოვიცნოთ ბავშვის მიმართ ძალადობა?	21
<b>II. ბავშვთან ურთიერთობა</b>	<b>25</b>
როგორ წარვმართოთ ბავშვთან საუბარი	26
შეკითხვების ფორმები	27
ბაზისური წარმოდგენები ბავშვთა მიმართ	
სექსუალური ძალადობის შესახებ	37
<b>III. ოჯახში ძალადობა - სამედიცინო სისტემის</b>	
<b>თანამშრომლის როლი</b>	<b>47</b>
შესავალი	47
პაციენტი ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის	
მსხვერპლია: ექიმთან კონტაქტი	50
ჯანმრთელობის საკითხები ძალადობის მსხვერპლ ქალებში	53
რატომ არ ეკითხებიან ექიმები ოჯახში ძალადობის	
შესახებ?	55
როგორ გავარკვიოთ, ნამდვილად ძალადობასთან	
გვაქვს საქმე თუ არა?	57
განსაკუთრებული სიტუაციები	57
როგორ გვითხოთ ძალადობაზე?	59

<b>ზუსტი სამედიცინო დოკუმენტაცია საუკეთესო დახმარებაა მსხვერპლისთვის</b>	61
ექიმის როლი ბავშვის ბოროტად გამოყენების ფენომენის შეცნობასა და წინააღმდეგობის გაწევის დროს	64
დამსმარე უნარები კომუნიკაციის დროს	68
ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დახმარება	72
ოჯახში ძალადობის პრევენციის პოლონური მოდელი - ინტერდისციპლინური სამუშაო ჯგუფი	76
<b>IV. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხები</b>	78
ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის განმარტება/ ცნება საერთაშორისო სამართლებრივ აქტებსა და საქართველოს კანონმდებლობაში	78
<b>V. დამატებითი მასალები</b>	98
ოჯახური სიტუაციის შეფასება ძალადობის მხრივ	98
უსაფრთხოების შეფასება	99
შეკითხვები ძალადობის ფორმებსა და ინტენსიურობაზე	100
მუხლი 126. 1. ოჯახში ძალადობა	103
მუხლი 133. უგანონო აბორტი	104
მუხლი 133. 1. სტერილური თანხმობის გარეშე	105
მუხლი 133. 2. ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება	105
მუხლი 137. გაუპატიურება	106
მუხლი 138. სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება	107
მუხლი 139. პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იმულება	108
მუხლი 140. სექსუალური ხასიათის შეღწევა თექსტები წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში	109
მუხლი 141. გარყევნილი ქმედება	110
მუხლი 150. 1. ქორწინების იმულება	110
მუხლი 151. მუქარა	111
მუხლი 151. 1. ადევნება	111

## წინასიტყვაობა

ფონდი ჰუმანდოკი (HumanDoc) საქართველოში უკვე ხუთი წელია მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ მთავრობას-თან და სხვა პარტნიორებთან, რათა მოგვარდეს მნიშვნელოვანი პრობლემები ოჯახში ძალადობის მიმართულებით და დაცული იყოს ბავშვთა და ქალთა უფლებები.

წინამდებარე გზამკვლევი განკუთვნილია ექიმების, ექთნებისა და ჯანდაცვის სისტემის წარმომადგენელთათვის, რომლებსაც უშუალო კონტაქტი აქვთ ოჯახში ძალადობის მსხვერპლ პაციენტებთან. გზამკვლევი წარმოადგენს სამართლებრივ რეგულაციებს და სიახლეებს ოჯახში ძალადობის მიმართულებით და პასუხობს ყველა იმ შეკითხვას, რომელიც ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ჯანდაცვის სისტემის თანამშრომლების პასუხისმგებლობას ეხება.

დიდი იმედი გვაქვს, რომ გზამკვლევი ბევრისათვის იქნება საინტერესო და საყურადღებო და ხელს შეუწყობს საქართველოში ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხოლო ექიმებისთვის იქნება დამატებითი საშუალება ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დასახმარებლად.

**ფონდი ჰუმანდოკი**

## I

## ძალადობა ოჯახში - ზოგადი ინფორმაცია

### ოჯახში ძალადობის განმარტება

ოჯახში ძალადობა პრიორიტეტულ პრობლემადაა მიჩნეული საქართველოში. 2006 წლიდან მოქმედებს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. კანონის არსებობის მანძილზე მასში შევიდა უამრავი ცვლილება, რომელიც აძლიერებს სხვადასხვა სტრუქტურის პასუხისმგებლობას, პრევენციულ და დაცვის მექანიზმებს. ერთ-ერთი უმთავრესი სახეცვლილებაა კანონის სახელწოდება - 2017 წლიდან ეს არის - საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.

ოჯახში/ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთას და პრევენციულ ღონისძიებებს ხელს უწყობს და ამყარებს საერთაშორისო დოკუმენტები. მათ შორის განსაკუთრებულია კონვენცია ქალის მიმართ დისკრიმინაციის კველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (საქართველოში ძალაშია 1999 წლიდან) და ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ კონვენცია („სტამბოლის კონვენცია“). „სტამბოლის კონვენცია“ ძალაში 2017 წლის პირველი სექტემბრიდან შევიდა და მისი რატიფიცირებით საქართველოს პარლამენტმა დაადასტურა, რომ ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის აღკვეთა ქვეყნისთვის პრიორიტეტულია.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის (25/05/2006) მიხედვით<sup>1</sup>,

---

<sup>1</sup> - საქართველოს კანონის „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“სრული ტექსტი იხილეთ დანართში №4

**ოჯახში ძალადობა** გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

**ქალთა მიმართ** ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისთვის დამახასიათებელ ნებისმიერ ქმედებას, რომელსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიერნება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.

საგულისხმოა, რომ კანონი მხოლოდ ძალადობის მსხვერპლ ქალებს არ იცავს. ის ეხება ოჯახის როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი სქესის წარმომადგენლებს, ასაკის მიუხედავად. კანონში მოცემულია ოჯახის იმ წევრების ჩამონათვალი, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედების ფარგლები. ესენია: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, შშვილებელი, შშვილებლის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, მმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდაჭერი, აგრეთვე, პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

პასუხს შეკითხვაზე, თუ რამდენად აქტუალურია საქართველოში ოჯახში ძალადობის პრობლემა, კოულობო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკაში. ოფიციალური ინფორმაცია ოჯახში მომხდარი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის, ასევე, პოლიციის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობის შესახებ მოცემულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე<sup>2</sup>.

2018 წელს პოლიციის მიერ გაიცა 7646 შემაკავებელი ორდერი, რომელიც დაამტკიცა სასამართლომ.

მოძალადეთა დიდი უმეტესობა მამრობითი სქესის წარმომადგენულია - 5671, მაშინ როცა ქალების რაოდენობა 954-ია. შესაბამისად, ძალადობის მსხვერპლი, უმთავრესად ქალია - 5875 (მამაკაცთა რაოდენობა 1018-ს შეადგენს).

### სტატისტიკა

2020 წლის იანვარ-მაისის მონაცემები

- პოლიციის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა: 4426 ორდერი;
  - სტატისტიკური მონაცემები სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ოჯახში მომხდარი დანაშაულისთვის:
- სულ მოხდა - 2171 შემთხვევა;  
გაიხსნა - 1340 შემთხვევაში (62%).

## ძალაუფლების უპირატესობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ორივე სქესის ადამიანი, მაგრამ სტატისტიკურად ყველაზე ხშირად ოჯახში ძალადობის მსხვერპლი არის ქალი. ამ მოვლენის ასახსნელად ძალიან მნიშვნელოვანია, გვესმოდეს ძალაუფლების უპირატესობის მოქმედების მექანიზმი.

მამაკაცი ყოველთვის ფიზიკურად უფრო ძლიერია ქალზე ან ხანში შესულ ადამიანზე, დიდია ბავშვზე. ეს ფიზიკური ძალა ხშირად ხდება ოჯახში დომინანტური მდგომარეობის მიღწევისა და ოჯახის სხვა წევრებზე კონტროლის დამყარების საშუალება. თუმცა, შესაძლებელია მოძალადის ძალაუფლება ემყარებოდეს სხვა უპირატესობებს და არა ფიზიკურ შესაძლებლობებს. ასეთ შემთხვევაში ქალი, ბავშვი და შეზღუდული შესაძლებლობების

მქონე პირიც კი შეიძლება იყოს ძალადობის ინიციატორი ოჯახის სხვა წევრების მიმართ. ძალადობის ინიციატორი იყენებს საკუთარ უპირატესობას (მაგალითად, მსხვერპლის ეკონომიკური დამოკიდებულება, ფსიქოემოციური დამოკიდებულება, შვილებით მანიპულირება და ა.შ.), რათა დაამყაროს კონტროლი ოჯახის წევრებზე.

ხშირად, როდესაც გვესმის სიტყვა „ძალადობა“, ჩვენ წარმოვიდგენთ ამ მოვლენის უკიდურეს გამოვლინებას: ცემას, გაუპატიურებას, მკვლელობას. მაგრამ, როგორც წესი, ყოველდღიური ძალადობის ტიპიური გამოვლინებაა: „მსუბუქი“ ფიზიკური ძალადობა (ჩქმეტა, პწენა, წიხლი, კინწისკვრა და ა.შ.), შეურაცხოფა, დამცირება, იგნორირება ან, პირიქით, ჰიპერმეურვეობა. ინგლისურენოვან ლიტერატურაში ასეთი მოვლენების არსის უფრო ზუსტად გამოსახატად გამოიყენება ტერმინი „აბუსე“ (პირდაპირ თარგმანში „ბოროტად გამოყენება“). ეს ტერმინი ხახს უსგამს ძალადობის საბოლოო მიზანს - პარტნიორზე ან ოჯახის სხვა წევრზე კონტროლის დამყარებას.

მნიშვნელოვანია, გავმიჯნოთ ერთმანეთისგან კონფლიქტი და ძალადობა. როდესაც ურთიერთობები აგებულია დაბრალებებსა თუ შეურაცხოფაზე, რა თქმა უნდა, ეს დამოკიდებულება ვერ შექმნის პოზიტიურ ურთიერთობას, შესაძლებელია ეს გამოიხატებოდეს ყვირილით ან მძაფრი ემოციების სხვა გამოვლენით. მაგრამ თუ ეს დამოკიდებულება ორივე მხარის მიერ ვლინდება, ანუ ორივე მხარე არის შედარებით თანაბარ პოზიციაში, ამ მოვლენებს ძალადობას ვერ ვუწოდებთ. ეს კონფლიქტია.

უნდა გვახსოვდეს, რომ ოჯახში ძალადობას ორი განმასხვავებელი ნიშანი აქვს:

- ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მოძალადე ცდილობს მსხვერპლის დაჩაგვრას, მსგავს სიტუაციაში თანასწორობა არ არის.

- ოჯახში ძალადობა ყოველთვის სისტემურია და აქვს ციკლური ბუნება.

## ძალადობის სახეები

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი განმარტავს ძალადობის ზემოთ ჩამოთვლილი ფორმების შინაარსს:

**ფიზიკური ძალადობა** - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკიფილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

**ფსიქოლოგიური ძალადობა** - შეურაცხეყოფა, შანჩაუი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ლირსების შეღავას;

**იძულება** - ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

**სექსუალური ძალადობა** - სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარეგნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

**ეკონომიკური ძალადობა** - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე, თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

**არასრულწლოვნის კანონიერი ინტერესების უგულებელყოფა** - მშობლის (მშობლების), სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და

სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ არასრულწლოვანის ფიზიკური და ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საფრთხისაგან დაუცველობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, **თუკი** მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია და შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე.

ძალადობის ფორმებიდან ყველაზე აშკარად გამოხატული არის ფიზიკური ძალადობა, რომელიც თავის კვალს ტოვებს სხეულზე სხვადასხვა დაზიანების სახით (დაბეჭილობები, სისხლჩაქცევები, მოტეხილობები, შინაგანი ორგანოების დაზიანებები, იმუნიტეტის დაქვეითება). მაგრამ ხშირია სიტუაციები, როცა მსხვერპლი ამბობს, რომ ფიზიკურ ძალადობას არ ჰქონია ადგილი, რადგან არ ადგენიშნება არანაირი ჩაღურჯებები სხეულზე, რომ მეუღლემ მას მხოლოდ „ხელი წამოარტყა!“ ფიზიკურ ძალადობად ითვლება, აგრეთვე, პირველადი სამედიცინო დახმარების განზრას არაღმოჩქნა, ძილის დეპრივაცია, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციების განხორციელების (მაგალითად, აბაზანისა და ტუალეტის გამოყენება, საკვების მიღება) აკრძალვა, ალკოჰოლის ან ნარკოტიკის გამოყენების იძულება და ა.შ.

**ფსიქოლოგიური ძალადობის** გამოვლენა ძალიან რთულია, რადგან ის ვლინდება დაცინვაში, მეორე ადამიანის განზრას გაბრაზებაში, ასევე ნაცნობთა, ახლობელთა წრისგან იზოლირებაში, რომლებსაც შეეძლოთ ყოფილიყვნენ ნუგეშისმიმცემნი, მუშაობის ან სწავლის აკრძალვა, მანიპულირება, მუქარა და ა.შ.

**სექსუალური ძალადობა** ხდება მაშინ, როდესაც სექსუალური საზღვრის გადასვლას აქვს ადგილი და ეს არ არის მხოლოდ გაუპატიურება. ის, ასევე, შეიძლება იყოს არასასურველი ფორმით მიღების იძულება. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, პორნოგრაფიის ყურების იძულება.

ეპონომიკური ძალადობა გულისხმობს მეორე ადამიანის საკუთრების იძულებით გამოყენებას ან განადგურებას. ამ კატეგორიაში შესაძლებელია, ასევე, შევიდეს თანხის დაზოგვის ვალდებულება სახლში არსებული სხვადასხვა ხარჯის გამო და სხვა სახის კონტროლი ოჯახის ფინანსურ რესურსებზე.

ძალადობის ბოლო სახეობა - **უგულებელყოფა**, ძირითადად, ბავშვებს და ხანშიშესულ ადამიანებს ეხებათ. ბავშვები, რომლებიც ვერ ღებულობენ საუზმეს სკოლებში, არ აქვთ სახელმძღვანელოები, დადიან მოუწესრიგებელნი - ეს არიან ბავშვები, რომელთა მიმართ უგულებელყოფა გამოიჩინეს. მოხუცი ადამიანები ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები შეიძლება იყვნენ უგულებელყოფის მსხვერპლი. მაგ., როცა არ ხდება მათ პიგიენაზე ზრუნვა, ან ექიმთან მათი ვიზიტი ხელმიუწვდომელია. ასეთი სიტუაციები ხშირად ერთდროულად რამდენიმე სახის ძალადობას წარმოშობს.

## ოჯახში ძალადობის მექანიზმი

ოჯახში ძალადობა არასდროს არ არის ერთჯერადი მოვლენა. ძალადობის მექანიზმი საკმაოდ ტიპიურია და ხშირად განხმორებადი. ძირითადად, ის გრძელდება რამდენიმე თვე ან წელი და გადის სხვადასხვა ფაზას, რომელიც, თავის მხრივ, მეორდება. ამ პროცესის შედეგად ხდება ადამიანის მსხვერპლად ჩამოყალიბება ანუ ვიქტიმიზაცია.

„მსხვერპლობის განცდა გულისხმობს უუნარობის, შეუსაბამობის, სირცხვილის შეგრძნებას, პასუხისმგებლობის ვერადებას საკუთარ ცხოვრებაზე, პასიური ცხოვრების სტილს, ხშირად, საკუთარი დაჩაგრულობითა და უმწეობით მანიპულირებას. აგრესორისათვის მსხვერპლი იდეალური პარტნიორია, ისინი „ეფექტურად“ ერგებიან ერთმანეთს. საკმაოდ ხშირად ეს ორივე როლი ბავშვი ერთდროულად არსებობს და სიტუაციის შესაბამისად ვლინ-

დება. გამოკვლევებით დასტურდება, რომ, უმეტესად, მსხვერპლთა საერთო პიროვნული მახასიათებლები ჰგავს მოძალადეთა საერთო პიროვნულ მახასიათებლებს<sup>3</sup>.

მკვლევარმა ლენორ უოლკერმა (Lenore E. Walker) ძალადობის ციკლი გაყო 3 ფაზად<sup>4</sup>. თითოეულ მათგანს აქვს დამახასიათებელი ნიშნები.

## ოჯახში ძალადობის ციკლი<sup>5</sup>

1. დაძაბულობის მატების ფაზა. ამ ფაზის დროს იზრდება მოძალადის დაძაბულობა და აგრესია. ყველა დეტალი იწვევს მოძალადის გაღიზიანებას, ყველაფერში პრობლემას ხედავს, შეიძლება ამ დროს ბევრი დალიოს, ხედება პროფესიონალი და უფრო და უფრო საშიში. მსხვერპლი ცდილობს სიტუაციის გაკონტროლებას - ამშვიდებს პარტნიორს, ყველა სურვილს უსრულებს. ხშირად უხდის ბოდიშს „ყოველი შემთხვევისთვის“. მუდმივად ფიქრობს იმაზე, თუ როგორ გამოისწოროს განწყობა.

ამ ეტაპზე მსხვერპლი ხშირად სხვადასხვა ტკიფილს გრძნობს: სტკივა პუჭი და თავი, უეცრად ეკარგება მადა. ზოგიერთი ადამიანი აპათიაში ვარდება, კარგავს ცხოვრების ენერგიას, სიმშვიდეს და ხდება ნერვიული - ეს ნიშნები დაძაბულობის მატებაზე მიგოთითებს.

ხშირად მსხვერპლს მოთმინება არ ყოფნის და ახდენს პროვოკირებას, რომ რაც შეიძლება „სწრაფად მოიშოროს“ ეს მდგომარეობა.

<sup>3</sup> - ნინო მახაშვილი. აგრესიის ციკლი და ვიქტიმიზაცია ოჯახში// გენდერული პრობლემატიკა საქართველოში, თბილისი, 2002

<sup>4</sup> - Walker. L.E. The Battered Woman Syndrome. New York: Springer Publishing Co., 1984

<sup>5</sup> - fazeibis detaluri aRwera gadmotanilia vebgveridian: <https://www.infor.pl/prawo/pomoc-spoleczna/przemoc-w-rodzinie/312141,Fazy-przemocy-w-rodzinie.html>

**2. ძალადობის (აფეთქების) ფაზა.** ამ ფაზის დროს ძალიან პატარა დეტალები ხდება აგრესიის მიზეზი (მაგ. მიზეზი შეიძლება იყოს საჭმლის დაგვიანება). მსხვერპლი უკვე ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად განადგურებულია. რამდენადაც მსხვერპლი ცდილობს სიტუაციის გამოსწორებას - იმდენად მოძალადე ღიზიანდება. მსხვერპლი თავს განადგურებულად მიიჩნევს, რადგან მას უკვე ვერაფერი ეხმარება (არც კეთილგანწყობა, არც უკან დახვა, არც დათმობა). ინციდენტის შემდეგ მსხვერპლი შოკშია. სირცხვილის განცდა აქვს, გრძნობს გაღიზიანებას და უმწეობას. ძირითადად, ამ დროს დებულობს პოლიციის გამოძახების გადაწყვეტილებას.

**3. „თაფლობისთვის ფაზა“.** ამ ფაზის დროს ყველაფერი იცვლება. მოძალადე თავისი დანაშაულის გამო ბოდიშს იხდის და პირდება მსხვერპლს, რომ გამოსწორდება. ხდება მგრძნობიარე, იწყებს სიყვარულის ახსნას, ცდილობს საკუთარი საქციელის გამართლებას - ყიდულობს საჩუქრებს, ყვავილებს. დიდ ყურადღებას აქცევს, ასევე, ბავშვებს. მსხვერპლი იჯერებს, რომ მოძალადე შეიცვალა, რომ ძალადობას ერთჯერადი ხასიათი ჰქონდა. „თაფლობისთვის ფაზა“ მსხვერპლის დემობილიზაციას იწვევს, ხოლო მოძალადეს უღვივებს იმედს, რომ მას აპატიუბენ.

ეს ფაზა არ გრძელდება დიდხანს, მაგრამ მსხვერპლი ივიწყებს ძალადობას და მის წინა ფაზებს. რამდენიმე ხნის შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყება და ციკლი მეორდება უფრო მძაფრუორებში.

I და II ფაზა ფარულია, მესამე კი - დაუცველი, რადგანაც ახლობლები და ოჯახის წევრები ხედავენ, რომ ოჯახში ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვალა.

ასეთი ციკლების განმეორება შეიძლება წლების განმავლობაში გაგრძელდეს. ძირითადად, „თაფლობისთვის ფაზა“ მოკლეა, ხოლო დაბაბულობის და ძალადობის მყისიერად გამოვლენის ფაზები - გრძელი. თუმცა, ძალიან დრამატულია ის, რომ რაც „თაფლობისთ-

ეის ფაზაში“ სასიამოვნო იყო, შემდგომ უკვე მხოლოდ ტკივილისა და მწუხარების მომტანია. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ „თაფლობისთვის ფაზა“ საერთოდ ქრება და რჩება მხოლოდ პირველი ორი ფაზა<sup>6</sup>.

ძალადობის ციკლები მიგვანიშნებს, რომ მარტო მსხვერპლს არ შესწევს უნარი, შეაჩეროს მოძალადე და ძალადობა.

## გინ არის მოძალადე? გინ არის მსხვერპლი?

მოძალადე და მსხვერპლი არის ყველა საზოგადოებრივ ჯგუფში და რაც უფრო „მაღალი დონის“ ჯგუფია, მით უფრო რთულია იმის გამოვლენა, თუ რა ხდება ოჯახში. ძალადობის მსხვერპლები ხშირად ქალები და ბავშვები არიან, მოძალადეები კი - მამები, მამინაცვლები, ვაჟები, ქმრები, პარტნიორები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნდა მონაცემები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა რაოდენობის შესახებ სქესობრივ ჭრილში<sup>7</sup>. მათი მონაცემებით 2018 წლის I-II კვარტალში მონაცემებით, მოძალადედ იქნა აღიარებული 404 ქალი და 2590 მამაკაცი, ხოლო მსხვერპლად ცნობილია 2674 ქალი და 440 მამაკაცი.

<sup>6</sup> - ხანგრძლივ სტრუქტულ რეაქციებს ხშირად ამწვავებს ქმედებები და დამოკიდებულება იმ სისტემების მხრიდან, რომელიც მოწოდებულია იმისთვის, რომ დაეხმაროს პიროვნებებს კრიზისის დროს. ამას ეწოდა მეორადი იარა ანუ მეორადი ვიქტიმიზაცია და დამტკიცებული იქნა, რომ ის შეიძლება ფსიქოლოგიურად უფრო მეტად იყოს ზიანის მომტანი მსხვერპლისთვის, ვიდრე თვითონ ტრაგება. მეორადი ვიქტიმიზაციის წყარო შეიძლება იყოს: სისხლის სამართლის სისტემა, პრესა/ტელევიზია, ოჯახი, მეგობრები, თანამშრომლები, ნაცნობები, **ჯანდაცვის დაწესებულებების თანამშრომლები**, სოციალური სამსახურის მუშავები, მასწავლებლები, მსხვერპლთა საკომპეტენსაციო სისტემა (რედ.)

<sup>7</sup> - მონაცემები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა რაოდენობის შესახებ ასაკობრივ, რეგიონულ და სქესობრივ ჭრილში შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=607&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=607&lang=geo)

როგორც უკვე აღინიშნა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2018 წელს დაფიქსირდა მოძალადე 954 ქალი და 5671 მამაკაცი, ხოლო მსხვერპლად - 5875 ქალი და 1018 მამაკაცი. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ძალადობის მსხვერპლთა დიდი უმეტესობა - არის ქალი, სწორედ ამან განაპირობა უურადღების გამახვილება ქალთა მიმართ ძალადობაზე, რამაც კანონის სახელმწიფებრივი მინის თავი და ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემაც სერიოზული მასშტაბები შეიძინა.

არ შექსაბამება სიმართლეს, რომ ყველა მოძალადე თავისი საქციელით სიამოვნებას დებულობს. მოძალადეები ხშირად ამბობენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ოჯახში სიმშვიდე, სიახლოვე, მაგრამ ვერ აღწევენ ამას სხვა გზით, გარდა ძალადობისა. არის შემთხვევები, როცა მოძალადე ბოდიშს იხდის, ყიდულობს საჩუქრებს, ან უბრალოდ კარგად იქცევა, პირობას იძლევა, რომ არ აღმართავს ხელს, რომ მისი საქციელი რთული სამუშაო დღით ან ალკოჰოლით იყო გამოწვეული. ამ დროს მსხვერპლს უნდა კარგზე იფიქროს და ამბობს: „ის არ არის ცუდი, ცდილობს, შეიძლება რამეს მე ვაშავებ?“ მოძალადეები იყენებენ ფიზიკურ ძალას, თავიანთ ეკონომიკურ სიძლიერეს და ოჯახის წევრებს იზოლირებას უკავთებენ მეგობრების წრიდან. ამ ყველაფრის შედეგად ხდება მსხვერპლის თვითშეფასების დაქვეითება. წლიდან წლამდე ოჯახში ატმოსფერო უარესდება.

ხანდახან გამოფხიზდება ხდება რამდენიმე წლის შემდეგ, მაგრაც როცა ბავშვები, უკვე ზრდასრულები, ეკითხებიან მშობლებს: „რაომ არ გაეყარე?“

ხშირად მსხვერპლი არ წყვეტს მოძალადესთან ურთიერთობას იმის გამო, რომ ბავშვს (ბავშვებს) უნდა ჰყავდეს მშობლები. მაგრამ ამ დროს ბავშვების ფსიქიკის ჩამოყალიბება ხდება იმ მოდელების მიხედვით, რომელთაც ხედავენ მშობლების ოჯახში.

**გახსოვდეთ! ოჯახში ძალადობის მომსწრე ბავშვი ყოველთვის  
არის ძალადობის ირიბი ან პირდაპირი მსხვერპლი და  
საჭიროებს რეაბილიტაციას.**

მოძალადის აგრესიული ქცევა არ არის სიძლიერე, პირიქით, ეს სისუსტის მაჩვენებელია, რომელიც შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს განპირობებული. მშობელი, რომელიც შვილს სცემს, ამას სხადის იმიტომ, რომ უსუსურია. მას არ აქვს დრო ან უნარი საუბრის-თვის, მან, შესაძლებელია, არც კი იცის აღზრდის სხვა მეთოდების შესახებ.

ადამიანი, რომელიც ძალადობს ახლობლებზე, ართმევს კონსტიტუციურ უფლებებს და თავისუფლებებს და ფიქრობს, რომ სწორედაც მან იცის ყველაფერი, არის ძალიან სუსტი. ცემა და შეურაცხყოფა მისთვის არის ერთადერთი გამოსავალი დაძაბული სიტუაციიდან. ხშირად მოძალადეს ახასიათებს დაბალი თვითშეფასება, შესაძლოა მას ფსიქოლოგის ან/და ფსიქიატრის დახმარება სჭირდება.

## ქალთა მიმართ ძალადობა

ქალთა მიმართ ძალადობა განიხილება, როგორც ადამიანთა უფლებების სერიოზული დარღვევა. ძალადობის დროს ითრგუნება ქალის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, დირსება და თავისუფლება - ადამიანის განუყოფელი უფლებები. ქალთა მიმართ ძალადობა გვხვდება ქუჩაში, საზოგადოებაში, სამსახურში, მაგრამ ყველაზე ხშირად ის მაინც ოჯახში ხდება. ქალთა მიმართ ძალადობას უარყოფითი შედეგი მოსდევს არა მხოლოდ ქალებისთვის, არამედ ის უშუალო კავშირშია ოჯახთან და გავლენას ახდენს მთლიანად საზოგადოებაზე. ამიტომაც ქალთა მიმართ ძალადობა ბოლო პერიოდში აქტუალურ პრობლემად მიიჩნევა საქართველოში. სტატისტიკურად, ოჯახში ძალადობის უმეტესობა სწორედ ქალთა

მიმართ ძალადობაზე მოდის. ამიტომაც შემთხვევითი არ ყოფილა, რომ 2017 წელს კანონი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ახალი კერძით დამტკიცდა: „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.

როგორც უკვე აღინიშნა, კანონის მიხედვით, „ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას... ამ კანონის მიზნებისთვის ქალად მიზნება, აგრეთვე, 18 წელს მიუღწეველი მდედრობითი სქესის არასრულწლოვანი“.

## როგორ ამოვიცნოთ ძალადობა ქალთა მიმართ?

ქალთა მიმართ ძალადობაც ისეთივე ფორმით ვლინდება, როგორც ოჯახში ძალადობა: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობა, აგრეთვე იძულება და უბრულებელყოფა.

ქალის მიმართ განხორციელებული ამ ფორმებიდან შედარებით აღვილი ამოსაცნობია ფიზიკური ძალადობა - ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც ქალს სხეულზე აღენიშნება ძალადობის კვალი - ჭრილობა, სისხლჩაქცევა, მოტეხილობა, სილურჯები...

ბევრად რთულია სხვა სახის ძალადობის ამოცნობა. მათ ხშირად ძალადობის დაფარულ ფორმებს ეძახიან და ადარებენ აისბერგს. როგორც ყინულის მთის უდიდესი ნაწილი წყალშია და ზედაპირზე არ ჩანს, ერთი შეხედვით მათი დანახვაც მნელია, რადგან ძალადობის მსხვერპლი ქალი ხშირად მაღავს ფსიქოლოგიური, ეკონომიკური თუ სექსუალური ძალადობის კვალს.

არსებობს მახასიათებლები, რომლითაც შესაძლებელია იმ ქალების ამოცნობა, რომლებიც ფსიქოლოგიურ თუ ეკონომიკურ ძალადობას განიცდიან. ამ კატეგორიის ქალებს აქვთ დაბალი თვითშეფასება. ისინი ემხრობიან ოჯახის სტერეოტიპულ განსაზღვრებას,

სადაც ქალი გამოყვანილია მორჩილად და მისი როლი მხოლოდ საოჯახო საქმეებითაა შემოფარგლული. ხშირად ისინი თვითონ იღებენ პასუხისმგებლობას მოძალადის ქვევაზე და, აქედან გამომდინარე, ყველაფერში თავს დამნაშავედ მიიჩნევენ. მათ მუდმივად აქვთ სირცებილის შეგრძნება, მარტოობის განცდა, ცხოვრობენ შიშ-ში. შიში არცოუ იშვიათად უმწეობაში და სასოწარკვეთაში გადაიზრდება, რადგან მიაჩნიათ, რომ ასეთი ყოფა დაიმსახურეს, მათი ხვედრია, ვერავინ დაეხმარება და არც უნდათ, რომ ვინმეს გაუზიარონ თავიანთი განცდები. რასაკირკველია, ასეთ ქალებს შერყეული აქვთ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა და მათი მდგომარეობა დღითიდღე უარესდება.

ქალის საქციელი ხშირად მიანიშნებს იმაზე, რომ ის მსხვერპლია. ქალი-მსხვერპლი აღგზნებულია, ცოტა რამეც აღიზიანებს. არ აქვს მშვიდი ძილი, ბორგავს. არცოუ იშვიათად, აგრესია და ბრაზი ბავშვებზე გადააქვს, რაც ძალადობის ჯაჭვის ერთგვარი გაგრძელებაა...

თუმცა, შეიძლება პირიქითაც იყოს - ჩაიკეტოს თავის თავში, იყოს დეპრესიული, ჰქონდეს მოჩვენებითი სიმშვიდე, გულგრილად მოეკიდოს ყველაფერს, ინტერესი არ გამოხატოს არაფრის მიმართ.

ეს სიმპტომებია იმისა, რომ ქალი ძალადობას განიცდის. ზოგჯერ ქალმა თავადაც არ იცის, რომ ძალადობის მსხვერპლია. რადგან ის, რაც ხდება მის თავს, მის ოჯახში, ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ნორმა ჰგონია. ასეთი ქალები ამტკიცებენ, რომ ასე ცხოვრობდა მისი ბებია, დედა, ასეთი გარემო აქვს ყველა ქალს. და თვითონაც ამიტომ ეგუება ძალადობრივ გარემოს.

როგორ გავარკვიოთ, ქალი არის თუ არა ძალადობის მსხვერპლი? ამ კითხვაზე პასუხი დადგებითი იქნება, თუკი პარტნიორი:

- მუდმივად უშლის შეხვედრას მეგობრებთან, ნათესავებთან
- აკონტროლებს მის კონტაქტებს
- ეჭვიანობს ყველაზე და ყველაფერზე
- ისეთი რამების კეთებას სთხოვს ან აიძულებს, რაც ქალს არ მოსწონს

- უხეშად ექცევა, ემუქრება დასჯით
- ამბობს, რომ თავს მოიკლაგს, თუკი ქალი წავა მისგან
- დასცინის, უწუნებს გარეგნობას, ნახელაგს
- არ აღიარებს ქალის დირსებებს, ნიჭს, წარმატებებს
- ხელს უშლის მუშაობაში, კარიერულ წინსვლაში
- არ ატარებს თავისუფალ დროს მასთან ერთად

კიდევ უამრავი რამის თქმა შეიძლება ამ კუთხით. თუმცა, ამ კვლაფერს რამდენიმე სიტყვაც აერთიანებს: კონტროლი, იგნორირება, იზოლაცია, დაშინება.

ეს კვევ განგაშის საფუძველს იძლევა. ქალის მიმართ ძალადობის დროულად გამოვლენა აუცილებელია არა მარტო მისი, არამედ ოჯახის ფიზიკური უსაფრთხოებისთვის. რაც უფრო შორს მიდის ძალადობა, მით უფრო ღრმა კვალს ტოვებს ის ქალის ჯანმრთელობაზე, სულიერ მდგომარეობაზე, ამიტომაც საჭიროა დროზე იქნას მიღებული ზომები მისი დაცვისთვის, ამოქმედდეს საკანონმდებლო თუ საზოგადოებრივი დაცვის სისტემა.

## ბავშვის მიმართ ძალადობა

ბავშვის მიმართ ძალადობა არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც აკნინებს, ან დაზიანებით ემუქრება ბავშვის ფიზიკურ და ფიზიკურ ქეთილდღეობას, საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას და განვითარებას. მოკლედ შეიძლება ვოქვათ, რომ ძალადობა ბავშვისთვის ტრაგების მიმყენებელი ქცევაა. ფიზიკური დასჯა, სულიერი ტანჯვა თუ სხვა ფორმით გამოვლენილი ბავშვთა მიმართ ძალადობა ანადგურებს ბავშვს, როგორც გონიერივად, ასევე ფიზიკურად.

ბავშვთა მიმართ ძალადობას სხვადასხვა შედეგამდე მივყავართ. შეიძლება ის ბავშვობაშივე გამოვლინდეს (მოკლევადიანი შედეგი), მაგრამ, ასევე, შეიძლება თავი იჩინოს ზრდასრულ ასაკში (გრძელვადიანი შედეგი). შედეგი შეიძლება შეეხოს ბავშვის ცხოვრების კვლალა ასპექტს, ზრდასრულ ასაკში კი გამოვლინება პპოვოს ფიზიკურ, ემოციურ, საზოგადოებრივ ასპექტებში. მიჩნეულია, რომ ემოციუ-

რი შედეგები უფრო რთულად გადასატანია ბავშვისთვის, ვიდრე ფიზიკური.

ბავშვმა შეიძლება განიცადოს ძალადობა სხვადასხვა პიროვნებისგან, თუმცა, ხშირად მოძალადები არიან ბავშვისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანები - მშობლები ან აღმზრდელები (მეურვეები). ძალადობა ბავშვების მიმართ არ არის დაკავშირებული ოჯახის საზოგადოებრივ ან კონომიკურ სტატუსთან. შეიძლება მას ადგილი ჰქონდეს ყველა ტიპის გარემოში.

**საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, 18 წლამდე ასაკის პიროვნებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ძალადობრივი ქმედება ჩაითვლება ბავშვზე ძალადობად.**

## როგორ ამოვიცნოთ ბავშვის მიმართ ძალადობა?

ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევების დროული გამოვლენა არის ძალიან მნიშვნელოვანი მის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე ზიანის შემცირებისთვის. ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტზე ეჭვის შემთხვევაში უნდა ამოქმედდეს ძალადობისგან დაცვის ეროვნული მექანიზმი და მასში ჩართული ყველა სტრუქტურა: სოციალური სამსახური, საგანმანათლებლო ან სკოლამდებლი დაწესებულება<sup>8</sup>, პოლიცია. არ არის აუცილებელი მარტოებმა

<sup>8</sup> - საქართველოს კანონმდებლობაში გაფართოებულია პირთა წრე, ვისაც შეუძლია, სამართალდამცველებს მიაწოდოს ინფორმაცია ძალადობის ფაქტების შესახებ. იმ პირების მიმართ, რომლებსაც, ზოგადად, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კონფიდენციალურობის ვალდებულება ეკისრებათ (ექიმები, მასწავლებლები, აღვოკატები), განისაზღვრება გამონაკლისი შემთხვევა - აღნიშნულ პირებს ეს ვალდებულება არ შეზღუდვთ, რომ კომპეტენტურ ირგანვებს მიაწოდონ ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო შემთხვევის თაობაზე, თუკი არსებობს ძალადობის განმეორების საშიშრება (რედ.).

ვიაქტიუროთ ბავშვის რთული სიტუაციიდან გამოსაყვანად. მაგრამ იმის გააზრება, რომ ბავშვს ესაჭიროება დახმარება, წინ გადადგმული ნაბიჯია.

იმისთვის, რომ დროულად ამოციცნოთ ძალადობა ბავშვზე, უნდა ვიცოდეთ, თუ რა ტიპური დაზიანებები ან ქცევა ახასიათებს ძალადობის მსხვერპლ ბავშვს.

რაზე გავამახვილოთ ყურადღება ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში?

ბავშვი: აქეს კარგად გამოკვეთილი სხეულის დაზიანებები (ჭრილობები, ჩალურჯებები, ძვლების მოტეხილობა) და არ ამბობს როგორ, რა ვითარებაში დაემართა ეს. ეშინია მშობლების ან აღმზრდელების; ორთის, როცა უფროსი ადამიანი უახლოვდება; არასწორ მიზეზებს ასახელებს დაზიანებების შესახებ.

მშობელი ან აღმზრდელი: იძლევა ურთიერთსაწინააღმდეგო ან არადამაჯერებელ მიზეზებს დაზიანების შესახებ, ან საერთოდ არ იძლევა განმარტებას; ლაპარაკობს ნეგატიურად ბავშვზე, მაგალითად, ხმარობს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „იდიოტი“, „სულფლი“, „უზრდელი“; ბავშვს აიძულებს მკაცრ ფიზიკურ აქტივობებს; მოიხმარს ზედმეტ ალკოჰოლსა და ნარკოტიკს.

**უგულებელყოფა** - ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროებების (საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, მოვლა, მეთვალყურეობა, ყურადღება, განათლება, სამედიცინო დახმარება და სხვა) რეგულარული დაუკმაყოფილებლობა მშობლის თუ მეურვის მხრიდან, ობიექტური მიზეზების გამო (სიღარიბე, ფსიქიკური დაავადებები, გამოუცდელობა) ან ამგვარი მიზეზების გარეშე. ბავშვს ექმნება მატერიალური ან/და ემოციური საჭიროებების დეფიციტი მშობლის ან აღმზრდელის მხრიდან; აკლია საკვები, ტანისამოსი, ზრუნვა, სამედიცინო დახმარება, უსაფრთხოება.

**რას მივაქციოთ ყურადღება?**

**ბავშვი:** ხშირად აცდენს სკოლას ან ბაღს; პარავს მეგობარს საჭმელს ან ფულს; მათხოვრობს; არ დებულობს საჭირო სამედიცინო დახმარებას, აცრას; სჭირდება, მაგრამ არ ატარებს საოვალეს; ხშირად არის ბინძური, არასასიამოვნო სუნი აქვს; ხშირად ამინდის შეუსაბამოდ არის ჩაცმული; მოიხმარს ალკოჰოლს ან ნარკოტიკს; ამბობს, რომ სახლში არ არის არავინ, ვინც მასზე იზრუნებდა; მოქმედებს კანონის საწინააღმდეგოდ (მაგალითად, ანადგურებს საზოგადოებრივ ქონებას, ან ქურდობს).

**შობებლი ან აღმზრდებლი (მეურვე):** არ არის ბავშვის ბედით დაინტერესებული; არის აპათიური ან დეპრესიული; ხშირად არ მიდის შეთანხმებულ შეხვედრაზე; მოიხმარს ალკოჰოლს ან ნარკოტიკს.

**ფსიქოლოგიური ძალადობა ბავშვზე - ქცევები,** რომელთა მიზანია აკონტროლოს, მართოს ბავშვის მოქმედებები და ემოციები მისი დამორჩილების მიზნით: დამამცირებელი მეტსახელით მიმართვა, მუქარა, ისეთი საქციელის დაბრალება, რომელიც მას არ ჩაუდენია და სხვა. ბავშვზე ძალადობაა მოზრდილთა ჩეუბი ბავშვის თანდასწრებით. ძალადობის ეს ტიპი მიმართულია ბავშვის დამცირებისკენ, მასხრად აგდებისკენ, არ ხდება ბავშვის მიმართ თანაგრძნობა, ყურადღება, სიყვარულის გამოხატვა. ბავშვს მოეთხოვება ისეთი საქმეების გაკეთება, რომელიც მას არ შეუძლია.

**რაზე გავამახვილოთ ყურადღება?**

**ბავშვი:** იქცევა ასაკიდან გამომდინარე არაადეკვატურად (ანუ იქცევა როგორც ზრდასთაული), იმიზეზებს უჭმელობას (არ ჭამს, ძალიან ბევრს ჭამს, აღებინებს), აქვს ჩამორჩენა ფიზიკურ და ემოციურ ზრდასთან დაკავშირებით, ჭუჭყიანია, აქვს ძილთან დაკავშირებული პრობლემები, ძლიერი კოშმარები, ეშინია მარტო დაძინება, აქვს ისტერიკები, ფობიები.

**შობებლი ან აღმზრდებლი:** ხშირად ამცირებს ბავშვს, ფავორიტია სხვა შვილი, ბავშვის შესაძლებლობებს არ აღიქვამს სერიოზულად, მოიხმარს ალკოჰოლს ან ნარკოტიკს.

**სექსუალური ძალადობა** არის ბავშვის გამოყენება სექსუალური მიზნებისათვის: სექსუალური მეტყველებით დევნა, ეროტიული ელფერის ალერსი, თვალთვალი, ბავშვისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღება, სექსუალური შინაარსის ფილმების ყურების ან პორნოგრაფიული ჟურნალების დათვალიერების ხებართვა ან ხელშეწყობა, გაუპატიურება ან გაუპატიურების მცდელობა, სასქესო ორგანოების დემონსტრირება, ღია საუბრები სექსზე ბავშვის შოკირების ან მისი ცნობისმოყვარეობის გაღვიძების მიზნით, სისხლის აღრევა (ინცესტი), სხეულით ვაჭრობის იძულება და სხვა. სექსუალური ძალადობა შეიძლება იყოს ერთჯერადი, ან გაგრძელდეს დიდი ხნის განმავლობაში.

## რაზე გაგამახვილოთ უურადღება?

**ბავშვი:** ხშირად ვლინდება ისეთი ქცევა, რომელიც ამ ასაკის ბავშვისთვის არ უნდა იყოს დამახასიათებელი (მაგ. არის ძალიან აღგზებული, ბევრს ლაპარაკობს სექსზე), არის დეპრესიული, მისი ქცევა ინფანტილურია, თანატოლებთან ურთიერთობაში აქვს სირთულეები, სხვების თანდასწრებით გახდას ერიდება (მაგ. სპორტის გაპეტილზე); მოიხმარს ალერელს ან ნარკოტიკს; ცუდად სწავლობს; დაჯდომასა და სიარულთან დაკავშირებით აქვს პრობლემები, სხეულის ინტიმურ ნაწილებს იტკივებს; არის ორსულად ან ვენერიული დაავადება აქვს; სახლიდან გარბის; ამაყობს მიღებული საჩუქრებით ან თანხით.

**მშობელი ან აღმზრდელი:** ბავშვთან ურთიერთობის დროს არ-დვეეს ფიზიკურ საზღვრებს (მაგ. თამაშის დროს); მოიხმარს ალერელს ან ნარკოტიკს; არ აქვს ურთიერთობა არავისთან ოჯახის წევრების გარდა; ზედმეტად ზრუნავს ბავშვზე და უკრძალავს მას თანატოლებთან ურთიერთობას.

## II

### ბავშვთან ურთიერთობა

ბალადობაგანცდილ ბავშვთან ურთიერთობა პროფესიონალის სპეციალურ უნარებს, განსაკუთრებით ფაქიზ მიღვომებს, განსაკუთრებულ მომზადებას საჭიროებს არა მხოლოდ ბავშვზე განხორციელებული ძალადობის გამოვლენის სირთულის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ბავშვზე ძალადობის შემთხვევები ხშირად დამალულია და ძალადობის ფაქტების გამოვლენა, როგორც წესი, მწვავე რეაქციებს იწვევს. მსგავსი სირთულეები განსაკუთრებით თავს იჩენს მაშინ, თუ ძალადობა ოჯახში ხდება, ან თუ საქმე გვაქვს ბავშვზე სექსუალურ ძალადობასთან.

ხშირად ექიმი-პედიატრი არის პირველი, ვისაც შეუძლია ივარაუდოს, რომ ბავშვზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა. ამიტომ პედიატრის ამოცანაა, სწორად და დროულად გადაწყვიტოს ეს საკითხი.

ექიმის მიერ ბავშვის დეტალური გამოკითხვა მიზანშეწონილი არაა და არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენს. ეს სამართალდამცავი ორგანოებისა და ბავშვის უფლებათა დაცვის შესაბამისი სამსახურების საქმეა.

- იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ეჭვი, რომ ბავშვზე ძალადობა ოჯახში ხდება ან როდესაც ექიმი ვარაუდობს, რომ შესაძლოა ბავშვი სახლში მკაცრად დასაჯონ ექიმთან მისი გულახდილობის გამო, ბავშვის დაცვისთვის საჭირო ზომების გასატარებლად სასურველია, რომ მშობლებთან გასაუბრებამდე ინფორმაცია მიეწოდოს შესაბამის ინსტანციებს. ექიმის უპირველესი საზრუნვავი ბავშვის ჯანმრთელობაა და არა მისი, როგორც პაციენტის შენარჩუნება.
- ძალადობაზე ეჭვის დადასტურების სტადიაზე არ არის აუცილებელი, ექიმმა აიძულოს ბავშვი, აღწეროს მომხდარის ყველა დეტალი. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ამან შეი-

ქლება გამოიწვიოს პოსტტრავმული აშლილობის სიმპტომები, რაც საზიანო იქნება ბავშვისთვის. როცა ძალადობის მსხვერპლი ბავშვი რამდენჯერმე ყვება ისტორიას, ეს შეიძლება ახალ მოგონებათა „მოზღვავებისა“ და მისი განმეორებითი ტრავმირების მიზეზი გახდეს.

- ექიმის როლი მდგომარეობს არა მხოლოდ გულისხმიერ დამოკიდებულებაში ბავშვის ჩივილების, მონათხოვობის, მისი გასინჯვის მიმართ, არამედ აუცილებლობის შემთხვევაში ბავშვის უფლებების დაცვის უზრუნველყოფაშიც. წამოჭრილი ეჭვების გასარკვევად ექიმი ვალდებულია გაესაუბროს ბავშვს.

## როგორ წარვმართოთ ბავშვთან საუბარი

- პირველ რიგში, არ შეჰქირდეთ ბავშვს იმას, რასაც თქვენ არ გააკეთებთ. ხშირად ბავშვები მზად არიან რაიმე მოუქნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექიმი შეჰქირდება, რომ ბავშვის მონათხოვობს საიდუმლოდ შეინახავს.
- მეორე, საშუალება მიეციო ბავშვს, რომ მისთვის გასაგებ ენაზე ისაუბროს. ამასთან, თქვენც გამოიყენეთ მისი ლექსიკა. ხშირად ბავშვები ჟესტების ენაზე გადმოსცემენ გარკვეულ ინფორმაციას, რაც ასევე მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია.

მნიშვნელოვანია, რომ ექიმმა ბავშვთან ურთიერთობისას ბავშვისთვის კომფორტული და უსაფრთხო გარემო შექმნას. რასაკვირკელია, ექიმმა არ უნდა მოუწყოს ბავშვს „დაკითხვა“ მომხდარის უკელა დეტალის გასარკვევად და მშობლების კომენტარების მართებულობის დასახუსტებლად.

- ბავშვთან გასაუბრება უმჯობესია დაიწყოთ მისი გაცნობით და საუბრით იმის შესახებ, რის კეთება უყვარს ყველაზე მეტად, ვისთან ერთად ცხოვრობს, მეგობრებისა და ბადის/სკოლის შესახებ მოყოლით და სხვა. სექსუალურ ძალადობაზე ეჭვის შემთხვევაში, კითხვები დიდი სიფრთხილით უნდა დაისვას, ამ საკითხში ექიმის უფლებამოსილების ჩარჩოების გათვალის-

წინებით, აგრეთვე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გათვალისწინებით.

ურთიერთობის დამყარებისთვის საუბარი დაახლოებით 10 წელი შეიძლება გაგრძელდეს, რომლის დროსაც ექიმი იღებს ინფორმაციას ბავშვის პიროვნების, მისი ოჯახის, მეგობრების, ინტერესების შესახებ. ყველაფერ ამას ექიმი იგებს ისე, რომ ბავშვს არაფერს ეკითხება ტრავმის შესახებ. ეს ასევე აჩვენებს ბავშვს, რომ ექიმი ინტერესდება მისით, როგორც პიროვნებით და არა მხოლოდ როგორც ძალადობის მსხვერპლით. ამგვარი ინტერესი დაეხმარება ბავშვს, რომ ექიმის მიმართ ნდობა გაუჩნდეს.

## შეკითხვების ფორმები

არსებობს შეკითხვების შემდეგი ფორმები:

- **ლია მიმართვები** - ლია მიმართვებზე, ბავშვები, ჩვეულებრივ, ერთ ან ორზე მეტი სიტყვით რეაგირებენ. ამგვარი მიმართვები ბავშვს თავისუფალი თხრობის საშუალებას აძლევს. არსებობს ორი მეტად მნიშვნელოვანი სიტყვა, რომელიც ნებისმიერმა გამომკითხველმა ხშირად უნდა გამოიყენოს: „მითხარი…“, მომიუკი…“. ამ სიტყვების მეშვეობით ბავშვს საუბრისთვის, თხრობისთვის ვიწვევთ.
- **დამაზუსტებელი/შემაგრებელი მიმართვები** - დასაწყისში, ლია მიმართვების პასუხად, ბავშვმა თავისუფალი თხრობით შეიძლება ინფორმაციის გარკვეული ნაწილი გადმოსცეს. ხშირად ეს არ იქნება სრული, ამიტომაც შესავსებად გამოიყენება შემდეგი მიმართვები:
  - o „უფრო მეტი მომიუკი/მითხარი…“
  - o „შემდეგ რა მოხდა.“
  - o „განაგრძე“.

დამაზუსტებელი/შემაგრებელი მიმართვების გამოყენება შეიძლება მაშინ, როდესაც თავისუფალი თხრობისას ბავშვი ახსენებს ვინმექ/

რაიმეს. მაგალითად, „მომიუევი, რა მოხდა, როდესაც შენ სავარძელ-ში იჯექი“ (თუ ბავშვმა უკვე ახსენა, რომ ის სავარძელ-ში იჯდა), ან „შენ თქვი, რომ ის ფეხზე შეგეხო... მომიუევი უფრო მეტი ამის შესახებ“.

- **პირდაპირი შეკითხვები -** ამ კატეგორიას მიეკუთვნება შეკითხვები, რომლებიც იწყება კითხვითი სახელებით:

1. რა
2. ვინ
3. სად
4. როდის
5. როგორ
6. რატომ

- **დახურული შეკითხვები - „კი/არა“** - შეკითხვები, რომლებზეც ბავშვმა „კი“ ან „არა“ უნდა უპასუხოს, გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული. ჯერ ერთი, დახურული შეკითხვით ბავშვს ინფორმაცია მიეწოდება გამომკითხველის მიერ. მაგალითად, „იმ კაცმა თქვა რამე?“ ეს შეკითხვა წარმოშობს აზრს, რომ კაცს, შესაძლოა, რაღაც ეთქვა.

გასათვალისწინებელია, რომ ბავშვების უმეტესობას მზაობა აქვს, რომ აუცილებლად პასუხი გასცეს ამგვარ შეკითხვებზე, მაშინაც კი, როცა პასუხი არ იციან. ამასთან, ბევრი ბავშვი მიღერეკილია დათანხმებისკენ და „კი“ პასუხების გაცემისკენ. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დახურულ შეკითხვებზე დადებითი პასუხების შემთხვევაში მომდევნო შეკითხვა და მიმართვის ფორმით იყოს ჩამოყალიბებული: „მითხარი, რა თქვა კაცმა“.

- **შეკითხვები პასუხების ვარიანტებით** - ეს არის შეკითხვები, რომლებზე პასუხის გასაცემად ბავშვს ვთავაზობთ ვარიანტებს, რომელთაგან მან პასუხი უნდა ამოირჩიოს. ამ შემთხვევაშიც მცდარი პასუხის მიღების მაღალი რისკი არსებობს და ამიტომ ამ ტიპის შეკითხვების დასმა დასაშვებია მხოლოდ და მიმართვების გამოყენების შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვს შეიძლება არ მოუწდეს თქვას, რომ არ იცის და

შეთავაზებულ ვარიანტთაგან რომელიმე აირჩიოს. ბავშვებს ასევე მიღრეკილება აქვთ, რომ აირჩიონ პირველი ან ბოლო ვარიანტი.

- **ჩამაგონებელი/მიმანიშნებელი შეკითხვები** - ჩამაგონებელი/მიმანიშნებელი შეკითხვების გამოყენებისას გამომკითხველი ასახელებს დეტალს, მოვლენას ან ქმედებას, რომელიც ბავშვს არ უსხენებია და მის დადასტურებას ან უარყოფას მოითხოვს, რითაც ზემოქმედებას ახდენს ბავშვზე. მაგალითად, „ის შეგეხო სხეულის რომელიმე ნაწილზე?“ ან „ის სხეულზე შეგეხო, ხომ ასეა?“

**ეცადეთ, გამოიყენოთ რაც შეიძლება მეტი დია ტიპის მიმართვა და მაქსიმალურად აარიდეთ თავი სხვა ტიპის შეკითხვებს.**

#### **ბავშვთან საუბრისას გახსოვდეთ:**

- გამოიჩინეთ ყურადღება და თანაგრძნობა;
- გამოიყენეთ მოკლე შეკითხვები და წინადადებები;
- გამოიყენეთ მარტივი და ბავშვისთვის გასაგები გრამატიკული კონსტრუქციები. მაგალითად, ბევრ ბავშვს არ ესმის აბსტრაქტული ცნებები, სიტყვების გადატანითი მნიშვნელობები, ორმაგი უარყოფის შემცველი წინადადებები და სხვა;
- არ გამოიყენოთ პროფესიული ტერმინები;
- სასქესო ორგანოებს ის სახელები უწოდეთ, რასაც ბავშვი უწოდებს მათ;
- შეეცადეთ ნაცლებად იხმაროთ ნაცვალსახელები;
- თუ ბავშვი არ საუბრობს, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუსვით პირდაპირი შეკითხვები: ვინ, რა სად, როდის, როგორ...
- განსაკუთრებით შეიკავეთ თავი დახურული კითხვებისგან, ანუ იმ კითხვებისგან, რომლებზე პასუხები შეიძლება იყოს მხოლოდ „ჯი“ ან „არა“;
- არ გამოიყენოთ ჩამაგონებელი/მიმანიშნებელი კითხვები;
- **“რატომ”** - კითხვისგან თავი შეიკავეთ 2 ძირითადი მიზეზის

გამო: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამგვარ შეკითხვებზე ბავშვმა უმეტესწილად პასუხი არ იცის; ამას გარდა, „რატომ“ შეკითხვები ფარულ დადანაშაულებას შეიცავს („რატომ არ დაუძახე დედას?“ - ბავშვი აღიქვამს, რომ მას რაღაცაში ადანაშაულებენ).

- ყველაზე მთავარი დეტალები და ფაქტები, უმჯობესია, ჩაიწეროთ მაშინვე, საუბრის შემდეგ.

### **გაითვალისწინეთ:**

- ბავშვს ყერადღება რომ არ გაეფანტოს, ოთახში სათამაშოების რაოდენობა უნდა იყოს მინიმალური, ამასთან, გარემო არ უნდა აღიქმებოდეს ბავშვის მიერ, როგორც ოფიციალური.
- საუბრისას ოთახში არ იმყოფებოდნენ გარეშე პირები, არ რეკვდეს ტელეფონი.
- საუბრისას ოთახში ბავშვის მშობლების ყოფნა სასურველი არაა, რადგან ისინი შეიძლება ჩაერიონ თქვენს ურთიერთობაში ან ზეგავლენა მოახდინონ ბავშვის პასუხებზე. თუმცა, 6 წლამდე ისაკის ბავშვებს ხშირად ეშინიათ მშობლის გარეშე დარჩენა. ასეთ შემთხვევებში ორგვარად შეგიძლიათ მოიქცეთ: ა) შეიძლება ნება დართოთ მშობელს, დაესწროს თქვენს საუბარს, მაგრამ ის ბავშვის ზურგსუკან უნდა დასვათ და შეუთანხმდეთ, რომ არ ჩაერიოს ბავშვთან თქვენს საუბარში; ბ) შეიძლება სთხოვოთ მშობელს, გვერდით ოთახში დაგელოდოთ და უთხარით ბავშვს ამის შესახებ, რადგან მან იცოდეს, რომ ნებისმიერ მომენტში შეუძლია მშობელითან მისვლა. საუბრის დაწყებამდე აჩვენეთ ოთახი, სადაც მისი მშობლები დაელოდებიან.

მზად იყავით იმისთვის, რომ საუბრის დასაწყისში ბავშვმა შეიძლება არაფერი გითხვათ, რაც საკმაოდ ხშირად ხდება, რადგან ბავშვს უძნელდება თავისი „საიდუმლოს გამსხვლა“. ასეთ შემთხვევაში, უთხარით, რომ თქვენ იცით, რამდენად ძნელია მისთვის ამ თემაზე საუბარი.

## ბავშვთან ურთიერთობისას გაითვალისწინეთ შემდეგი ფაქტორები:

- ასაკი;
- მეცნიერება;
- ემოციური მდგომარეობა;
- ფიზიკური მდგომარეობა;
- საუბრისათვის მზაობა;
- განვითარების დონე (მათ შორის მეტყველების განვითარების);
- გამოცდილება, ცოდნა;
- ბავშვის კატასტოფის იმპასთან, ვინც მის მიმართ სავარაუდო ძალა დობა განახორციელა;
- მომხდარის ზეგავლენა ბავშვზე.

### ასევე მნიშვნელოვანია:

ბავშვთან კონტაქტის ან იმ მოზრდილების მეშვეობით, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ბავშვს, ინფორმაცია იმის შესახებ, შეინიშნება თუ არა:

- **ცვლილებები ბავშვის ყოველდღიურ ქცევებსა და ჩვევებში** სახლში, სახლს გარეთ, თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობაში. ბავშვმა შეიძლება ინტერესი დაკარგოს იმის მიმართ, რაც ადრე აინტერესებდა, შეიცვალოს ჩაცმის მანერა. ის შეიძლება უფრო ნერვიული, გადიზიანებული, მფრთხალი გახდეს, გაურბოდეს გარკვეულ ადამიანებთან კონტაქტს. სექსუალური ტრავმატიზაციის შემთხვევაში შეიძლება შეინიშნებოდეს ქცევის ასაკისთვის შეუფერებელი სექსუალიზაცია (სექსუალური აგრესია, სხვა ადამიანების საზღვრების დაუცველობა და სხვა).

- **რეგრესი ქცევაში.** ბავშვი ისე იქცევა, თითქოს უფრო პატარა ასაკის იყოს, უკვე ათვისებულ უნარ-ჩვევებს “ივიწყებს”. მაგალითად, უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვი თითის წოვას ან ენის “მოჩლექით” ლაპარაკს იწყებს.

- **ზესიფხსიზლე ან მომატებული აგზნებადობა.** არამოტივირებული ზესიფხსიზლე იმაში ვლინდება, რომ ბავშვი თითქოს საკუთარ თავს დარაჯობს, მუდმივად დაძაბულია, ერთგვარ “მზადყოფნაშია”, რათა ნებისმიერ მომენტში აირიღოს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მუქარა. მომატებული აგზნებადობის დროს ბავშვებს არ შეუძლიათ ერთ ადგილზე გაჩერება, მოუსვენრობას ავლენენ.

- **გარიდების მცდელობა ყველაფრისგან,** რაც ტრაგმას უკავშირდება. ბავშვს არ სურს იფიქროს, მოყვეს მომხდარის შესახებ, ეშინია იმ ადგილებში ყოფნა, რომლებიც გადატანილ ძალადობას უკავშირდება. მაგალითად, გოგონა, რომელზეც სექსუალური ძალადობა განხორციელდა ლიფტში, უარს ამბობს ლიფტით სარგებლობაზე.

- **გარემომცველი ადამიანებისადმი ნდობის დაკარგვა.** ბავშვებს მუდმივად აქვთ საფრთხის განცდა. მათ ეშინიათ მოზრდილების, ამასთან, არა მარტო მამაკაცების, რომელთაგან უფრო ხშირია ძალადობა, არამედ ქალებისაც, მათ აშინებთ ახალი ყოფითი სიტუაციები.

- **შიშების არსებობა.** შიში შეიძლება იყოს ბევრნაირი და ხშირად - ძალზე დიდი ინტენსივობით გამოხატებული. ზოგიერთ ბავშვს ოთახში მარტო დარჩენის ეშინია, ზოგს – სიბრძელის, მოზრდილი ადამიანების, მათ შორის, – ნაცნობებისაც, ქუჩაში სიარულის და მრავალი სხვა.

- **დეპრესიული მდგომარეობები, სუიციდური აზრები და მცდელობები.** რაც უფრო მცირე ასაკისაა ბავშვი, მით უფრო დაფარულია მისი დეპრესიული განცდები. ბავშვმა შეიძლება არც თქვას, რომ ის ცუდ ხასიათზეა, მაგრამ დეპრესია ჩივილების სახით ვლინდება: “ჭამა არ მინდა”, “თამაში არ მაინტერესებს”. სანამ ბავშვს ფორმირებული არ აქვს წარმოდგენები სიკვდილსა და სიცოცხლეზე, სუიციდის მცდელობა არ ჩნდება. ამიტომ 6-8 წლამდე ასაკის ბავშვებში სუიციდური ტენდენციები ულიდურებად იშვიათია. ხოლო მოზარდებში, რომლებმაც ძალადობა განი-

ცადეს (განსაკუთრებით სექსუალური ძალადობა), ხშირად ჩნდება მდგრადი დეპრესიული განცდები, სიკვდილზე ფიქრი, სუიციდური მცდელობები.

- **აგრესიულობა** სხვებთან მიმართებაში. ბავშვს შეიძლება აღენიშნებოდეს გადიზიანების “აფეთქებები”, ის ვერ აკონტროლებს თავს, ჩხებობს, სასტიკად ეპურობა ცხოველებს, ძლიერ ბრაზს ან რისხვას ავლენს. მაგალითად, ოჯინების დამტვრევისას ბავშვები აგლენენ სათამაშოს ხელებს, ფეხებს, თავს, უთხრიან თვალებს. აღსანიშნავია, რომ ბიჭებსა და გოგონებს განსხვავებული რეაქციები შეიძლება ჰქონდეთ: ბიჭები უფრო აგრესიულები არიან სხვების მიმართ, ხოლო მოზარდი გოგონები უმეტესად აგრესიას საკუთარი თავის წინააღმდეგ ავლენენ.

- **თვითდესტრუქციული ქცევისძენ მიღრეკილება.** ბავშვი ზიანს, ფიზიკურ ტკივილს აყენებს საკუთარ თავს. ის თითქოს ეხმარება საკუთარ თავს, რომ დაუბრუნდეს რეალურ ცხოვრებას, რადგან თავის აზრებსა და გრძნობებში ბავშვი მუდმივად იმყოფება მის მიერ გადატანილ, ფიზიკურად და ფსიქიკურად მატრავმირებელ სიტუაციაში. ფიზიკური ტკივილის გადატანა მისთვის უფრო იოლია, ვიდრე სულიერი ტკივილის. ამას გარდა, ბავშვი თვლის, რომ ის ცუდია და საკუთარ თავს ისჯის.

- **დისოციაციები.** ბავშვი თითქოს საკუთარ თავს გამოჰყოფს სხეულისაგან და ფიქრებში ეფლობა, სამყაროსადმი ემოციურ გულგრილობას ავლენს. ამგვარი მდგომარეობა ბავშვს შეიძლება უცებ გაუჩნდეს, თამაშის დროსაც კი, თუკი ვინმემ მას აწყენინა ან რაიმემ მატრავმირებელი მოვლენა გაახსენა. გამოთიშულობის მდგომარეობა ძალზე ხამოკლეა, მაგრამ თუ ბავშვი ვერ იპოვის ადაპტაციის სხვა, უფრო კონსტრუქციულ ხერხებს და ხშირად მოიშველიებს პრაქტიკაში ამგვარ დაცვით მექანიზმს, ამან შეიძლება გამოიწვიოს პიროვნების გაორება, რამდენიმე “ზე”-ს განცდა, თუმცა ეს საკმაოდ იშვიათად ხდება.

## **ანამნეზის შეგროვების და დაფიქსირების თავისებურებები**

ანამნეზის დაფიქსირება სამედიცინო დოკუმენტებში ხდება სრულად, რაც ხელს უწყობს ძალადობის ფაქტის იურიდიულად დადასტურებას. ექიმმა ასევე უნდა გადაწყვიტოს, გამართლებულია თუ არა ანამნეზის დეტალური შეგროვება.

## **ანამნეზის დეტალური შეგროვება გამართლებულია, თუ:**

- ბავშვს ოვითონ სურს ფიზიკურ ძალადობაზე საუბარი;
- ანამნეზური მონაცემების შეგროვება აუცილებელია ტრავმის ხასიათის დასადგენად და მკურნალობის დასანიშნად;
- აუცილებელია სასწრაფო ქმედებები ბავშვის სიცოცხლის დასაცავად, შემდგომი ფიზიკური ძალადობის თავიდან ასაცილებლად.

## **გამართლებული არაა, ბავშვს გეითხოთ ძალადობის შესახებ, თუ:**

- ბავშვი ძალიან მოუსვენარია;
- დიაგნოზის დასაზუსტებლად და მკურნალობის დასანიშნად დამატებითი მონაცემები არ გვჭირდება;
- სპეციალისტი არ არის მომზადებული ან არ აქვს ძალადობა განცდილ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება;
- ბავშვმა ცოტა ხნის წინ ისაუბრა განცდილ ძალადობაზე სხვა სპეციალისტთან.

ანამნეზის შეგროვებისას უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვი, შესაძლებელია, შეეცადოს ძალადობის ფაქტის დამალვას, რათა დაიცვას მშობელი ან იმის გამო, რომ ეშინია, მშობელმა კვლავ არ დასაჯოს ფიზიკურად.

**თუ ბავშვს აღენიშნება ძალადობის ფიზიკური ნიშნები, უმჯობესია, თუ ამის შესახებ ბავშვს დია კითხვით მიმართავთ, მაგალითად:**

„ვხედავ, რომ შენ გაქვს [ნიშნები/სისხლჩაქცევები] შენს [...]“. „კველაფური მომიყევი ამის შესახებ“.

## როდესაც ბავშვი განსაკუთრებით „ჩაკეტილია“

**შენიშვნა:** ეს მეთოდები მხოლოდ მაშინ უნდა იყოს გამოყენებული, როცა ძალადობის დამადასტურებელი მყარი მტკიცებულებანი არსებობს. თუ ეს ასე არ არის, მაშინ ეს მიმართვები განზოგადებული სახით შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. წუხილის გამოხატვა: შენზე გწუხვარ/ვფიქრობ, რადაც შეგემოხვა. [განზოგადებული ფორმა: ჩემი მოვალეობაა ბავშვებზე ზრუნვა და მე განვიცდი, როცა მათ რადაც ემართებათ].
2. ახსნა: შეგიძლია მენდო და მომიყვე რაც მოხდა. . . [განზოგადებული ფორმა: მე ვუსმენ ბავშვებს/ბავშვებს შეუძლიათ მენდონ და მომიყვნენ, თუ რა შეგემოხვათ].
3. ბავშვისგან პასუხისმგებლობის ტვირთის ჩამოხსნა: თუ რაიმე მოხდა, იცოდე, რომ ეს შენი ბრალი არ არის. [განზოგადებული ფორმა: როცა რაიმე ხდება, ეს ბავშვის ბრალი არ არის].

### მოერიდეთ:

- ფიზიკურ კონტაქტს სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან;
- შიშის, ზიზღის ან დაეჭვების გამომხატველ ემოციურ რეაქციებს ბავშვის მონათხობზე;
- გრძნობების მძაფრად გამოხხატვას, იმის მიუხედავად, რასაც არ უნდა ყველდეს ბავშვი;
- პასუხისმგებლობის მხოლოდ საკუთარ თავზე აღებას;
- სხვა სპეციალისტების (მაგალითად, ფსიქოლოგის, გამომძიებლის) ფუნქციების საკუთარ თავზე აღების მცდელობას;
- ბავშვის მონათხობის ინტერაქტიურებას.

## დასრულება

საუბრის შემდეგ მადლობა გადაუხადეთ ბავშვს ნდობისა და გამბედაობისთვის. უთხარით, რის გაკეთებას აპირებთ. მაგალითად, „მე ვაპირებ შენს დედას დაგელაპარაკო იმის შესახებ, რაც მოხდა, იმისთვის, რომ ერთად მოვიფიქროთ, როგორ დაგიცვათ შენ“.

## ბიბლიოგრაფია

1. „მომიყევი რა მოხდა“ დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა სახელმძღვანელო ტრენერების და პროფესიონალებისთვის, ავტორთა ჯგუფი - ე. თავართქილაძე და სხვები, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2014
2. Lamb, M. E., Hershkowitz, I., Orbach, Y. & Esplin, P. W. Tell me what happened: Structured investigative interviews of child victims and witnesses. Chichester, UK and Hoboken, NJ: Wiley. 2008.
3. Lamb, M. E., La Rooy, D. J., Malloy, L. C., & Katz C. (Eds.) Children's Testimony: A Handbook of Psychological Research and Forensic Practice. 2011.
4. Dougie Gray- Investigative Interviews with Children- A Practice Companion, Revised April 2014

# ბაზისური წარმოდგენები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ

## ● რა არის სექსუალური ძალადობა ბავშვზე

### განმარტება

**სექსუალური ძალადობა** – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარეუნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ.

(საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“)

ბავშვზე სექსუალური ძალადობა მოიცავს: სექსუალური მეტყველებით თუ შენიშვნებით დევნას, სექსუალურ გარეუნას, ეროტიულ ალერსს, ბავშვისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღებას, სექსუალური შინაარსის ფილმების ყურების ან პორნოგრაფიული ჟურნალების დათვალიერების ნებართვას ან ხელშეწყობას, გაუპატიურებას ან გაუპატიურების მცდელობას, სასქესო ორგანოების დემონსტრირებას, დიდ საუბრებს სექსზე ბავშვის შოკირების ან მისი ცნობისმოყვარეობის გადვიძების მიზნით, სისხლის აღრევას (ინცესტი), სხეულით ვაჭრობის იძულებას და სხვა. სექსუალური ძალადობა ბავშვისთვის ყველაზე მძიმე ფსიქოლოგიურ ტრაგმად არის აღიარებული.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბავშვი!

## ● მთები და რეალობა სექსუალური ძალადობის შესახებ

**მთი.** ბავშვები ტყეუიან იმის შესახებ, რომ მათ მიმართ ხორციელდება სექსუალური ძალადობა.

**რეალობა.** ბავშვები იშვიათად ტყეუიან იმის შესახებ, რომ მათ მიმართ ხორციელდება ძალადობა. უფრო პირიქით, მათ შეიძლება შეამცირონ

ძალადობის ბუნება და ხარისხი, რადგან ემინიათ მოძალადისა და აგრეთვე შიშობენ, რომ მათ ვერ გაუგებენ ან დაადანაშაულებენ.

**მითი.** ბავშვები თვითონ არიან მაცდუნებლები მოზრდილისა და ბავშვის სექსუალურ ურთიერთობებში.

**რეალობა.** ბავშვებს, ისევე როგორც ყველა სხვა ცოცხალ არ-სებას, ახასიათებთ სექსუალური განცდები, მაგრამ მათ ჯერ არ აქვთ ცოდნა და გამოცდილება იმისათვის, რომ თანატოლთა წრის გარეთ სექსუალური გამოცდილების ინიცირება მოახდინონ. მოზრდილ ადამიანებს აქვთ ასეთი ცოდნა და გამოცდილება. ისინი აცნობიერებენ, რომ სექსუალური ქმედებებით ექსპლუატაციას უწევენ და ზიანს აყენებენ ბავშვს.

**მითი.** ბავშვის მიმართ სექსუალურ ძალადობას უმეტესწილად ბავშვისთვის უცხო, უცნობი ადამიანები ახორციელებენ.

**რეალობა.** ხშირ შემთხვევაში (შემთხვევათა 75-90%) ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობას ახორციელებენ ადამიანები, რომლებსაც ბავშვები კარგად იცნობენ და რომლებსაც ენდობიან.

**მითი.** სექსუალური ძალადობა მხოლოდ ერთხელ ხდება.

**რეალობა.** ხშირად ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა ხანგრძლივად მიმდინარე პროცესია, რომლის დროსაც მოძალადე სარგებლობს ბავშვთან დამყარებული ახლო ურთიერთობით, ბავშვის ნდობით. ხშირად უმუალოდ სექსუალურ ქმედებებში ბავშვის ჩართვას წინ უსწრებს სექსუალური ელფერის ხანგრძლივი “მოსამზადებელი” პერიოდი.

**მითი.** სექსუალური ძალადობა იწყება პუბერტატულ (მოზარდობის) ასაკში.

**რეალობა.** სექსუალური ძალადობა შეიძლება განხორციელდეს, როცა ბავშვი ჯერ კიდევ ჩვილობის ასაკშია. სკოლამდელი ასაკის ბავშვები ითვლებიან მაღალი რისკის ჯგუფად. ყველაზე ხშირად ძალადობას განიცდიან 6-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვები.

**მითი.** ბავშვებს აზიანებს მხოლოდ სქესობრივი აქტი.

**რეალობა.** ბავშვისთვის მატრაქშირებელია სექსუალური ძალა-დობის ნებისმიერი ფორმა. სექსუალური ძალადობით მიყენებული ზიანი ემოციური ბუნებისაა და მომდინარეობს იმედგაცრუების, ღა-ლატის, იზოლაციის, სირცხვილის, შფოთვის და ბავშვობის და-კარგის განცდებიდან, რომლებსაც ბავშვი გრძნობს და მას მოზრ-დილ ცხოვრებაშიც გაჲყვება.

### ● სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენის სინელექტი

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების გამოვლენა, რო-გორც წესი, ძალიან როგორია რამდენიმე მიზეზის გამო:

- ბავშვები უხალისოდ ყვებიან ან საერთოდ არ ყვებიან მომხ-დარის შესახებ, რადგან დამოკიდებული არიან მოზრდილ მო-ძალადებზე ან მისი ეშინიათ; ფიქრობენ, რომ გარემომცველებმა ისედაც ყველაფერი იციან; უხერხულობის და სირცხვილის გრძნობები აწუხებთ; არ ესმით, რომ მათ ზიანი მიაყნეს, ეშ-ინიათ, რომ მათ დასჯიან.
- ოჯახში მომხდარი სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, შშობლებს ხშირად მიაჩნიათ, რომ ეს ოჯახის საქმეა და სხვას არ ეხება.
- არ არსებობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ყველა ბავშვისთვის დამახასიათებელი ერთნაირი ნიშნების ნაკრები, რომელთა გამოვლენით ჩვენ შეიძლებოდა სრული დამაჯერებლობით გვეთქვა, რომ ბავშვის მიმართ სექსუალურ ძალადო-ბას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. ამიტომაც აუცილებელია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გავითვალისწინოთ გა-მოვლენილ ნიშანთა ერთობლიობა.
- ზოგჯერ, როცა ბავშვი მის მიმართ განხორციელებული სე-ქსუალური ძალადობის შესახებ ყვება, მოზრდილი ადამიანი არ უჯერებს მას და უჟენება: “შენ ეს ყველაფერი მოიგონე”.

გამოკვლევების თანახმად, ბავშვი იშვიათად “იგონებს” მსგავს ისტორიებს. ამიტომაც იმ მომენტში, როცა ბავშვი მოზრდილს უამბობს რაიმეს განხორციელებული ძალადობის შესახებ, მოზრდილის მხრიდან დაუშვებელია პანიკა, ბავშვის ნათქვამ-ში დაეჭვება, ბავშვის დასჯა.

### ● მსხვერპლის ამოცნობა - ფიზიკური და ქცევითი ნიშნები; მოზარდთა სარისკო ქცევები

ვინაიდან ბავშვზე სექსუალური ძალადობა ძალის გამოყენებით იშვიათად ხდება, მომხდარის ფიზიკური ნიშნების პოვნა ბავშვის სხეულზე ყოველთვის ვერ ხერხდება. ოუმცა, შეიძლება შეიცვალოს ბავშვის ქცევა. ამიტომ, ეჭვის შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს მის ქცევაში ახალი და უჩვეულო მახასიათებლების გაჩენას.

ფიზიკური სიმპტომები, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია იმასთან, თუ რა ფორმით მოხდა სექსობრივი აქტი ან სხვა სახის ძალადობა:

- ორალური სიმპტომები: ეგზემა, დერმატიტი, ჰერპესი სახეზე, ტუჩებზე, პირის დრუში; ამას გარდა, საკვებზე უარის თქმა (ანორექსია); ჭარბი კვება (ბულიმია);
- ანალური სიმპტომები: დაზიანებები სწორ ნაწლავში, ანუსის შეწითლება, ვარიკოზული ცვლილებები, სფინქტერის შესუტება, ყაბზობა.
- ვაგინალური სიმპტომები: საქალწულე აპეის დარღვევა, საშოს გაფართოება, ახალი დაზიანებები (ჭრილობები, ნაკაწრები), თანმდევი ინფექციები.

ამას გარდა, ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის ფიზიკური სიმპტომებია:

- დახეული, დასვრილი ან სისხლიანი ქვედა საცვალი;
- ჰემატომები (ჩალურჯებები) სასქესო ორგანოების მიღამოებში;
- ჰემატომები და ნაკბენები მკერდზე, დუნდულებზე, ფეხებზე, მუცელის ქვედა ნაწილზე, თემოებზე;
- სისხლდენები, აუქსენელი გამონადენები სასქესო ორგანოებიდან;

- შარდსასქესო გზები განმეორებადი ანთებები;
- ტკივილი მუცელში;
- სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები;
- ორსულობა (ბავშვის მამის დასახელებაზე უარის თქმის ან არასაკმარისი ფსიქო-სექტუსლური განვითარების მქონე გოგონების შემთხვევაში).

**გადატანილი სექსუალური ძალადობის ნიშნებს წარმოადგენს სხვადასხვა ცვლილებები ბავშვის ქცევაში.**

ცვლილებები ბავშვის სექსუალურობის გამოხატვაში:

- სექსუალური შინაარსის თამაშების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი;
- ასაკისთვის შეუფერებელი ცოდნა სექსუალური ცხოვრების შესახებ;
- გამომწვევი, „მაცდუნებელი“ ქცევა საპირისპირო სქესთან და მოზრდილებთან მიმართებაში; სექსუალური ქმედებები სხვა ბავშვებთან (დაწყებული უმცროსი სასკოლო ასაკიდან);
- უჩვეულო სექსუალური აქტიურობა: უმცროსი ბავშვების სექსუალური გამოყენება; მასტურბაცია (დაწყებული სკოლამდელი ასაკიდან), სასქესო ორგანოების ხახუნი მოზრდილის სხეულზე, პროსტიტუცია.

**ცვლილებები ბავშვის ემოციურ მდგომარეობასა და ურთიერთობაში:**

- ჩაკეტილობა, იზოლაცია, განმარტოება;
- დეპრესიულობა, მოწყენილი გუნება-განწყობილება;
- ზიზდი, სირცხვილი, ბრალეულობა, უნდობლობა, „გაფუჭებულობის“ გრძნობა;
- ხშირი ჩაფიქრება, გაუცხოება (გვხვდება ბავშვებთან და მოზარდებთან, დაწყებული სკოლამდელი ასაკიდან);
- ისტერიული ქცევა, თვითკონტროლის სწრაფი დაკარგვა;
- თანატოლებებთან ურთიერთობის სიძნელეები, მათთან ურთიერთობისთვის თავის არიდება, მისი ასაკის მეგობრების არ-

- ყოლა ან უარის თქმა ძველ მეგობრებთან ურთიერთობაზე;
- ძმების და დებისგან გაუცხოება;
  - უმცროსების და თანატოლი ბავშვების ტერორიზება;
  - სისახტიკე სათამაშოების მიმართ (მცირეწლოვან ბავშვებთან);
  - აბივალენტური გრძნობები მოზრდილების მიმართ (დაწყებული უმცროსი სასკოლო ასაკიდან).

### **ბავშვის პიროვნების და მოტივაციის ცვლილებები, სოციალური ნიშნები:**

- თავის დაცვის, ძალადობისთვის წინააღმდეგობის გაწევის უუნარობა, შემგუებლობა;
- სასკოლო მოსწრების მკვეთრი ცვლილება (უარესობისკენ ან გაცილებით უკეთესობისკენ);
- სკოლის გაცდენები, სწავლაზე უარის თქმა ან თავის არიდება;
- მშობლის როლის საკუთარ თავზე აღება ოჯახში (საკვების დამზადება, რეცხვა, დაღაგება, უმცროსების მოვლა და მათი აღზრდა);
- მისი ოჯახის ტრადიციების უარყოფა სოციალური როლების და მასში საჭუთარი როლის ჩამოუყალიბებლობის გამო, სახლიდან წასვლის ჩათვლით (დამახასიათებელია მოზარდებისთვის).

### **ბავშვის თვითცნობიერების შეცვლა:**

- თვითშეფასების მკვეთრი დაქვეითება;
- აზრები თვითმკვლელობაზე, თვითმკვლელობის მცდელობები.

### **ნევროტული და ფსიქოსომატური სიმპტომების გაჩენა:**

- რომელიმე ადამიანთან ერთად შენობაში მარტო დარჩენის შიში;
- ტანსაცმლის გახდის შიში (მაგალითად, შეიძლება კატეგორიული უარი თქვას ფიზკულტურის გაკვეთილებზე მეცადინეობებში მონაწილეობაზე, ცურვაზე, ბანაობაზე, ან ქვედა საცვლის გახდაზე სამედიცინო დათვალიერების დროს).
- თავის ტკიფილი, ტკიფილები კუჭის და გულის არეში.

აღნიშნული გამოვლინებები საფრთხის სიგნალებად უნდა მივიჩნოთ და მათი შემჩნევა სპეციალისტთან დაუყოვნებლივ მიმართვის საბაბი უნდა იყოს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ერთი ცალკე აღებული ნიშანი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გავაკეთოთ დასკვნა სექსუალური ძალადობის შესახებ.

### ● ვინ შეიძლება იყოს მოძალადე?

არსებობს უამრავი მცდარი შეხედულება მოძალადის შესახებ.

- ითვლება, რომ მოძალადე შეიძლება იყოს მხოლოდ მამაკაცი. თუმცა, სტატისტიკის მიხედვით, ბავშვებზე მოძალადეთა 2%-ს ქალები შეადგენებ. სპეციალისტთა აზრით, მათი რაოდენობა რეალურად მეტია, ვინაიდან ამ შემთხვევების გამოვლენა უფრო ძნელია იმ მიზეზის გამო, რომ ტრადიციულად, ბენგბრივად აღიქმება ბავშვის გვერდით ქალის ყოფნა და ქალი-მოძალადისთვის უფრო იოლია იმის დამალვა, რაც ხდება.
- მეორე, მიჩნეულია, რომ მოძალადეები ხანდაზმული ადამიანები არიან. თუმცა, ჩვეულებრივ, ეს ადამიანები 40 წელზე ნაკლები ასაკისანი არიან, მათი 50% მოძალადე ყალიბდება 30 წლის ასაკში.
- არსებობს მოსაზრება, რომ ბავშვზე სექსუალური ძალადობის განხორციელება შეუძლია მხოლოდ ფსიქიკურად ავადმყოფ ადამიანს. თუმცა, მოძალადეთა მხოლოდ 5%-ს აღენიშნება ფსიქიკური აშლილობები ან ქცევითი და ემოციური დარღვევები. ამასთან, მოძალადეთა დაახლოებით 1/3-ს აქვს დამოკიდებულების სინდრომი (ალკოჰოლიზმი ან ნარკომანია) და მათგან მხოლოდ 1/3-მა განახორციელა ძალადობა ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგრმარეობაში.
- ბევრს პგნია, რომ ბავშვზე სექსუალურად მოძალადეები უფრო ხშირად მისთვის უცნობი ადამიანები არიან. ცნობილია, რომ ძალადობის შემთხვევათა მხოლოდ 10 – 25 % ხორციელდება უცნობი ადამიანების მიერ

**მოზრდილთა ქცევები, რომლებიც, შესაძლოა, ძალადობაზე მიუ-  
თითებდნენ:**

### **პირადი სივრცე**

- სხვებს უხერხულობაში აგდებს / არღვევს ფიზიკურ და ფსი-  
ქოლოგიურ საზღვრებს
- ბავშვს არ აძლევს თავისუფლებას და განუწყვეტლივ ამ-  
ცირქს მას
- ხშირად შედის ბავშვების გასახდელში / სააბაზანოში

### **ბავშვებთან ურთიერთობა**

- ბავშვთან ზედმეტი სიახლოვე
- ბავშვებთან საიდუმლო ურთიერთობები (მაგ. თამაშები, ალკოჰო-  
ლის თუ ნარკოტიკების გაზიარება, პორნოგრაფიის გაზიარება)
- იოხოვს ბავშვებთან მარტო დარჩენას
- ზედმეტად კეთილი ჩანს - ბავშვებს ხშირად იტოვებს, ჩუქნის  
მათ საჩუქრებს, აძლევს მათ ფულს - მაშინ, როცა ამის არა-  
ვითარი მიზეზი არ არსებობს
- მოზარდებს ზედმეტ თავისუფლებას აძლევს.

### **სექსუალური ქცევა და საუბარი**

- ხშირად მიუთითებს სექსუალურ გამოსახულებებზე და ყვება  
გარყვნილ ანეკდოტებს
- ზედმეტადაა დაინტერესებული ბავშვის სხეულის ცვლილე-  
ბებით.

**● როგორ მოვიქცეთ და ვის მივმართოთ? - ინტერვენციის  
დაგეგმვის ნაბიჯები**

ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებს შეიძლება გაუჩნდეთ  
ეჭვი, რომ ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლია, როცა:

- ბავშვი ამბობს ამის შესახებ;
- მშობელი ამბობს ამის შესახებ;
- მშობელი აღნიშნავს სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირუ-  
ბულ სიმპტომებს;

- ბავშვს აქვს შესაბამისი ფიზიკური და ქცევითი ნიშნები;
- ბავშვის დაცვის სამსახურები ან პოლიცია გამოთქმების ვარაუდს, რომ ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლია;
- სხვა სპეციალისტი გამოთქვამს ეჭვს, რომ ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლია.

### **რეკომენდაციები პროფესიონალთათვის**

- გაიარეთ კონსულტაცია სხვა სპეციალისტებთან, რომელთაც ბავშვზე სექსუალური ძალადობის საკითხებში გამოცდილება აქვთ;
- აღწერეთ ოქვენი ეჭვები და შეაფასეთ ბავშვის ფსიქოლოგიური მდგრძალება;
- ეჭვის არსებობის შემთხვევაში, მიმართეთ სოციალური მომსახურების სააგენტოს/პოლიციას 48 საათის განმავლობაში;

### **გახსოვდეთ:**

- ბავშვის უსაფრთხოება მთავარია;
- შეძლებისდაგვარად შეინარჩუნეთ ობიექტურობა;
- „ეჭვ“ არ არის „დასკვნა / დიაგნოზი“, ეს არის საწყისი წერტილი იმისთვის, რომ მეტი დაინახო;
- გაუზიარეთ ინფორმაცია შესაბამის პირებს;
- სექსუალური ძალადობის დიაგნოსტირება „ფაზლივითაა“ - სწორი დიაგნოსტირებისთვის ბევრი სხვადასხვანაირი დეტალია საჭირო და შეიძლება თქვენ „ფაზლის“ მხოლოდ ერთი ფრაგმენტი გქონდეთ ხელთ;
- ბავშვს მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად გაუსაუბრეთ. თქვენი ეჭვები და აზრები გაუზიარეთ მშობლებს, თუ, რა თქმა უნდა, ამგვარი ქმედება ბავშვს საფრთხეს არ შეუქმნის;
- ოჯახში ბავშვის დაბრუნება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მას საფრთხეს არ შეუქმნის.

## მიმართვა

- როდესაც არსებობს ეჭვი, რომ ბავშვი არის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები ვალდებული არიან, მიმართონ ბავშვთა დაცვის (სოციალური მომსახურების სააგენტო) და/ან სამართალდამცავ ორგანოებს;
- თუ მიმართვას ტელეფონით განახორციელებთ, მოახდინეთ მიმართვის წერილობითი დადასტურება უახლოესი 48 საათის განმავლობაში. წერილობითი მიმართვა უნდა დადასტურდეს ერთი სამუშაო დღის განმავლობაში. თუ სამი სამუშაო დღის განმავლობაში მიმართვას რეაგირება არ მოჰყვა, მიმართვა კიდევ ერთხელ უნდა განმეორდეს;
- როგორც წესი, უმჯობესია მიმართვის გაკეთებამდე ამის შესახებ მშობლებთან გასაუბრება, თუ ეს საფრთხეს არ უქმნის ბავშვს.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა სისხლის სამართლებრივი დანაშაულია. ბავშვთა დაცვის სამსახურს და პოლიციას აქვთ ის ძალაუფლება, რაც აუცილებელია ბავშვის დასაცავად.

## ბიბლიოგრაფია

1. ავტორთა ჯგუფი: ქ. თავართქილაძე და სხვები, „ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხები“, საკითხსავი მასალა სტუდენტებისთვის, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი, 2011
2. Perry, B.D. (2000). Traumatized children: How childhood trauma influences brain development
3. Finkelhor D. A (1986). Sourcebook on child sexual abuse..London, Sage
4. Greenwald, R. (2005). Child Trauma Handbook.

### III

## ოჯახში ძალადობა - სამედიცინო სისტემის თანამშრომლის როლი

### შესავალი

ის, რომ არ ხარ ავად, არ ნიშნავს,  
რომ ჯანმრთელად ხარ...

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) განმარტების თანახმად, ჯანმრთელობა - ეს არის ადამიანის ფიზიკური, ფსიქიკური და საზოგადოებრივი მდგომარეობა. ოჯახში ძალადობა (ოჯახის ნებისმიერი წევრის მიმართებაში) არის სერიოზული საშიშროება ჯანმრთელობისთვის.

მსოფლიოში ყოველ მესამე ქალს პქონია ძალადობრივი გამოცდილება. ძირითადად, ძალადობა ხდება ქალის პარტნიორის მხრიდან, რასაც ადასტურებს ქალების 30%. ძალადობის შედეგად მსხვერპლი განიცდის: სხეულის მუდმივ დაზიანებას, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებს, ფსიქიკურ პრობლემებს. ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები თითქმის ორჯერ უფრო მეტად იტანჯებიან დეპრესიით და ალკოჰოლიზმით. მათი 16% აჩენს არასრულფასოვან შვილს (მცირე წონის ბავშვს), ორჯერ მეტად იღებენ აბორტის გაკეთების გადაწყვეტილებას, ხოლო ცალკეულ რეგიონებში ერთნახევარჯერ მეტია ვენერიულ დაავადებათა რაოდენობა ძალადობის მსხვერპლებში.

ქალების 20-დან 35%, რომლებიც სასწრაფო დახმარებას ითხოვენ, ძალადობის მსხვერპლით არიან. ეს მონაცემები საგანგაშოა!

ქალები ხშირად ითხოვენ სამედიცინო დახმარებას იმ პრობლემების გამო, რომლებიც მათ პარტნიორის ძალადობის შედეგად

აღმოუჩნდებათ. მსოფლიოში ქალების 25-40% ოჯახში ძალადობის პრობლემის შესახებ უკნება ოჯახის ექიმს, ხოლო პაციენტების 11% ორსულობის დროს ამჟღავნებს ამ ფაქტს.

**სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს (ექიმები, უქონები, სასწრაფო დახმარების მუშაკები) აქვთ ძალადობის შემთხვევის ინტერენციის გალდებულება და შესაძლებლობა<sup>9</sup>.**

საქართველოს კანონში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ ხაზგასმულია:

მუხლი 9<sup>1</sup>. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენა

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენას და მასზე შესაბამის რეაგირებას უზრუნველყოფენ სამართლდამცავი ორგანოები და სასამართლო ორგანოები, აგრეთვე, ამ კანონით დადგენილი წესით - მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის პირველადი იდენტიფიკაციის და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისადმი მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულებების, არასრულწლოვნითა შემთხვევაში - აგრეთვე საგანმანათლებლო და სააღმზერდელო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომლებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს.

9 - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №152/6 - №496 - №45/6 ერთობლივი ბრძანების თანახმად, ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა ვალება ყველა დაწესებულებას, რომელიც ურთიერთობს ბავშვთან, მათ შორის სამედიცინო დაწესებულებებს, სოფლის ექიმს. ექიმები ვალდებული არიან, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე მოახდინონ ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული გადაუდებელი მდგომარეობის და ბავშვზე განხორციელებული ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის იდენტიფიკაცია და აწარმოონ შემთხვევის მართვა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში. (რედ.)

ჯანმრთელობის დაცვის სისტემა უმნიშვნელოვანეს როდს ას-  
რულებს ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთასა და მასზე რეა-  
გირების კუთხით. ცხოვრების რომელიდაც ეტაპზე უვალა ქალი  
მიმართავს ექიმს. სამედიცინო სფეროს მუშაკები ხშირ შემთხვევა-  
ში პირველები არიან, ვისთანაც ურთიერთობენ ქალები, რომლებიც  
ძალადობას განიცდიან.

სამედიცინო სფეროს მუშაკებს უნიკალური საშუალება აქვთ,  
გამოავლინონ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი და გაუწიონ მათ  
დახმარება. ყველა სპეციალობის ექიმი თავის პრაქტიკაში ხვდება  
სხვადასხვა სიტუაციას, რომელიც ეხმარება ძალადობის იდენტიფი-  
კაციაში. ძალადობაგამოვლილ ქალებს განსაკუთრებული სიხშირ-  
ოთ ხვდებიან შემდევი სახის სპეციალისტები: სასწრაფო დახმარების  
ექიმი, ოჯახის ექიმი, თერაპევტი, ქირურგი, ტრავმატოლოგი, გინე-  
კოლოგი, ფსიქიატრი, კარდიოლოგი, რადიოლოგი, ნევროპათოლოგი...

ძალადობის მსხვერპლ ქალებს კიდევ უფრო მეტი კონტაქტი აქვთ  
ექიმების ასისტენტებთან, მედდებთან, ფიზიოთერაპევტებთან. ამი-  
ტომ მნიშვნელოვანია, მათაც შეძლონ ძალადობის გამოვლენა და  
მსხვერპლის დახმარება.

ყველა სპეციალისტი, რომელსაც შეხება აქვს ქალებთან და  
ბავშვებთან, ვალდებულია, ყურადღებით იყოს ძალადობის ნიშნე-  
ბისადმი და იცოდეს, თუ რა კავშირია ოჯახში ძალადობასა და  
ქალზე/ბავშვზე ძალადობას შორის. გარდა ამისა, ექიმი (პედიატრი,  
ოჯახის ექიმი და სხვა) ინფორმირებული უნდა იყოს, სად შეიძლება  
მოიძიოს დახმარება ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალის/ბავშვის  
აღმოჩენის შემთხვევაში.

ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, რომლებიც ხშირად იზოლა-  
ციაში არიან, ექიმთან ვიზიტი შეიძლება იყოს კონტაქტის ერთადერთი  
საშუალება. ქალები განსაკუთრებით ენდობიან სამედიცინო სფეროს  
მუშაკებს და შეუძლიათ უამბონ მათ ძალადობის ფაქტების შესახებ.  
ხშირად ექიმი არის ის პირველი ადამიანი, რომელსაც მსხვერპლი  
უმხელს პრობლემას. სწორედ ეს არის საუკეთესო მომენტი, აუხსნათ,  
სად უნდა ითხოვოს მან დახმარება.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ხაზს უსვამს დახმარების აუცილებელ საჭიროებას - როგორც ძალადობის შეწყვეტის კუთხით, ასევე, მსხვერპლისთვის პროფესიული დახმარების გაწევის. ასევე, ურჩევს სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს სხვადასხვა ტრენინგზე დასწრებას.

მიიჩნევა, რომ ძალადობის სიმპტომების გაგება ოჯახის ექიმების-თვის უფრო მარტივი და სწრაფი პროცესია, ვიდრე სხვა დანარჩენი სპეციალისტებისთვის. ოჯახის ექიმი უურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ დაავადებების პრევენციაზე, დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე, არამედ სხვა ასპექტზეზეც. აქედან გამომდინარე, ოჯახის ექიმი უნდა იცნობდეს ოჯახურ და სოციალურ კონტექსტს. რაც მნიშვნელოვნად გააადვილებს ოჯახში ძალადობის პრევენციას, ფაქტების გამოვლენას და მსხვერპლთა დახმარებას. სამწუხაროდ, რეალობაში ვითარება სხვანაირია: მიუხედავად იმისა, რომ ექიმი ძალადობის აღმოჩენის შემთხვევაში წუხს, ის მაინც ფიქრობს: „ეს ჩემი პაციენტის პირადი საქმეა და არა ჩემი...“

## **პაციენტი - ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის სხვერპლია: ექიმთან კონტაქტი**

თუ ექიმის კაბინეტში აღმოჩნდება პაციენტი, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა ძალადობა, მას სხვანაირი მოპყრობა სჭირდება.

ექიმმა უნდა იეჭვოს ოჯახში ძალადობის არსებობა იმ შემთხვევაში, როდესაც არადამაჯერებლად უდერს ქალის ახსნა-განმარტებები სხეულის დაზიანებების მიზეზებთან ან სხვადასხვა სახის ტკიფილთან დაკავშირებით. იმ შემთხვევებში, როცა არსებობს სიმპტომები და ექიმებს უძნელდებათ ორგანული დაავადების მოქება და კონკრეტული დიაგნოზის დასმა.

განსაკუთრებული უურადღება უნდა მიექცეს:

სხეულის დაზიანებებს: ნაკაწრები, ჭრილობები, მოტეხილობები, დაჟეჟილობები, ტრავმა, სისხლჩაქცევები...

სომატურ ჩივილებს: თავის ტკივილი, ზურგის ტკივილი, მუცლის და მენჯის მიდამოში ტკივილები, ჰიპერტონია, საერთო სისუსტე, გულისცემის გაძლიერება, გულის არეში არატიპიური ტკივილი...

გინეკოლოგიურ დარღვევებს: ვაგინალური ტკივილები, სქესობრივი დისფუნქცია, სისხლდენა და გამონადენი, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, ქრონიკული ტკივილი მენჯის არეში.

პრობლემებს ორსულობის პერიოდში: ტრავმები, გაურკვეველი სასიათის ტკივილები, დეპრესია, წონაში მატების ჩამორჩენა, არასასურველი ორსულობა, ორსულობებს შორის მცირე ინტერვალები, ნაადრევები მშობიარობა, მკვდრადშობადობა, ახალშობილთა მცირე მასა, ახალშობილთა სიკვდილიანობა...

ფსიქოლოგიურ პრობლემებს: დეპრესია, მუდმივი შფოთვა, ღამის კოშმარები, უძილობა, ქრონიკული დაღლილობა, მეხსიერების დაქვეითება, ყურადღების კონცენტრაციის სიძნელები, იზოლაციის განცდა, სიტუაციასთან გამკლავების უუნარობა, ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მოხმარება, სუიციდური ქცევა ან სუიციდის მცდელობა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ძალადობის მსხვერპლ ქალს გაცილებით უფრო დიდი დახმარება სჭირდება, ვიდრე ჯანდაცვის სისტემა გვთავაზობს ასეთი სიტუაციების დროს. საჭიროა, გაირკვეს ძალადობის მიზეზები და შევთავაზოთ დახმარება. ეს აუცილებელია პაციენტისთვის, რომ იგრძნოს დახმარების ხელი და ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გარშემომყოფებისთვის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

**- არის თუ არა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი უფრო რთული პაციენტი?**

- სამწუხაროდ, ასეა. ამის მრავალი მიზეზი არსებობს: მათ შორის, ერთ-ერთია პაციენტის მოსაზრება, რომ ექიმის მოვალეობაა დაავადებების განკურნება და არა პირადი ცხოვრების ასპექტებით დაინტერესება. ეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შეხედულებაა ექიმებთან დაკავშირებით.

არის სხვა მიზეზები, რომელთა გამოც ქალები არ საუბრობენ

## ძალადობაზე:

- შიში იმისა, რომ ძალადობის ფაქტის გახმაურება ხელს შეუშლის მის უსაფრთხოებას.
- სირცხვილის და დამცირების განცდა.
- მას მიაჩნია, რომ დაიმსახურა ასეთი მოპყრობა.
- ფიქრობს, რომ არ იმსახურებს დახმარებას.
- იცავს თავის პარტნიორს.
- ჰგონია, რომ მომხდარი აღარ გამეორდება.
- მატერიალურად პარტნიორზეა დამოკიდებული.
- მიაჩნია, რომ ალტერნატივა არ არსებობს.
- ჰგონია, რომ ექიმი ზედმეტად დაპავებულია იმისთვის, რომ დრო დაკარგოს მის პრობლემაზე.
- ჰგონია, რომ ექიმი მას ამ საკითხში ვერ დაეხმარება.
- ფიქრობს, რომ მისი ტრავმები არც ისე სერიოზულია, რომ მათზე ლაპარაკი ღირდეს.

პაციენტთან, რომელსაც, სავარაუდოდ, ძალადობრივი გამოცდილება აქვს, საჭიროა უფრო დრმა ინტერვიუ და რეკომენდებულია ფსიქოლოგიური დახმარება.

მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო სფერო სწრაფად ვითარდება, ექიმის მთავარ საინფორმაციო წყაროდ ისევ პაციენტის ჩივილი რჩება სხვადასხვა პრობლემის შესახებ. ინტერვიუს დროს სასურველია დაგუსვათ ისეთი შეკითხვები, რომლებიც დაგვეხმარება ინფორმაციის მოპოვებაში, მაგრამ არ გააღიზიანებს პაციენტს. პაციენტმა არ უნდა იგრძნოს, რომ მას დაუსვეს არასწორად შერჩეული კითხვა ძალადობის შესახებ. ექიმმა რაც შეიძლება სწორად უნდა ჩამოაჭალიბოს შეკითხვა, კითხვის სწორად დასმისთვის კი საჭიროა შესაბამისი ცოდნა და უნარები.

**- საიდან უნდა დავიწყოთ სიტუაციის შეცვლა?**

- ოჯახის ექიმის შემთხვევაში - რეფლექსიიდან. ბევრ ექიმს აქვს გარკვეული უნარ-ჩვევები ოჯახში ძალადობის ამოცნობისთვის, მა-

გრამ არ იცის, როგორ იმოქმედოს ამ სიტუაციაში, ვის მიმართოს დახმარებისთვის. სამედიცინო განათლების მიღების დროს ძალადობის პრობლემის მოგვარებას და სახელმწიფოში არსებულ ძალადობისგან დაცვის მექანიზმებს ყურადღება არ ეთმობა.

კანონშემოქმედს შეუძლია ახალი უკეთესი კანონების შემოღვბა, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი, საჭიროა ექიმის მენტალიტების შეცვლა. კერძოდ:

- იმ ვალდებულებების გათავისება, რაც მას აკისრია,
- იმის გაანალიზება, რომ რადაც არ იცის,
- საუკეთესო უნარების გამყარება.

**- კიდევ რა სირთულეებს უნდა მოერიოს ექიმი, გარდა ცოდნისა, რომ დაამარცხოს ძალადობა?**

- ოჯახის ექიმს შესაძლებელია, ჰქონდეს მრავალი სირთულე ძალადობასთან დაკავშირებით. ხშირად ის ემსახურება მოელოჯახს, ანუ იცნობს არა მხოლოდ ძალადობის მსხვერპლს, არამედ პოტენციურ მოძალადეს. ექიმმა უნდა იცოდეს, რომ მისი მოქმედება გაცილებით მეტ სარგებელს მოიტანს, ვიდრე ზიანს.

თუ პაციენტი ექიმთან მიდის რაიმე ჩვეულებრივი პრობლემით (თავის ტკივილი, ორგანიზმის ფუნქციური დარღვევა და ა.შ.), მაგრამ კვლევა აჩვენებს, რომ მას არაფერი არ სჭირს, საჭიროა მიზეზები უკვე ოჯახში ვეძებოთ.

## **ჯანმრთელობის საკითხები ძალადობის მსხვერპლ ქალებში**

ძალადობის მსხვერპლს ხშირად ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აქვთ: ნევროლოგიური, კარდიოლოგიური, გასტროლოგიური და ა.შ.

ჯანმრთელობის მდგრამარეობაზე ზემოქმედების ძირითადი შედეგია სხვადასხვა სახის ფიზიკური დაზიანება: ცემის შედეგად ხშირად სახეზე, თავსა და ტანზე აღენიშნება ჩალურჯება. ბევრ მსხვევ-

რპლს აღენიშნება თავის მმიმე ტრამვა, რომელიც დაკავშირებულია ნევროლოგიურ გართულებებთან (ტვინის შერყევა, პერატომა, თავის ქალის, ცხვირის დაზიანება), ყბის, კიდურების მოტეხილობა, ყურის აპკის გასკვირა.

მუდმივი დაძაბულობის და საშიშროების მდგომარეობაში ცხოვრება იწვევს მთელ რიგ ცვლილებებს ორგანიზმში, ართულებს ქრონიკულ სომატურ დაავადებებს. გავრცელებული სომატური დაავადებებია: კუჭისა და თორმებგოჯა ნაწლავის წყლული, ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადება, კარდიოლოგიური პრობლემები, მენჯის ანთება, გაგინალური სისხლდენა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, შარდის ბუშტის ინფექციები, ვენერიული დაავადებები (აიგ/შიდსის ჩათვლით).

ქალებზე ძალადობა სხვადასხვა ფსიქოლოგიურ პრობლემას წარმოშობს. განსაკუთრებით გავრცელებული ფსიქოლოგიური პრობლემებია: დეპრესია და პოსტრავმული სტრესული აშლილობა. ძალადობის მსხვერპლები ასევე იტანჯებიან: ძილისა და კვების დარღვევებით, თვითმკვლელობაზე ფიქრებით, პანიკის შეტევებით, ფსიქოზური სიმპტომების გამწვავებით, ბოროტად იყენებენ ალკოჰოლს და სხვა ფსიქოაქტიურ ნივთიერებას.

სექსუალურ ძალადობას მიუვავართ დეპრესიამდე და თვითმკვლელობამდე. ქალების შემთხვევაში, რომლებმაც გამოსცადეს ძალადობა ან ძალადობის რამდენიმე ფორმა ერთდროულად, დიდია ალბათობა, რომ ექნებათ ფსიქოლოგიური პრობლემები.

არსებობს იმის ალბათობაც, რომ წარსულში არსებულმა ფსიქოლოგიურმა პრობლემებმა ძალადობის მაჩვენებელი გაზარდოს ოჯახში - ძალადობის მსხვერპლი ქალები ამავე პრობლემებით იტანჯებიან ძალადობის ფაქტის შემდეგ მრავალი წლის განვლობაში.

## რატომ არ ეკითხებიან ექიმები ოჯახში ძალადობის შესახებ?

ძალადობა ოჯახში ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა მთელს მსოფლიოში. მსხვერპლი კი ძალიან ხშირად გამოსავალს სამედიცინო სფეროში ხედავენ. მრავალი კვლევა აჩვენებს, რომ მსხვერპლი ელოდება, ექიმი როდის დაუსგამს კითხვას ძალადობის შესახებ. ექიმები კი ხშირად ბევრი მიზეზის გამო არ ეკითხებიან ამ პრობლემის თაობაზე. პირველ რიგში, არ ეკითხებიან იმიტომ რომ, შეკითხვის დასმა ოჯახური სიტუაციის შესახებ უხერხულია. მიიჩნევენ, რომ ოჯახური სიტუაცია ადამიანის პირადი საკითხია და არ არის ექიმის კომპეტენცია. ფიქრობენ, რომ თუ შეეკითხებიან ამ თემაზე, პაციენტი ძალიან დაფრთხება.

ოჯახში ძალადობის შესახებ კითხვებმა შეიძლება გამოავლინოს მტკიზნეული პრობლემები, რომელთაც ბევრი დრო და ექიმის დიდი უურადღება დასჭირდება. ექიმებს კი სურთ რაც შეიძლება მოკლე დროში ბევრი პაციენტის მიღება.

ხშირად ექიმებმა უბრალოდ არ იციან, როგორ მოიქცნენ ძალადობის აღმოჩენის შემთხვევაში. არ აქვთ ცოდნა სამართლებრივი პროცედურების შესახებ, ან არ იციან, ადგილობრივი სისტემა როგორ ეხმარება დაზარალებულებს.

ძალადობამ შეიძლება ფსიქიკური დისკომფორტი შექმნას, ამიტომ ასეთ დროს საუბარი ერთ-ერთი ყველაზე გადამწყვეტი თემაპიაა. ხშირად ძალიან რთული წარმოსადგენია, რომ განათლებული და რეალიზებული ადამიანი შეიძლება განიცდიდეს ძალადობას ასევე განათლებული და კულტურული მამაკაცისაგან.

ექიმი შესაძლებელია იცნობდეს პაციენტის პარტნიორს და მიიჩნევდეს, რომ ის აგრესიული ვერ იქნება. დამნაშავეები ხშირად გარეგნულად, სხვების თვალში იქცევიან კარგად. მათ შეუძლიათ დიდი ინტერესი გამოიჩინონ თავიანთი პარტნიორების ჯანმრთელობის მიმართ, დაჟყვებიან ექიმთან ვიზიტებზე, იჩენენ მხარდაჭერას და სიყვარულს.

ხშირად ექიმები არ იწყებენ მოქმედებას მაშინაც, როდესაც გაიგებენ ძალადობის ფაქტის შესახებ. ფიქრობენ, რომ მას შედევი არ ექნება; რომ ქალი არაფერს არ გააკეთებს, დაეთანხმება ძალადობას და ექიმი მხოლოდ დროს დაკარგავს.

არსებობს მრავალი მიზეზი, რომელთა გამოც ექიმები თავს არიდებენ ოჯახური ძალადობის შესახებ კითხვების დასმას. მათ შორისაა:

- პრობლემის გავრცელების და მისი სერიოზულობის არასაკმარისი გაცნობიერება
- აზრი, რომ ქალმა, სავარაუდოდ, თავად მოახდინა თავდასხმის პროგრიტება
- აზრი, რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და დაზარალებული ქალის გაგზავნა სხვადასხვა სამსახურში არ არის ექიმის საქმიანობის ნაწილი
- ქალის დახმარების არცოდნა მაშინაც კი, როდესაც ძალადობა სახეზეა
- პაციენტის „დადანაშაულება“ იმის გამო, რომ ქალი არ მიღის სახლიდან
- უნდობლობა, რადგან სავარაუდო მოძალადე ესწრება ვიზიტს და გამოიყერება საქმაოდ მზრუნველ და სასიამოვნო ადამიანად
- გარაუდი, რომ ფსიქოსოციალური პრობლემების განხილვა დაიკავებს ძალიან დიდ დროს
- ექიმი შეიძლება გრძნობდეს უსუსურობას, თუ მას არ შეუძლია სიტუაციის გამოსწორება.

პიროვნული მიზეზების გარდა, მნიშვნელოვანია ექიმისა და პაციენტის ურთიერთობით გამოწვეული მიზეზები:

- არასაკმარისი ნდობა
- არასათანადო გარემო
- საკითხის არასწორად დაყენება (შეუფერებელი კითხვები).

## როგორ გავარკვიოთ ნამდვილად ძალადობასთან გვაქვს საქმე თუ არა?

ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები შეიძლება გამოდგეს ძალადობის აღიარების უფლებურობის ასამაღლებლად სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში:

- სტანდარტული კითხვები, რომლებიც დიაგნოზის დასმაში დაგვეხმარება;
- სხვადასხვა დაგვადების სიმპტომების კარგად ცოდნა, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ძალადობის შედეგად მიღებულ დაზიანებებთან;
- ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში სამედიცინო ჩანაწერების მეთოდის შემუშავება;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ადგილობრივი ინსტიტუციების შესახებ ინფორმაციის შეგროვება;
- ადგილობრივ ინსტიტუციებთან ურთიერთობის დამყარება;
- სამედიცინო პერსონალის რეგულარული მომზადება ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისთვის ბრძოლის საჭმეში;
- საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება.

### განსაკუთრებული სიტუაციები

ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს პაციენტის მდგომარეობის გამოკვლევა ძალადობის ფაქტოან დაკავშირებით.

მოვლენის აღწერა უნდა შეესაბამებოდეს მომხდარს. ქალი ხშირად ცდილობს ტრაგმის რეალური მიზეზების დამაღვას. მან შეიძლება იქვას, რომ დაეცა კიბეზე, ველოსიპედიდან ჩამოვარდა და ა.შ. ქალები, ასევე, ცდილობენ დამაღონ დაზიანება, რომელიც ნათლად მიუთითებს ცემაზე. ძალადობის ნიშნები კარგად ჩანს სახეზე, კისერზე, ყელზე, გულმკერდის, მუცლის, სასქესო ორგანოების, ხელების და ფეხების მიღამოებში.

- როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისგან წინასწარგამიზნული და შემთხვევითი დარტყმის კვალი?

- ზოგიერთი ტრაგმა შემთხვევითი არ არის. შემთხვევითი ჩალურ-ჯებები ხელებსა და ფეხებზე, ძირითადად, განლაგებულია კიდურების ზედა ნაწილებზე, წინასწარგანზრახული აგრესიის შედეგი კი ჩანს ხელის ან ბარძაყის შიდა ნაწილებზე, რაც თავდაცვის პოზაზე მიგვითოთებს (მაგ. ჩალურჯება იდაყვის მიდამოებში). შემთხვევითი დარტყმები თავის არეში, ძირითადად, გვხვდება შუბლისა და კეფის მიდამოებში და არა მხრების გასწვრივ და თავის ზედა ნაწილში.

- როდის უნდა ვიყოთ „ფხიზლად“?

- ტრაგმის მომენტიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ დაზიანებები იწყებს შეხეორცებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალს არ ჰქონდა სამედიცინო დახმარების მიღების საშუალება. მოძალადემ შესაძლოა მსხვერპლს აუკრძალა ექიმთან ვიზიტი.

- პაციენტი ხშირად ამბობს, რომ დაზიანებები „შემთხვევითია“. ხშირი ვიზიტები დაკავშირებულია უმნიშვნელო დაზიანებებთან, რომლებიც წარმოიქმნა „გაუფრთხილებლობის გამო“.

- ქალები ხშირად იმიზეზებენ სხვადასხვა დააგადებას. განიცდიან და იტანჯებიან სხვადასხვა ტკივილით, მაგრამ კვლევის შედეგად არანაირი დაზიანება არ აქვთ.

- პაციენტმა შესაძლებელია დაიჩივლოს ისეთ სიმპტომებზე, როგორიცაა ზოგადი დაღლილობა, ძილიანობა ან აპათია, რომ მას აქვს „ოჯახური პრობლემები“, „ის ვერ უმკლავდება სტრესს“.

- პაციენტი ხშირად ითხოვს დახმარებას და სჭირდება საძილე აბები და ტკივილგამაყუჩებლები.

- პაციენტი ფეხმძიმეა და აქვს დაზიანებები. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის საჭიროა მიზეზების დეტალური ახსნა.

- ორსულობის დროს ცუდი კვება, ალკოჰოლის მოხმარება ან ვიზიტებზე მიუსვლელობა ხშირად ნიშანია იმისა, რომ ძალადობას აქვს ადგილი.

ორსულ ქალზე ძალადობა არა მხოლოდ ქალის  
ჯანმრთელობას ემუქრება, არამედ ნაყოფზეც უარყოფითად  
მოქმედებს.

## როგორ ვკითხოთ ძალადობაზე?

ოჯახში ძალადობა და მისი უარყოფითი შედეგები იმდენად გავრცელებულია, რომ ბევრი ექსპერტის რეკომენდაციაა, ექიმებმა რეგულარულად ჩაატარონ ინტერვიუ პაციენტებთან ძალადობის შესახებ.

ექიმმა კითხვა ძალადობაზე უნდა დასვას პირდაპირ და გარკვევით, თანაც მაშინ, როცა კაბინეტში არ არის მესამე პირი.

ძალადობის შესახებ საუბარი ადვილი არ არის და, როგორც წესი, იწვევს ძლიერ ემოციებს. თუმცა, ძალადობის შესახებ დიად საუბარს მნიშვნელოვანი თერაპიული მნიშვნელობა აქვს. ძალადობის შესახებ კითხვების დასმის დაწყებამდე უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის სტანდარტული პროცედურა, რომელიც ეხება ყველა პაციენტს.

შეგიძლიათ გამოიყენოთ სპეციალურად მომზადებული ფორმულარი, რომელიც შევსების შემდეგ შეინახება პაციენტის ისტორიაში (დანართი 1).

**რუტინული კითხვები, რომლებიც ოჯახში ძალადობის შემთხვევაში უნდა დაისვას, ხელს უწყობს:**

- სწორი დიაგნოზის დასმას და სწორი მკურნალობის დაწყებას;
- ოჯახში ძალადობის შედეგად მიღებული ჯანმრთელობის უარყოფითი შედეგების - როგორც სომატური, ასევე გონქბრივი - თავიდან აცილებას;
- პოზიტიურ ცვლილებებს მსხვერპლთა და მათი შვილების ცხოვრებაში;

- პრობლემის არსის სწორად გაგებას;
- ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის დამტკიცებას;
- ძალადობის პრევენციის სისტემის შემოღებას.

როგორც უკვე აღინიშნა, სწორედ პირველ კონტაქტზეა დამოკიდებული, მიმართავს თუ არა შემდგომში ძალადობის მსხვერპლი დახმარებისთვის ექიმს.

**- ოჯახში ძალადობის დროს როგორ უნდა იმოქმედოს ექიმმა უფასურად სხვა ინსტიტუციებთან?**

- მხოლოდ ექიმი მარტო ვერ შეებრძოლება ოჯახში ძალადობას. პირველ რიგში, უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა თავისი პაციენტის მიმართ და მარტომ არ უნდა იმოქმედოს.

ძალადობისგან დაზარალებულ ქალებს ბევრი რამ სჭირდებათ. უმთავრესია უსაფრთხო ცხოვრება, სამედიცინო მომსახურებასთან ერთად. ძალადობასთან ეფექტური ბრძოლა დახმარების შეთავაზებასაც გულისხმობს. საქართველოში ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის პრევენციის და მსხვერპლთა დახმარების კუთხით აქტიურად მუშაობენ სახელწიფო სტრუქტურები და არასამთავრობო ორგანიზაციები. მაგრამ არც ერთ ორგანიზაციას არ შეუძლია მომსახურების სრულად მიწოდება, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ინტეგრირებულ მიდგომას, პაციენტის გადამისამართებას. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ამ საქმეში.

გადამისამართება სხვადასხვა ღონისაა: ეროვნული, რეგიონული ან მუნიციპალური. ყოველი მათგანი ეფუძნება კანონმდებლობას და სახელმწიფო პოლიტიკას.

ექიმმა უნდა დაამყაროს კონტაქტი სოციალური სამსახურის ჯგუფებთან, სამართალდამცავ ორგანიზაციებთან. სამწუხაროდ, გარკვეული გარემოებები ხელს უშლის ექიმს ასეთ თანამშრომლობაში. ხდება ხოლმე, რომ პოლიციის უწყებას სავარაუდო ძალადობის თაობაზე ხელს უშლის გარკვეული წინააღმდეგობა, მა-

გალითად, ის, რომ ექიმმა პოლიციას უნდა მისცეს დამატებითი ჩვენება და ა.შ.

ძალადობისგან დაზარალებულმა ან ძალადობის მსხვერპლმა უნდა იცოდეს, რომ ქვეყანაში ძალადობა კანონით ისჯება, მსხვერპლისთვის არსებობს დახმარების სხვადასხვა სახე:

- მხარდამჭერი ჯგუფები - აქ მიღიან ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული ქალები, რათა სხვებს გაუზიარონ თავიანთი განცდები. ამ ჯგუფებმა აჩვენეს ეფექტურობა იმ ქალების დახმარების საქმეში, რომლებმაც გაწყვიტეს ძალადობრივი ურთიერთობები.
- სამართლებრივი განათლების პროგრამები და უფასო იურიდიული კონსულტაციები - ეხმარება ქალს, წამოაყენოს ბრალდება მოძალადე პარტნიორის წინააღმდეგ, მოამზადოს სათანადო დოკუმენტაცია
- უსაფრთხო სახლები და თავშესაფრები - მათი მიზანია, ქალი (და ბავშვები) უზრუნველყოს მშვიდი გარემოთი. თავშესაფარში მუშაობს მომზადებული პერსონალი, რომლისგანაც შეიძლება რჩევის მიღება.
- ფსიქოლოგიური სამსახური - ინდივიდუალური დახმარება ქალებისთვის, სადაც ეძლევათ ფსიქორეაბილიტაციის საშუალება.

## **ზუსტი სამედიცინო დოკუმენტაცია ძალადობის მსხვერპლითა საუკეთესო დახმარებაა**

ზედმიწევნითი, კარგად შესრულებული სამედიცინო ჩანაწერები წარმოადგენს ძალადობრივი ქმედების კონკრეტულ მტკიცებულებას და გადამწყვეტ როლს ასრულებს ნებისმიერი სასამართლო საქმის გადაწყვეტილების მიღებაში. თუ სამედიცინო ჩანაწერი და მოწმის ჩვენება სასამართლოში ერთმანეთის გამომრიცხველია, სამედიცინო ჩანაწერი ითვლება უფრო ძლიერ მტკიცებულებად.

ჩანაწერები უნდა შესრულდეს ზუსტი, პროფესიონალური მანერით და უნდა მოიცავდეს შემდეგს (პაციენტებისათვის სხეულის ხილული დაზიანებებით):

შემოსვლის თარიღი და დრო.

პაციენტის თანმხლები პირის გვარი, მისამართი, ტელეფონი.

ძირითადი ჩივილები და ძალადობის ფაქტების აღწერა პაციენტის სიტყვებით. მაგალითად, ჩანაწერისათვის უკეთესია ფრაზა: „ჩემმა ქმარმა მუშტი დამარტყა“, ვიდრე „პაციენტის მიმართ გამოყენებულ იქნა ძალა“ ან „პაციენტს მუშტი დაარტყეს“.

ჩანაწერებში ქმრის/პარტნიორის გვარის დაფიქსირება, რათა ნებისმიერი შემდგომი მოქმედებისას გაადვილდეს იდენტიფიკაცია.

სრული სამედიცინო ისტორია.

საქმესთან დაკავშირებული სოციალური ინფორმაცია.

დაზიანებების ზუსტი აღწერა: ტიპი, რაოდენობა, ზომა, მდგბარეობა, შეხორცების სტადია, შესაძლო მიზეზი და მოცემული ასენა-განმარტება.

აღნიშნეთ, თუ ტრაგმის მიზეზის ახსნა არადამაჯერებელია.

აღნიშნეთ, რომ ექიმმა პაციენტს დაუსვა კითხვა ოჯახურ ძალადობაზე (დაფიქსირდეს პაციენტის პასუხი).

საქმესთან დაკავშირებული ყველა ლაბორატორიული და სხვა დიაგნოსტიკური პროცედურის შედეგები.

თუ არის საშუალება, ფერადი ფოტოსურათები, რენტგენოგრამები.

თუ გამოძახებულია პოლიცია - თანამშრომლის გვარი, სამკურდენიშნის ნომერი, ტელეფონის ნომერი და მის მიერ მიღებული ზომები.

პაციენტთან მომუშავე ექიმის და ექთნის გვარები.

უნდა დარწმუნდეთ, რომ ქალმა იცის, სად მიიღოს ეს სამედიცინო ჩანაწერები საჭიროების შემთხვევაში, რომ სასამართლო განხილვისას შეიძლება მათი, როგორც იურიდიული დოკუმენტის, გამოყენება, რომ ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია და მის სანახავად სხვა პირის მიერ საჭიროა სპეციალური ნებართვა.

დაწვრილებით ჩანაწერებთან ერთად ფოტოსურათების არსებობა

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნივთმტკიცებაა. ექიმმა პაციენტის-გან უნდა აიღოს ნებართვა სურათის გადასაღებად.

სურათის გადაღება სასურველია სამედიცინო დახმარების აღმოჩენამდე, სხვადასხვა კუთხიდან, შორიდან და ახლო ხედით.

სურათზე უნდა გაკეთდეს წარწერა: პაციენტის გვარი, ტრავმის მდებარეობა, ფოტოგრაფის და დამსწრე პირების გვარები, გადაღვბის თარიღი და დრო.

საჭიროებისას ვიზიტის დანიშნვა 2-3 დღეში განმეორებითი ფოტოგრაფირებისთვის, ვინაიდან სისხლჩაქცევები ამ დროისთვის ლილისფერს მიიღებს და ფოტოსურათზე უფრო მკვეთრად გამოჩნდება.

იმისთვის, რომ სამედიცინო დოკუმენტაცია გაიტანონ სასამართლოზე, ექიმი მზად უნდა იყოს, მისცეს ჩვენება იმის შესახებ, რომ:

- დოკუმენტაცია შედგენილ იქნა „ჩვეულებრივი“ სამედიცინო გასინჯვის დროს.
- დოკუმენტაცია შედგენილ იქნა ყოველდღიური პროცედურის შესაბამისად.
- დოკუმენტაცია დაცულად ინახებოდა და რომ ის ხელმისაწვდომი იყო მსხვლოდ პროფესიონალი პერსონალისთვის.

**დეტალურად, საფუძვლიანად მომზადებული სამედიცინო ჩანაწერები არის ის, რისი გაკეთებაც შეუძლია ექიმს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პაციენტისთვის.**

ბევრად უფრო ადვილია ფიზიკური ძალადობის შეცნობა, აღწერა და დოკუმენტირება, რადგანაც ის ტოვებს კვალს; ფსიქოლოგიური ძალადობის განსაზღვრა გაცილებით მნელია. ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლის, რადგანაც ამ უკანასკნელს აქს ფიზიკური ძალადობის მსხვერპლის, რეაქცია ამ უკანასკნელს აქს ფიზიკური სიმპტომები, რაც ადვილად შესაცნობია პოლიციისა და სასამართლოსთვის.

**ფსიქოლოგიური ძალადობა უფრო მტკიცნეულია, ვიდრე ფიზიკური. რეაქციები ზუსტად იქნეს ჩაწერილი ციტატებით, შენიშვნებით მსხვერპლის მიერ აღწერილი სიტუაცია, ასევე, აღიწეროს მისი ემოციური მდგრადულება და ქვევის მანერა. ზუსტად ეს აღწერა უნდა იყოს და მას უნდა გადასაღებად.**

რები შეიძლება გამოყენებული იქნას სასამართლო პროცესზე და იყოს კარგი მასალა ფსიქოლოგისთვის.

ასევე, აუცილებელია სამედიცინო გამოკვლევის დეტალური აღწერა, განსაკუთრებით, თუ პაციენტი ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია.

## ექიმის როლი ბავშვის ბოროტად გამოყენების ფენომენის შეცნობასა და წინააღმდეგობის გაწევის დროს

ძალადობას შეიძლება ადგილი პქონდეს ყველგან, ყველა სოციუმში. არ აქვს მნიშვნელობა ეკონომიკურ, საზოგადოებრივ მდგრმარეობას თუ რელიგიურ კუთვნილებას. ეს არ არის მხოლოდ ეთიკური პრობლემა, რომელსაც ოჯახის შიგნით მარტივად გადაწყვეტინ. ეს პრობლემა უფრო და უფრო საზოგადოებრივი პრობლემა ხდება თავისი ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სამართლებრივი ასევექტებით. ექიმს კი ხალხთან ძალიან ხშირი კონტაქტი აქვს და შეუძლია დაადგინოს ბავშვის ჯანმრთელობის, ასევე, შეაფასოს ოჯახში სიტუაციის და ძალადობის რისკები.

სამედიცინო თვალსაზრისით, ბავშვთა მიმართ გამოჩენილი სისასტეკე პრობლემათა ფართო სპექტრს მოიცავს - ესაა ფიზიკური, ემოციური, სექსუალური და თვით ინსტიტუციური ძალადობა. ბავშვის მიმართ არასათანადო მოპყრობა საერთაშორისო დაავადებების საერთაშორისო კლასიფიკაციაში (ICD), ნომრით T74<sup>10</sup>, გულისხმობს არა მარტო ბოროტად გამოყენებულ უფლებებს, ასევე, ბავშვის უგულებელყოფას.

არასათანადო მოპყრობის რამდენიმე ფორმა არსებობს:

- **სამედიცინო** - სამედიცინო მომსახურების არქონა, მაგ. აუცილებელი აცრები;

<sup>10</sup> - დაწერილებით ბავშვზე ძალადობის და უგულებელყოფის საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ ვებგვერდზე <http://phf.org.ge/ka/resources/bavshvze-dzaladobis-da-ugulebelyofis-saertashoriso-klasifikatorebi/>(რედ.)

- ბავშვის არასწორად კვება;
- ბავშვის მიტოვება მომღლელის გარეშე, გარე საფრთხეების ზემოქმედება, აგრესია სხვა ადამიანებისგან;
- ბავშვის მიტოვება - არა მარტო მიტოვება, არამედ მშობლების უყურადღებობა, მაგალითად, განქორწინების შემდეგ;
- ბავშვის მოვლის უნარების არქონა

ამ სფეროში ექიმის როლი გულისხმობს პროფილაქტიკას, დიაგნოსტიკას და, საჭიროების შემთხვევაში, ჩარევას. ბავშვის მიმართ სასტიკი დამოკიდებულებისთვის წინააღმდეგობის გაწევა უნდა ხდებოდეს ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის დროს და ბავშვის განვითარებისთვის ოპტიმალური პირობების შესაბამისად. ბავშვის სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში სამედიცინო დახმარება ძალიან მნიშვნელოვნია, რადგან ეს პერიოდი არის ყველაზე დინამიური ბავშვისთვის. რა თქმა უნდა, ბავშვის ყველა ტრაგმა წინასწარგან-ზრახული არ არის. სშირად აღმზრდელები ვერ აცნობიერებენ, რომ ჩვილის სშირი ქანაობა ძალიან საშიშია და შეიძლება გამოიწვიოს ტვინის, ზურგისა და თვალის დაზიანებები. მსგავსი გადახრები ხანდახან ვლინდება სკოლამდელი ასაკის ბავშვებში მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენისა და ამბლიოპიის სახით.

ძალადობის რისკ-ფაქტორების ცოდნა ხელს უწყობს ბავშვის შეურაცხყოფის თავიდან აცილებას. ეს ვლინდება არა მხოლოდ დისფუნქციურ ოჯახებში, არამედ ალკოჰოლდამოკიდებული ადამიანების ოჯახებში. შემდგომ ბავშვებს აქვთ საგანმანათლებლო სივრცეში სხვადასხვა სირთულე, შესაძლებელია თავი იჩინოს თანდაყოლილმა და ქრონიკულმა დაავადებებმა. ექიმის ამოცანაა განზრახ და შემთხვევითი დაზიანებების შედეგად გამოწვეული ცვლილებების დიფერენცირება.

მოძალადეები სშირად გრძნობენ თავს დამნაშავედ, გრძნობენ სირცხვილს, ზოგჯერ ვერ აკონტროლებენ აგრესიას და არ შეუძლიათ სხვაგვარად მოქმედება. მათ უმრავლესობას აქვს საკუთარი გამოცდილება ბავშვობიდან და არ შეუძლია სათანადოდ გაუმკლავდეს სტრესს ოჯახურ ურთიერთობებში. მათი ბავშვები უნდა აქვე-

მდებარებოდნენ სპეციალურ პედიატრიულ ზრუნვას, რაც იძლევა, საგანგებო შემთხვევის დროს, სასწრაფო ჩარევის საშუალებას.

იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვების 40% არის 5 წლის ასაკამდე, ექიმი ვალდებულია, ბავშვის გასინჯვის დროს განსაკუთრებით მდგრძნობიარე იყოს ძალადობასთან მიმართებაში. ჩვეულებრივი კვლევის დროს შესაძლებელია ბავშვის სხეულის დათვალიერება, დაკვირვება და ყველა შენიშვნის აღწერა.

ექიმის ვალდებულებაა შემთხვევითი და განზრას მიუწებული დაზიანებების ერთმანეთისგან გამიჯვნა: სწორად უნდა ჩატარდეს ინტერვიუ და ადნიშნული გარემოებები უნდა შევადაროთ ბავშვის ფიზიკურ მდგომარეობას და შეფასდეს მისი განვითარების დონე. მნიშვნელოვანია ექიმის შერიდან ბავშვის კლინიკური მდგომარეობის ზედმიწევნით კარგად შესწავლა. ხდება ხოლმე, რომ, ბავშვებზე ძალადობის შემთხვევაში, მშობლები ცდილობენ ბავშვის ავად ყოფნა უყერადებოდ დაწოვონ. ხშირად დაზიანებების გაურკვეველ ფაქტებს ასახელებენ, ცვლიან მოვლენების თანმიმდევრობას, ამბობენ, რომ ბავშვმა თავი დაიზიანა, ან დაძმამ მიაყენა დაზიანება. როგორც წესი, არსებობს ხანგრძლივი პერიოდი ექიმთან მიმართვასა და პრობლემის დაწყებას შორის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოძალადე მშობლებისგან გამიჯვნის შემდეგ, ბავშვი რაც შეიძლება სწრაფად დაუბრუნდეს ნორმალურ მდგომარეობას და აღიდგინოს ჯანმრთელობა.

### ვინ აზიანებს ბავშვებს?

მოძალადებს ხშირად აქვთ დანაშაულის შეგრძნება, განიცდიან სირცხვილის გრძნობას, მაგრამ ხშირად არ შეუძლიათ თავიანთი აგრესიის მართვა. მათ უმრავლესობას აქვს ბავშვობისდროინდელი მწარე გამოცდილება, როცა მშობლების გამო აღმოჩნდნენ სტრესულ მდგომარეობაში. ასეთი მშობლების შვილები აუცილებლად უნდა იყვნენ პედიატრის დაკვირვების ქვეშ, რათა, შემთხვევის დროს, სწრაფად გაანეიტრალონ სიტუაცია.

ბავშვების მიმართ გამოვლენილი აგრესია არ არის ერთჯერადი მოვლენა მშობლების მხრიდან, ის ხშირად განმეორებადია და საქმაოდ დიდხანს გრძელდება. უმრავლეს შემთხვევაში რთულია დიაგნოზის სწრაფად დასმა. ხშირად ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეიძლება მოპოვებული იქნას სამედიცინო დოკუმენტაციებში სხვადასხვა საავადმყოფოდან, მაგალითად, ერთი თვის ბავშვს რა პრობლემები ჰქონდა (ლოგინიდან ხშირი გადმოვარდნები, ბანაობის დროს დამწვრობის მიღება), ასევე, არგამოცხადება სხვადასხვა აუცილებელი აცრის დროს. სწორედ ამ ტიპის ინფორმაცია იძლევა შედარების საშუალებას და ხშირად აღმოჩნდება, რომ ამ ტიპის პრობლემები მოძალადესაც ჰქონდა ბავშვობის დროს.

ყველა ჩამოთვლილი მიზეზის გამო ძალადობის მსხვერპლთა განკურნება ძალიან რთული და ძვირადიორებული პროცედურაა, მოითხოვს მაღალი დონის სამედიცინო სპეციალისტების ჩარეგას. სამწუხაოდ, უმრავი მცდელობის მიუხედავად, ბავშვში ამ ძალადობის გამოძახილი დიდი ხნის მანძილზე რჩება, ხოლო 30% აღამიანებისა, რომლებიც ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი იყვნენ, თავად ხდებიან მოძალადები თავიანთი ბავშვების მიმართ. უნდა გვახსოვდეს ის ფაქტიც, რომ ძალადობის სამწლიანი ეპიზოდის შემდეგ მსხვერპლი ბავშვების 70%-ში არის ფსიქოლოგიური განვითარების ჩამორჩენილობა. ინტერვენციული მოქმედება ყოველთვის უნდა იყოს მყისიერი, თუნდაც ფიზიკური დაზიანებები არ იყოს ძლიერი. ექიმს შეუძლია პაციენტის საავადმყოფოში გადამისამართება, იქ. სადაც უსაფრთხო გარემოა და შესაძლებელია დიაგნოზის დასმა. რომ გავიადვილოთ ბავშვის დაზიანებების შეცნობა და სწორი ორგანიზება. ყველა ექიმი ვალდებულია, დაუკავშირდეს იმ ტიპის დაწესებულებებს, რომელთაც შეუძლიათ დახმარების აღმოჩენა, ბავშვზე და ოჯახის სხვა წევრებზე ზრუნვა.

## დამსმარე უნარები კომუნიკაციის დროს

ეფექტური კომუნიკაცია არის დახმარების პროცესის უმთავრესი ელემენტი. აქ მნიშვნელოვანია პაციენტის ყურადღებით მოსმენა - მისი ინტერესის გამოვლენა. საუბრისას აღსანიშნავია ისეთი ხერხების გამოყენება, როგორებიცაა:

**მართვა** - ცნობიერების მართვა, ქაოტური განცხადებების ორგანიზება, კონკრეტული კითხვების დასმა, წახალისება, რომ საუბარი შექმნოს პაციენტის როგორ და მდგომარეობას;

**კონკრეტიზაცია** - მოვლენების დეტალების განსაზღვრა, როდესაც პაციენტი წარმოადგენს თავის პრობლემას. კითხვები: რა არის „შეურაცხყოფა“; რას გულისხმობა, როცა ამბობ, რომ ქმარი მხოლოდ „ხელს წაგარტყამდა“;

**დადასტურება** - იძლევა ხმის სიგნალს, რომელიც ადასტურებს, რომ ექიმი ყურადღებით უსმენს პაციენტს; დადასტურებისთვის გამოიყენეთ მოკლე და მარტივი სიტყვები: „დიახ“, „მესმის“, ან სიგნალები „აპა“, „იპი“ და ა.შ.;

**პარაფრაზი** (ასევე მხარდაჭერი რეაქცია) - იმეორებს სიტყვებს, რათა შეამოწმოს ინფორმაციის სისწორე. ექიმი უქმნის პაციენტს იმის განცდას, რომ ის უსმენს და აქტიური მსმენელია;

**შეჯამება** - მოკლე შინაარსიანი საუბრები, რათა შევახსენოთ ყველაზე მნიშვნელოვანი თემები და გადავიდეთ მომდევნო ეტაპზე; ის საუბრის შეუნარებით გამოიყენება, როდესაც ბევრი თემაა და თანამოსაუბრე კარგავს ორიენტაციას, საუბრის დასასრულს საჭიროა მოკლე შეჯამება;

**სრულყოფილება** - ადაპტაციის ტემპი, საუბარი, ლექსიკა და ა.შ. გამოხატავს კომუნიკაციის სტილს პაციენტთან მიმართებაში;

**დუმილის გამოყენება** - სიტყვით გამოსვლისას შესვენების დრო, როცა პაციენტს შეუძლია გააანალიზოს ის, რაც მან თქვა და მოისმინა და შემდგომი სიტყვისთვის მოემზადოს.

## ქომუნიკაციის ბარიერები

საუბრისას შეიკავეთ თავი შემდეგი ფრაზებისგან:

**კონსულტაცია:** საუკეთესო იქნებოდა შენს ქმართან განქორწინება;

**ბრძანება:** ხვალამდე უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება;

**მუქარა:** თუ ამას არ აკეთებთ, ვერ მიიღებთ ჩვენს დახმარებას;

**მორალიზაცია:** ეს ბევრად ადრე უნდა გაკეთებულიყო;

**შეურაცხეყოფა:** ეს ყველაფერი თქვენი უგუნურობის და უმოქმედობის ბრალია!

**დიაგნოზირება:** თქვენ ხედავთ, რომ არ აინტერესებთ სიტუაციის გაუმჯობესება;

**განზოგადება:** ეს ხელს უწყობს ყველა გადამწყვეტი ზომის მიღვბას;

**ნუგეშისცემა:** არ ინერვიულოთ, ყველაფერი კარგად დასრულდება. გთხოვთ არ იტიროთ;

**უარყოფითი გრძნობები:** გადიზიანების არავითარი საფუძველი არ არსებობს, სხვა ადამიანები გაცილებით უარეს მდგომარეობაში არიან;

**მორალური შეფასება:** დიახ, ის ცუდი ადამიანია, მას არ აქვს ღირსება;

**სიჩქარე:** გთხოვთ, გადადით საქმეზე, რადგან ცოტა დრო გვაქვს;

**საუბრისას დეტალების გამოკითხვა,** რომლებიც დაკავშირებულია საქმესთან: თქვენს მუცელებს სხვა ქალი ჰყავს? რამდენად ხშირად ხვდებიან?

**პოლიტიკური, იდეოლოგიური და რელიგიური არგუმენტების გამოყენება:** ოჯახი ყველაზე მნიშვნელოვანია.

## რჩევები ექიმებს

- შექმნით პაციენტისთვის ატმოსფერო, რომელშიც ის კომფორტულად იგრძნობს თავს და უსაფრთხოდ ისაუბრებს მის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე.

- ნებ შეგეშინდებათ შეკითხვის დასმის. ქალების უმრავლესობას სურს, ისაუბროს ძალადობაზე, თუ მას პირდაპირ ეკითხებიან და არ განიკითხავენ.
- შექმნით არაგამკიცხველი, გულდია გარემო. მიეცით ქალს საშუალება, მოყვეს თავისი ისტორია. გჯეროდეთ, რომ არავინ და არანაირ პირობებში არ იმსახურებს ძალადობას.
- ყოველთვის ესაუბრეთ ქალს ერთი ერთზე. დასვით არა-შაბლონური, მარტივი კითხვები. არ განსაჯოთ ქალის ქცევა.
- თქვენს პრაქტიკაში დანერგეთ პაციენტებში ოჯახური ძალადობის შემთხვევების გამოვლენა.
- ყურადღება მიაქციეთ სიმპტომებს, რომლებიც ეჭვს ბადებს ძალადობაზე; გაურკვეველი ხასიათის ქრონიკული ტკიფილები, სხეულის დაზიანებები, მამაკაცი, რომელიც ზედმეტ ყურადღებას ავლენს, ან არ უნდა ქალთან დაშორება ექიმთან ვიზიტის დროს, თვითმკვლელობის აზრები ან მცდელობა და სხვ.
- მოახდინეთ ძალადობის ყველა დეტალის დოკუმენტაცია სა-მედიცინო ჩანაწერებში. ეს ინფორმაცია შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს, თუ ქალი გადაწყვეტს, მიმართოს სასამართლოს.
- დაიცავით ინფორმაციის კონფიდენციალობა.
- შეაფასეთ ქალის უსაფრთხოება. გაარკვიეთ, უმუქრება თუ არა ქალს ან მის ბავშვებს საფრთხე. თუ კი, დაეხმარეთ, განიხილოს ალტერნატიული მოქმედებები. შესთავაზეთ დახმარება.
- ყურადღება გაამახვილეთ არა მხოლოდ ფიზიკურ ძალა-დობაზე, არამედ ძალადობის სხვა ფორმებზეც: დაშინება, ნივთების განადგურება, კონტროლი და ა.შ.
- დაამყარეთ კონტაქტები სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ოჯახში ძალადობის კუთხით მუშაობენ.
- აუსესენით მთავარი, რომ მას აქვს უფლებები. მას იცავს კანონი.

ნუ დასვამთ შემდეგი ტიპის კითხვებს:

„რატომ დაგარტყათ?“ (მსხვერპლი არ არის პასუხისმგებელი მო-  
ძალადის მოტივებზე)

„რა გააკეთეთ ისეთი, რამაც ოქვენი ქმარი აიძულა, რომ დაერტყა  
ოქვენთვის?“

„რატომ აგრძელებთ ცხოვრებას ასეთ ადამიანთან?“ (არ განსა-  
ჯოთ)

საუბარი შეიძლება დაიწყოს შემდეგი ტიპის ფრაზით:

„ძალადობა სერიოზული პრობლემაა ჩვენს საზოგადოებაში, ამი-  
ტომ მე ჩემს ყველა პაციენტ ქალს ვეკითხები მის ცხოვრებაში ძალ-  
ადობის არსებობაზე. არავის არ უნდა, ცხოვრობდეს შიშის ქვეშ,  
რადგანაც არსებობს კანონი, დაცვის და დახმარების შექანიზმები“.

„ჩვენს ქვეყანაში არსებობს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის  
ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაც-  
ვისა და დახმარების შესახებ. ამიტომ ჩვენ ყველა პაციენტ ქალს  
ვეკითხებით.“

„არ ვიცი, თქვენ განგიცდიათ თუ არა რაიმე მსგავსი, მაგრამ  
ბევრი ქალი განიცდის ძალადობას ახლობელი ადამიანების (ქმარი,  
პარტნიორი) მხრიდან“.

„მაინტერესების თქვენი ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზი ხომ  
არ გახდა მეუღლის აგრესიული ქცევა?“

„ბევრი ქალი თავისი ცხოვრების მანძილზე აწყდება სხვადასხ-  
ვა სახის ფიზიკურ ძალადობას, ხომ არ შეგმოხვევიათ ოდესმე ეს  
თქვენ?“

თუ ასეთ კითხვებზე გაცემული პასუხების შედეგად ან სხვა  
მიზეზის გამო ექიმი ეჭვობს ძალადობაზე, მას შეუძლია დასვას  
შემდეგი სახის კითხვები:

- როდესაც ამ ტიპის ტრავმებს ვხედავ, ისინი ხშირად ვიდაცის  
მიერაა მიყენებული. თქვენც იგივე ხომ არ შეგემოხვათ?
- თქვენ ბევრი სისხლჩქვევა გაქვთ, საიდანაა ისინი?

- პირად ურთიერთობაში ხშირად არსებობს ძალადობა. რა ხდება, როდესაც ოქვენ ჩხუბობთ სახლში?
- მე მგონი, ოქვენ თქვენი ქმრის გეშინიათ. მას ოდესმე დაურტყამს თქვენთვის?
- არის თუ არა ოქვენი ქმარი ალკოჰოლის ან ნარკოტიკის მომხმარებელი? (თუ კი) როგორ გაქცევათ იგი ოქვენ ასეთ მომენტში?
- ვინ დაგარტყათ? (თუ პაციენტს აქვს ხილული სისხლჩაქცევები, განსაკუთრებით სახეზე)
- რა გაწუხებთ ამ ეტაპზე ყველაზე მეტად თქვენს ცხოვრებაში? (დეპრესიის, მომატებული აგზებადობის სიმპტომების ან სუიციდის მცდელობის შემთხვევაში).

**ექიმო, შეაჩერე ძალადობა!**  
**დაგვანახე, რომ შენი მისია ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაა!**

### ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დახმარება

დაზარალებულს უფლება აქვს, ისარგებლოს დახმარებით, კერძოდ: სამედიცინო, ფსიქოლოგიური, იურიდიული, სოციალური, პროფესიული და ოჯახური კონსულტაციები; კრიზისის ინტერვენცია და მხარდაჭერა; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სპეციალიზებული დახმარების ცენტრში უსაფრთხო თავშესაფარი.

იმისთვის, რომ უკეთ დავეხმაროთ მსხვერპლს, ექიმმა უნდა გადადგას ძალადობის გამოვლენის სამი ძირითადი ნაბიჯი<sup>11</sup>:

1. ინფორმაციის შეგროვება და შეჯერება;
2. მიღებული ინფორმაციის დამუშავება/ინტერპრეტაცია;
3. გადაწყვეტილების მიღება.

<sup>11</sup> - გამოყენებულია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის ვებგვერდის მასალები.

ინფორმაციის შეგროვებისა და შეჯერების ეტაპზე<sup>12</sup>:

- მოიპოვეთ სისტემური, ამომწურავი ინფორმაცია ბავშვისგან, მშობლისგან/აღმზრდელისგან - ვისგანაც შესაძლებელია;
- ჩაატარეთ საფუძვლიანი დათვალიერება - შემოწმება თავიდან - ვეხებამდე;
- გააკეთეთ ზუსტი ჩანაწერი: შეგროვებული ანამნეზის, ნებისმიერი არსებული დაზიანებისა და დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ნიშნების შესახებ:

**ძალადობაზე ეჭვის შემთხვევაში:**

- განიხილეთ ოქვენი ვარაუდი გამოცდილ კოლეგებთან ერთად, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით, მოიძიეთ ინფორმაცია ბავშვთან მომუშავე სხვა პროფესიონალებისგან.

**მიღებული ინფორმაციის დამუშავება/ინტერპრეტაციის ეტაპზე:**

არსებული სიმპტომების ინტერპრეტაცია უნდა გამომდინარეობდეს:

- ბავშვის ისტორიიდან გამოვლენილი თავისებურებისგან;
- გამოკვლევის დროს გამოვლენილი ბავშვის ქცევისა და დაზიანებების თავისებურება იძლევა ძალადობის ან უგულებელყოფის დაშვების შესაძლებლობას.

შემდეგი კითხვები მოპოვებული ინფორმაციის ინტერპრეტაციაში დაგეხმარებათ:

**ისტორია/ანამნეზი**

- გადმოცემული ინფორმაცია შეესაბამება არსებულ დაზიანებებს?
- მონათხოობი თანმიმდევრული და ნათელია?

<sup>12</sup> - ძალადობის პრევენციის მიზნით, სასურველია ამ პროცესების დაწყება ნებისმიერი ბავშვის/ქალის მიმართ, რომელიც რაიმე სამედიცინო პრობლემის გამომიდინავთ.

- ბავშვის მიერ მოწოდებული ახსნა-განმარტება არსებული მდგრადი გომარეობის შესაბამისია?

### მიმართვა

- ექიმთან მომართვა დაგვიანებით ხომ არ მოხდა?
- ადრეც ხომ არ იყო მსგავსი მომართვები ან ეჭვი ძალადობაზე?

### გასინჯვა

- რა ზომისაა დაზიანება, რამდენად დიდია და სად არის სხეულზე განთავსებული?
- ბავშვისა და მშობლის მონათხრობი ფაქტის შესახებ თანმიმდევრულია, მსგავსია?
- რამდენად შეესაბამება დაზიანების შესახებ მონათხრობი სიმართლეს, თუ ბავშვი არ არის მობილური (მაგ., მცირეასაკის, რომელიც არ დადის, ხოსავს; აქვს უნარშეზღუდულობა)?
- ბავშვის ზრდა და განვითარება ნორმის ფარგლებშია, შეესაბამება ასაკს?

### ბავშვი

- როგორი ურთიერთობა აქვს ბავშვს მშობელთან/მეურვესთან?
- აქვს თუ არ ბავშვს ჯანმრთელობის (ფიზიკური/ფსიქიკური განვითარების) პრობლემები?

### ოჯახი

- რა იცით ბავშვის ოჯახში არსებული გარემოებების შესახებ?
- არსებობს ინფორმაცია ოჯახში ძალადობის შესახებ?
- ხომ არ აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები მშობლებს/მეურვეს?
- ხომ არ არის მშობელი/მეურვე ნარკოტიკების ან ალკოჰოლის მომხმარებელი?
- როგორი ურთიერთობა აქვს ბავშვს მშობელთან/მეურვესთან?
- აქვს თუ არ ბავშვს ჯანმრთელობის (ფიზიკური/ფსიქიკური განვითარების) პრობლემები?
- ოჯახი ჩართულია სოციალური დახმარების სისტემაში?

შეგროვებული ინფორმაცია განიხილეთ გამოცდილ კოლეგებთან, რომლებიც კომპეტენტურნი არიან ბავშვზე ძალადობის საკითხებში და კარგად იციან, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ბავშვის და-საცავად.

### **გადაწყვეტილების მიღების ეტაპები:**

ბავშვის მიმართ ძალადობაზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, სა-მედიცინო პერსონალი ვალდებულია, მაშინვე განსაზღვროს ეჭვის მიზეზები, შეაფასოს ბავშვის მდგრამარეობა, დაზიანების სასიათო და დაიწყოს შემთხვევის მართვა. ძალადობის შემთხვევის მართვა გულისხმობს, ერთი მხრივ, დაზიანების და სიმპტომების შესაბამი-სი მკურნალობის უზრუნველყოფას (მაგ. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ: ნევროლოგი, პედიატრი, ფსიქოლოგი, ოქულისტი და სხვა). მეორე მხრივ, დაუყოვნებლივ შეტყობინებას სოციალური მომ-სახურების სააგენტოსა და/ან პოლიციაში.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172<sup>6</sup> მუხლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალის-წინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პრო-ცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გა-მოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ შესაბამისი სახელ-მწიფო ორგანოსთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს შესაბამისი ფიზიკური პირის გა-ფრთხილებას ან დაჯარიმებას 50 ლარიდან 100 ლარამდე ოდე-ნობით, შესაბამისი დაწესებულების (იურიდიული პირის) და-ჯარიმებას 100 ლარიდან 200 ლარამდე ოდენობით.

## ოჯახში ძალადობის პრევენციის პოლონური მოდელი - ინტერდისციპლინური სამუშაო ჯგუფი

მუნიციპალურ დონეზე ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ეფექტური რეაგირებისთვის, მუშაობის კოორდინაციის და ინტერსექტორული პრობლემების გადაწყვეტისთვის, პოლონეთში გამოიყენება ინტერდისციპლინური ჯგუფების პრაქტიკა.

ინტერდისციპლინური ჯგუფის მიზანია ოჯახში ძალადობის სფეროში სტრატეგიული ამოცანების განხაზღვრა. ჯგუფი პასუხისმგებელია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების კოორდინაციაზე. ჯგუფის წევრებს ირჩევს და/ან ნიშავს ქალაქის მერი. ისინი ვალდებული არიან კვარტალში ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს. ჯგუფის წევრები არიან: საჯარო მოხელეები, ქალაქის მერი და ისინი მინიმუმ ერთხელ მაინც უნდა შეხვდნენ ერთმანეთს.

### ინტერდისციპლინური ჯგუფების წევრების დავალებებია:

1. ძალადობის პრობლემის დიაგნოზირება;
2. იმ მოქმედებების დასახვა, რომლებიც ძალადობას მკვეთრად შეამცირებს;
3. ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული გარემოს აღდგენა;
4. ინფორმაციის გავრცელება იმ ინსტიტუციების, ადამიანებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ დახმარების გაწევა ადგილობრივ გარემოში;
5. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მკვეთრი მოქმედებების განხორციელება;

### ჯანდაცვის სისტემის როლი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ

ჯგუფს შეუძლია შეასრულოს სხვა სახის დავალებებიც, კერძოდ, ის, რაც გაწერილია ოჯახში ძალადობის დაძლევის მუნიციპალურ პროგრამაში.

გუნდის მუშაობაში ჯანდაცვის წარმომადგენლის ამოცანაა უზრუნველყოს კოორდინირებული მუშაობა ოჯახში ძალადობის აღმოფხვრაში მონაწილე სხვა ორგანიზაციებთან. ამ თვალსაზრისით,

ჯანდაცვის წარმომადგენელი უნდა იყოს ისეთი პიროვნება, რომელ-  
საც დადგებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია აღნიშნულ სფეროში  
ჯანდაცვის სისტემის ჩართულობაზე.

### **სასამართლოს თანხმობით გაცემული ექიმის ან სამედიცინო ექსპერტიზის ცნობა**

პოლონეთში ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გაწეუ-  
ლი დახმარების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა უფასო სამედიცინო  
გამოკვლევა, რომელიც ადგენს კავშირს მიღებულ ფიზიკურ და-  
ზიანებებსა და ოჯახში სავარაუდო ძალადობის გამოვლინებასთან.

ოჯახში ძალადობის ფაქტონ დაკავშირებული სამედიცინო ცნო-  
ბის გაცემის წესი დადგენილია პოლონეთის კანონმდებლობით.

2004 წლის 27 აგვისტოს შეიცვალა რეგულაციები და შევიდა  
ცვლილებები 16 სტატიაში, რაც იძლევა საშუალებას, რომ ექიმებმა  
თავად უფასოდ გასცენ ცნობა ოჯახში ძალადობის დამამტკიცებულ  
სხეულის დაზიანების შესახებ. განცხადების ფორმა ჯანდაცვის მი-  
ნისტრის მიერ იქნა დამტკიცებული.

### **საიდუმლოება და ინტერვენცია ოჯახში**

1. აქვს თუ არა უფლება ინტერდისციალინურ ჯგუფს მიიღოს და  
დაამუშაოს პერსონალური ინფორმაცია?

თავდაპირველად მსხვერპლის პირადი ინფორმაცია (მათ შორის,  
მონაცემები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ) უნდა დამუშა-  
ვდეს ინტერდისციალინური ჯგუფის წევრების და სამუშაო ჯგუფ-  
ბის მიერ. პოლონეთის კანონმდებლობის მიხედვით, ეს ინფორმა-  
ცია შეიძლება დამუშავდეს ძალადობის მსხვერპლის თანხმობის  
გარეშეც.

2. აქვს თუ არა უფლება ექიმს, სამედიცინო კონფიდენციალუ-  
რობის თვალსაზრისით, გასცეს პაციენტის ჯანმრთელობის მდგო-  
მარეობის შესახებ ინფორმაცია?

საიდუმლოების გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ იმ დოზით,  
რაც ხელს შეუწყობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სიცოცხლის  
და ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

## IV

## ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხები

**ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის  
განმარტება/ ცნება საერთაშორისო სამართლებრივ  
აქტებსა და საქართველოს კანონმდებლობაში**

გაეროს კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (გაეროს გენერალური ასამბლეების 1979 წლის 18 დეკემბრის რეზოლუცია 34/180. საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 1994 წელს), განმარტავს, რომ

- კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი **ქალის დისკრიმინაცია ნიშნავს** სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, გამიჯვნას ან შეზღუდვას, რომელმაც შესაძლებელია შედეგად მოიტანოს ან რომლის მიზანია ქალის მიერ, მისი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, პოლიტიკურ, კულტურულ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში აღამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებით აღიარების, სარგებლობის ან გამოყენების შესაძლებლობის შესუსტება ან სრული უარყოფა.
- „მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის **ქორწინებასა და საოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებულ** ყველა საკითხში, კერძოდ, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფენ:
  - ა) ქორწინებისას ერთნაირ უფლებებს;
  - ბ) მეუღლის თავისუფლად არჩევისა და მხოლოდ თავისუფალი და სრული თანხმობით ქორწინების თანაბარ უფლებებს;

გ) ქორწინებაში ყოფნისა და განქორწინების დროს ერთნაირ უფლებებსა და მოვალეობებს;

დ) მშობლების თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს, მათი ოჯახური მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, შვილებთან დაკავშირებულ საკითხებში, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში შვილების ინტერესები უპირატესია;

ე) შვილების რაოდგნობისა და მათ დაბადებას შორის დროის შუალედების საკითხის თავისუფლად და პასუხისმგებლობით გადაწყვეტის თანაბარ უფლებებს. აგრეთვე, ამ უფლებებით სარგებლობისათვის საჭირო ინფორმაციისა და განათლების მიღების შესაძლებლობას;

ვ) მეურვეებასთან, მზრუნველობასთან, წარმომადგენლობასთან და შვილებთან ან ანალოგიური ფუნქციების შესრულებასთან მიმართებაში თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს, როცა ამას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს;

ზ) მეუდღეთა თანაბარ პირად უფლებებს, მათ შორის გვარის, პროფესიისა და საქმიანობის არჩევასთან მიმართებაში;

ო) მეუდღეთა ქონების მფლობელობის, შეძენის, მართვის, სარგებლობისა და განკარგვის თანაბარ უფლებას.“ (მუხლი 16)

**ზოგადი რეკომენდაცია № 19. ქალთა მიმართ ძალადობა.** (მიღვბულია: 1992 წელს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მე-11 სხდომაზე) განმარტავს, რომ

- „გენდერული ძალადობა მნიშვნელოვნად აფერხებს ქალთა შესაძლებლობას, თანასწორობის პრინციპების შესაბამისად, კაცების მსგავსად სრულად ისარგებლონ ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით.“
- „ჩვეულებებზე დამყარებული ზოგადი მიღვომა, რომ ქალები კაცებზე არიან დამოუკიდებულნი და რომ საზოგადოებაში მათი სტატუსი სტერეოტიპულ როლებს ემყარება, ხელს უწყობს ძალადობრივი და იძულებითი სასიათის პრაქტიკის

ჩამოყალიბებას, რის გამოც ქალთა წინააღმდეგ ხორციელდება ძალადობა ოჯახში და ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ხელ- ყოფა, როგორიცაა იძულებითი ქორწინება, ფემიციდი ქორ- წინებაში, თავდასხმები, მუავის გამოყენებით და ქალთა სასქ- სო ორგანოების დასახიჩრება,“ გამყარებულია შეხედულებები ქალების მეორეხარისხოვანი და დამოკიდებული როლის შესა- ხებ, ადინიშნება პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების წარმო- მადგენლობის დეფიციტი.

- პორნოგრაფიის პროპაგანდა, ქალების წარმოჩენა სექსუალ- ურ ობიექტებად, ტრეფიკინგი, იძულებითი პროსტიტუცია, სი- ლარიბჟ, უმუშევრობა, განვითარებულ ქვეყნებში შინამოსამ- სახურებად დასაქმება, სექსუალური შევიწროება დასაქმების ადგილებზე, იძულებითი სტერილიზაცია და აბორტი - ამ და მსგავსი ძალადობრივი ქმედებების გამოყენებით ზიანი ადგვ- ბა ქალთა ფიზიკურ და მენტალურ ხელშეუხებლობას და მნიშვნელოვნად აფერხებს ან სრულიად გამორიცხვს ქალთა მიერ ადამიანის უფლებებითა და მირითადი თავისუფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას.
- „ოჯახში ძალადობა ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე დაფარულ ფორმას განეკუთვნება. ძალადობის ეს ფორმა ყვე- ლა საზოგადოებაში არსებობს. ოჯახურ ურთიერთობებში ყველა ასაკის ქალების მიმართ ხორციელდება სხვადასხვა სახის ძალადობა, მათ შორის, ცემა, გაუპატიურება და სხვა ფორმის სექსუალური ხელყოფა, ფსიქოლოგიური და სხვა ფორმის ძალადობა, რომელიც ჩვეულებებზე დაფუძნებული მიდგომების შედეგად ხორციელდება. ეკონომიკური დამოკ- იდებულება ბევრ ქალს აიძულებს განაგრძოს ძალადობა- ზე დამყარებული ურთიერთობა. მამაკაცების მიერ ოჯახში ქალთა უფლება-მოვალეობების დაკნინება ძალადობისა და იძულების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. ძალადობის ასე- თი ფორმები ქალთა ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის და აფერხებს თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით, ოჯახურ

და სამოქალაქო ცხოვრებაში ეფექტური მონაწილეობის შესაძლებლობას.“ (პუნქტი 23.)

**ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ეროვნის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია. 2011წ. / საქართველოში ძალაშია 2017 წლის 1 სექტემბრიდან) განმარტავს, რომ**

**„ქალთა მიმართ ძალადობა“** აღიქმება, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა და გულისხმობს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყეს ქალებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფიქლოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის მიერნება, მათ შორის, ასეთი აქტების ჩადენის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, იმის მიუხედავად, თუ სად ხდება ეს – საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში;

**„ოჯახში ძალადობა“** გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფიქლოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა.

**„ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით“** გულისხმობს ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას იმის გამო, რომ ის ქალია ან რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე; როგორიცაა:

ფიზიკური ძალადობა; იძულებითი ქორწინება; ფიქლოლოგიური ძალადობა; ადევნება; სექსუალური ძალადობა, მათ შორის, გაუპატიურება, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება; იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია; სექსუალური შევიწროვება.

**გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის  
(26/03/2010) თანახმად,**

- საოჯახო ურთიერთობებში, ქორწინებისა და განქორწინების დროს ქალი და მამაკაცი სარგებლობები თანასწორი პირადი და ქონებრივი უფლებებით, მათ შორის, გვარის, პროფესიისა და საქმიანობის არჩევის უფლებით, და ეკისრებათ თანასწორი მოვალეობები. საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით დისკრიმინაცია ან უპირატესობის მინიჭება.
- ოჯახში ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლება აქვთ, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ შრომით და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის საკითხები.
- შვილების აღზრდისა და ოჯახის სხვა საკითხებს მეუღლეები ერთად, ურთიერთშეთანხმებით წავეტენ. გარანტირებული და უზრუნველყოფილია მეუღლეთა მიერ საქმიანობისა და შვილების აღზრდის თანასწორი შესაძლებლობები.
- ოჯახში მეუღლეთა მიერ გაწეულ შრომასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები თანასწორია.
- მეუღლეებს აქვთ ქონების ფლობის, შეძენის, მართვის, გამოყენებისა და განკარგვის თანასწორი უფლება.
- მეუღლეებს თანასწორი უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ დასვენებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

**(მუხლი 10. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა საოჯახო ურთობებში).**

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღგეგუთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი (25.05.2006) გვაძლევს ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის დაფინანციას. კანონის თანახმად,

**ოჯახში ძალადობა გულისხმობს თანახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარ-**

დგვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

**ქალთა მიმართ ძალადობა** გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.

კანონის მიზნებისთვის ქალად მიიჩნევა 18 წელს მიუღწეველი მდედრობითი სქესის არასრულწლოვანიც.

### **ძალადობის ფორმები:**

**ფიზიკური ძალადობა** – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკიფილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუქმაყოფილებლობა, რაც იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

**ფსიქოლოგიური ძალადობა** – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შეღახვას;

**იძულება** – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

**სექსუალური ძალადობა** – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარეუნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

**ეკონომიკური ძალადობა** – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით

უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

არასრულწლოვნის კანონიერი ინტერესების უგულებელყოფა მშობლის (მშობლების), სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ არასრულწლოვნის ფიზიკური და ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკავშოფილებლობა, საფრთხისაგან დაუცველობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, დაბადების ოგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, **თუკი** მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია და შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე;

**ვისზე ვრცელდება კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“?**

კანონი ვრცელდება ოჯახის წევრებზე, რომლებიც ამ კანონის მიზნებისთვის არიან:

- დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, მმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდაჭერის მიმღები, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწევნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

## ეინ არის მსხვერპლი/ მსხვერპლის სტატუსი

მსხვერპლი შეიძლება იყოს **ქალი**, აგრეთვე **ოჯახის ნებისმიერი წევრი**, რომელთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით **და რომლებსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა:**

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა,
- სასამართლო ორგანომ ან/და
- საგამოძიებო ორგანომ,
- გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა - მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ მინიჭებული მსხვერპლის სტატუსი მოქმედებს მინიჭებიდან 18 თვის განმავლობაში.
- მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე არასრულწლოვანი, რომლის კანონიერი ინტერესები უგულებელყოფილია და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა.
- მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე არასრულწლოვანი, რომელიც სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების საფუძველზე ან მათ გარეშე ფაქტობრივად იმუოფება/ცხოვრობს სხვა პასუხისმგებელ პირთან ან ნებისმიერ სხვა პირთან, რომელმაც დაარღვია მისი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით, და რომელიც მოძალადისგან სოციალურმა მუშაკმა განაცალკევა.
- მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე ბავშვი, რომელიც ძალადობის მოწმეა;

**რას ითვალისწინებს კანონი მსხვერპლის დაცვისა და მოძალა-დის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად?**

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია დროებითი ღონისძიების სახით გამოიცეს შემაკავებელი ორდერი ან დამცავი ორდერი.

**შემაკავებელი ორდერი** არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. შემაკავებელი ორდერი გამოიცემა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შემაკავებელი ორდერის ოქმით განსაზღვრული რისკების შეფასების კითხვარის საფუძველზე.

განმეორებითი ძალადობის რისკის სიმძიმე შეიძლება იყოს დაბალი, საშუალო და მაღალი, რომლის განსაზღვრა ხდება შემაკავებელი ორდერის ოქმში მითითებული კითხვებისთვის მინიჭებული ქულების საფუძველზე.

**მაღალი რისკი** სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ მინიმუმ ერთი დადებითი პასუხი ფიქსირდება შემაკავებელი ორდერის ოქმში მითითებულ ისეთ კითხვაზე, რომელსაც მინიჭებული აქვს 5 ქულა;

**საშუალო რისკი** სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ მინიმუმ ერთი დადებითი პასუხი ფიქსირდება შემაკავებელი ორდერის ოქმში მითითებულ ისეთ კითხვებზე, რომელსაც მინიჭებული აქვს 3 ქულა;

**დაბალი რისკი** სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ დადებითი პასუხი ფიქსირდება შემაკავებელი ორდერის ოქმში მითითებულ მხოლოდ ისეთ კითხვებზე, რომელსაც მინიჭებული აქვს 1 ქულა.

როცა სახეზეა განმეორებითი ძალადობის მაღალი ან საშუალო რისკი, ორდერი გამოიცემა 1 თვის ვადით, ხოლო როცა სახეზეა

დაბალი რისკი, ორდერი შეიძლება გამოცემული იქნეს უფრო მცირე ვაღითაც.

**დამცავი ორდერი** არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართლაწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. დამცავი ორდერი გამოიცემა **9 თვემდე** ვადით (ძალაშია 2020 წლის 1 სექტემბრიდან). მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის შეცვლის საკითხს წყვეტს სასამართლო. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია ორდერის მოქმედების პერიოდში და დამატებით არა უმეტეს 3 თვით, თუ არსებობს საფრთხე მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

### **ელექტრონული ზედამხედველობა მოძალადეზე**

2020 წლის 1 სექტემბრიდან ძალაშია კანონში შესული ცვლილება, რომლის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობისას, თუ არსებობს ძალადობის გამოირჩების რეალური საფრთხე, პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს შეუძლია მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიების განხორციელების უზრუნველსაყოფად კანონით განსაზღვრული წესით მოძალადის მიმართ დააწესოს **ელექტრონული ზედამხედველობა**. ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების მიზნით მოძალადისთვის გადაცემული ელექტრონული საშუალება შედგება ელექტრონული სამაჯურისა და მიმღები აპარატისგან. ამ ელექტრონული საშუალების დაზიანება ან განადგურება იწვევს მოძალადისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებას.

**მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია, იურიდიული და სამედიცინო დახმარება და დაცვა** ხორციელდება თავ-შესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში.

**კრიზისული ცენტრი** არის სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მათ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას და სამართლებრივ დახმარებას. კრიზისულ ცენტრში პირის და მასზე დამოკიდებული პირების განთავსება შესაძლებელია მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრამდე და ამ სტატუსის განსაზღვრის შემდეგ, თუ მსხვერპლი არ გამოთქვამს საცხოვრებლად მისი თავშესაფარში განთავსების სურვილს და საჭიროებს მხოლოდ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას და სამართლებრივ დახმარებას თავშესაფარში ცხოვრების გარეშე;

კრიზისული ცენტრი იქმნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო იურიდიული პირის ბაზაზე. არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ შექმნილი კრიზისული ცენტრი უნდა აქმაყოფილებდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბაზაზე არსებული მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას და დაცვას;

**თავშესაფარი** არის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბაზაზე არსებული მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას და დაცვას;

თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსება ხდება 3 თვეში გადით. საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა გაგრძელდება თავშესაფრის წესდებით (შინაგანაწესით) დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსხვერპლს არ სურს სემოადნიშნულ პერიოდზე მეტი სით იქ დარჩენა. თავშესაფარში მოთავსების ვადის ამოწურვის შემდეგ, მსხვერპლის მიმართ საფრთხის არსებობის შემთხვევაში, თავშესაფ-

რის ადმინისტრაცია ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირების უზრუნველ-საყოფად.

მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსების შემთხვევაში მას უნარჩუნდება სამუშაო ადგილი იმავე თანამდე-ბობაზე.

**ვინ უზრუნველყოფს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენას?**

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხ-ვევის გამოვლენას და მასზე შესაბამის რეაგირებას უზრუნველყ-ოფენ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო ორგანოები, აგრეთვე კანონით დადგენილი წესით მსხვერპლის იდენტიფიცირე-ბის ჯგუფი. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის პირველადი იდენტიფიკაციის და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულებების, არასრულწლოვანთა შემთხვევაში აგრეთვე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ **თანამშ-რომლებს** და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს.

**ოჯახში ძალადობა და არასრულწლოვნები.**

**სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომელთა პასუხისმგებ-ლობა**

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვე-თის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში სპაციალური თავის ეძღვნება ოჯახში ძალ-ადობისაგან არასრულწლოვნის დაცვის სპეციფიკურ დონისძიებებს (თავი IV)

კანონის მუხლი 14 -ის თანახმად, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილებით დამტკიცდა

**„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები“.**

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების **მიზანია** ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმის-გან დაცვის ხელშეწყობა, რეფერირების პროცედურების კოორდინირებული და უფასებიანი სისტემის ჩამოყალიბების გზით.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემა მოიცავს:

- ა) ძალადობის მსხვერპლი ბავშვის **გამოვლენას;**
- ბ) ბავშვის მდგომარეობის **შეფასებას;**
- გ) ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების **ინფორმირებას;**
- დ) საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის **განცალკევებასა და განთავსებას** ბავშვთა სათანადო სპეციალიზებულ დაწესებულებები/თავშესაფარში/ მინდობით აღზრდაში, რომელიც ხელს შეუწყობს მის უსაფრთხოებასა და რეაბილიტაციას;
- ე) ძალადობის შემთხვევაზე **ზედამხედველობას.**

**რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტები არიან:**

- ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი დანაყოფები (შემდგომში - პოლიცია);
- ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დაწესებულებები და ამ სამინისტროთა სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული/მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები;

- გ) საქართველოს პროცერატურა;
- დ) სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;
- ე) საბაგშვილის ბაღები;
- ვ) სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური (შემდგომში - მანდატურის სამსახური);
- ზ) საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- თ) ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები და თავშესაფრთხის;
- ი) სამედიცინო სერვისების მიმწოდებლები (მათ შორის, სოფლის ექიმები);
- კ) ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გამგეობა/მერია.

**ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა ყვალება ყველა ზემოქამოთვლილ დაწესებულებასა და ორგანოს, რომელსაც შეხება აქვს ბავშვებთან ან/და მათ ოჯახებთან ან იმ გარემოსთან, სადაც ბავშვი იმყოფება.**

### **სამედიცინო სერვისების მიმწოდებლების უფლებამოსილებები ბავშვთა დაცვის (რეფერირების) მექანიზმი**

სამედიცინო სერვისების მიმწოდებლები (მათ შორის, სოფლის ექიმები) რეფერირების

**პროცედურების ფარგლებში:**

- ა) ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენისას აანალიზებენ შემთხვევას და საფუძვლიანი ეჭვის გაჩენისას დაუყოვნებლივ უზუნველყოფენ სააგენტოსა და პოლიციის ინფორმირებას;
- ბ) უზრუნველყოფენ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ბავშვზე ძალადობის შემთხვევის სწორ მართვას, რაც გულისხმობს;
- ბ.ა) შეფასების შედეგების ზუსტ დოკუმენტირებასა და კონფიდენციალურობის დაცვას;

- ბ.ბ) შესაბამისი სამედიცინო ტესტების დროულად ჩატარებას;
- ბ.გ) ბავშვზე ძალადობის შედეგების, აგრეთვე სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკების შეფასებას;
- ბ.დ) პრევენციული ზომების გატარებას, მათ შორის, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელობა/სხვა პასუხისმგებელ პირთა განათლებას/ინფორმირებას ბავშვის განვითარებასა და ბავშვზე ზრუნვის საკითხებზე;
- ბ.ე) სოციალური მომსახურების სააგენტოთან თანამშრომლობით ზედამხედველობის განხორციელებას ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე.

**ბავშვზე საგარაულოდ განხორციელებულ ძალადობაზე** შესაძლოა მიუთითებდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთი ან რამდენიმე ფაქტორი:

- ა) **ბავშვზე სხეულის დაზიანების ნიშნების არსებობა** (სხვადასხვა ფერის სილურჯეები, სხვადასხვა ხარისხის ჭრილობები და ნაკარგები, იარები, გაძნელებული სიარული, სხეულის შეშუპებული ნაწილები, მოტეხილობები, დამწერობის კვალი, კოპქბი და სხვა სახის დაზიანებები);
- ბ) **ბავშვი იქცევა საჭიროდ** (ბავშვი აღგზნებულია, დათრგუნულია, აქვს შიშები, არ უნდა სახლში დაბრუნება, რადიკალურად შეცვალა ხასიათი და სხვ);
- გ) **ბავშვი არ დაღის ან/და არარეგულარულად დაღის საგანმანათლებლო ან/და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებაში;**
- დ) ბავშვი არ არის რეგისტრირებული ან ბავშვს არ აქვს დაბადების მოწმობა, აგრეთვე არ არის პედიატრის/ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ;
- ე) **ბავშვი მოუვლელია,** მნიშვნელოვნად ჩამორჩება ფიზიკურ განვითარებაში, ბავშვს აქვს მოუწესრიგებელი გარეგნული იერსახე – უსუფთაო სახე და სხეული, აცვია ჭუჭყიანი ან/და

- სეზონისთვის შეუფერებელი ტანსაცმელი, იკვებება საჭმლის ნარჩენებით;
- ვ) **ასაკის შეუფერებლად დროს** ატარებს უმეთვალყურეოდ, საცხოვრებელი გარემო შეიცავს საფრთხეებს ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის, ცხოვრობს ბავშვთა ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად;
- ზ) **ჩართულია ისეთ შრომით საქმიანობაში,** მათ შორის, წვრილმან ვაჭრობაში, რომელიც იწვევს მისი საბაზისო უფლებების (განათლების, ჯანსაღი ფიზიკური და მენტალური განვითარების) შეზღუდვას;
- თ) **ბავშვი გამოყენებულია და ჩაბმულია** მისი ასაკისათვის შეუფერებელ სამუშაოში ან/და ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში (ითხოვს მოწყალებას/მათხოვრობს, არაგონივრულად დიდ დროს ატარებს ქუჩაში);
- ი) **ბავშვი ხშირად გადაადგილდება უცხო პირთან/პირებთან ერთად** ნათესავის ან ახლობლის გარეშე ან იმყოფება უცხო პირების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ან/და უწევს მათ მომსახურებას;
- კ) **ბავშვის სათამაშოები, საწოლი, ტანისამოსი** ან სხვა ნივთები აღმოჩენილია შეუფერებელ ადგილებში (მათ შორის, ქარხანა ან/და სხვ), ადამიანით ვაჭრობისათვის (ტრეფიკინგისათვის) რისკის შემცველ დაწესებულებებში;
- ლ) **ნებისმიერი სხვა ფაქტორი,** რომელიც შესაძლოა მიუთითებდეს ბავშვზე ძალადობაზე

ძალადობის ეჭვის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირები აწარმოებენ ფაქტის შესწავლას, რათა დადგინდეს, **საფუძვლიანია თუ არა წარმოქმნილი ჰქვა.**

**საფუძვლიანი ჰქვა შესაძლებელია წარმოიშვას, თუ არსებობს შემდეგი გარემოებები:**

- ა) ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;

- ბ) ბავშვის მიერ ტრაგმის მიზეზების ახსნის შეუძლებლობა;
- გ) მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;
- დ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური ქცევა, როგორიცაა:
- დ.ა) ბავშვის ტრაგმის სიმბიმის შეუსაბამობა ტრაგმის მიღების შესახებ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობთან;
- დ.ბ) ბავშვის ტრაგმის სიმბიმის შეუსაბამობა ტრაგმის მიღების შესახებ სხვადასხვა პირთა მონათხრობებს შორის;
- დ.გ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობის დეტალების მუდმივი ცვლილება;
- დ.დ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური რეაგირება ბავშვის ტრაგმაზე;
- დ.ე) ბავშვის მიერ ტრაგმის მიზეზის აუხსნელობა;
- ე) სხვა გარემოებები, რომლებიც მაღალი ალბათობით ქმნის საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ბავშვზე განხორციელდა ძალადობა.

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სამედიცინო სერვისების მიმწოდებლები (მათ შორის, სოფლის ექიმები) სამედიცინო მომსახურების გაწევასთან ერთად, ბავშვზე ძალადობის თაობაზე ეჭვის არსებობისას ახდენენ ბავშვზე ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაციას, ძალადობის შედეგების და უსაფრთხოების რისკის შეფასებას, შეფასების შედეგების ზუსტ დოკუმენტირებას და კონფიდენციალურობის დაცვას. ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში სავალდებულოა შეტყობინების გაგზავნა სააგენტოსა და პოლიციაში.

**რეფერირების პროცედურების ფარგლებში ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებებში, სამედიცინო დაწესებულებებსა და თაგვესაფრებში განთავსებული ბავშვების რეგისტრაცია და ინფორმაციის სააგენტოსათვის მიწოდება**

1. რეფერირების პროცედურების ფარგლებში ბავშვის სპეციალიზებულ ან სამედიცინო დაწესებულებაში ან თაგვშესაფარში განთავსებისთანავე, დაწესებულება ვალდებულია, აღრიცხოს ბავშვის შესახებ მონაცემები დადგენილი წესის შესაბამისად.
2. დაწესებულება, სადაც მოხდება ბავშვის განთავსება, ვალდებულია, ინფორმაცია ახლად შესულ ბავშვზე **სატელეფონო საშუალებით აცნობოს** სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს იმავე სამუშაო დღეს, ხოლო თუ განთავსება მოხდა არასამუშაო საათებში - მომდევნო სამუშაო დღეს.

**რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტები, მათ შორის სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები, სადაც ბავშვი რეგისტრირებულია ამბულატორიული სერვისის მისაღებად, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული არიან**

- a) სააგენტოსთან შეთანხმებით, თვალყური ადევნონ ბავშვის მდგომარეობას და რეგულარულად მიაწოდონ სააგენტოს სოციალურ მუშაკს წერილობითი ანგარიში ბავშვის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ. ანგარიში უნდა მოიცავდეს:
- a.a) ბავშვის საგაკვეთოლო პროცესზე დასწრებას;
- a.b) ბავშვის აკადემიურ მოსწრებას;
- a.c) ბავშვის ქცევებზე ჩანაწერებს;
- a.d) ბავშვის ჯანმრთელობის, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოგური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას;
- a.e) მონაცემებს სხვა აქტივობებში ჩართვის შესახებ;
- b) მიაწოდოს ინფორმაცია პოლიციას მოძალადის მიერ ბავშვთან კავშირის დამყარების მცდელობის შესახებ, თუ გამო-

წერილია შემაკავებელი ან დამცავი ორდერები და საგან-მანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები, საბავშვო ბაზი ან ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულება გახდა მოძალადის მიერ ბავშვთან კავშირის დამყარების მცდელობის მოწმე.

**ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და შესაბამისი ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდების გალდებულების შეუსრულებლობა**

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულებების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის მიწოდების გალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

● **საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.**

მუხლი 172.

**ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და შესაბამისი ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდების გალდებულების შეუსრულებლობა**

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულებების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების გალდებულების შეუსრულებლობა

გამოიწვევს შესაბამისი ფიზიკური პირის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 50 ლარიდან 100 ლარამდე ოდენობით, შესაბამისი დაწესებულების (იურიდიული პირის) დაჯარიმებას 100 ლარიდან 200 ლარამდე ოდენობით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2020 წლის 14 ივნისის №01-81/6 ბრძანებით** დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ გამოსაყენებელი აღმინისტრაციული სამართლდარღვევის ოქმის ფორმა.

აღნიშნული ფორმის გამოყენება მოხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ **ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების გადაწესებულების შეუსრულებლობისას.**

## V

## დამატებითი მასალები

### ოჯახური სიტუაციის შეფასება ძალადობის მხრივ

ქვემოთ მოცემულია კითხვარების მაგალითი, რომელიც დაგვეხმარება გავიგოთ, თუ რა სიტუაციაშია პაციენტი

ოჯახში ძალადობა ძალიან გავრცელებული პრობლემაა და ის დიდ საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას. ამიტომაც რუტინულად უნდა დაგვესვათ ყველა პაციენტს შეკითხვები ოჯახში ძალადობის პრობლემაზე. გთხოვთ, გვიპასუხოთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე, რომლებიც დაგვეხმარება ოჯახური სიტუაციის გამოაშკარავებაში. გთხოვთ, გვიპასუხოთ დეტალურად.

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია არის სამედიცინო საბუთების ნაწილი და თქვენი თანხმობის გარეშე ის გამოყენებული არ იქნება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა:

1. გრძნობთ თუ არა საფრთხეს საკუთარ სახლში? დიახ/არა
2. მომხდარა თუ არა, რომ თქვენს პარტნიორს ან ახლობელს:
  - უბიძგია, შემოურტყამს? დიახ/არა
  - ხელები შემოუხვევია დახრჩობის მიზნით? დიახ/არა
  - გემუქრებათ, რომ მოგელავთ ან დაგასახიჩრებთ? დიახ/არა
  - შეურაცხყოფას გაყენებთ? დიახ/არა
  - გაიძულებთ მასთან სექსუალური კავშირის დამყარებას? დიახ/არა
  - გაიძულებთ ისეთი სექსუალური აქტების შესრულებას, რომელსაც თქვენ არ ეთანხმებით? დიახ/არა
  - გემუქრებათ, რომ წაგარომევთ ყველაფერს (ბავშვებს, ფულს, სახლს)? დიახ/არა
  - ისე იძალადეს ფიზიკურად თქვენზე, რომ სამედიცინო ჩარევა დაგჭირდათ? დიახ/არა

3. გინდათ თუ არა, შეხვდეთ სპეციალისტს, რომელსაც თქვენი ოჯახური მდგომარეობის შესახებ მოუყვებოდით? დიახ/არა
4. გინდათ თუ არა დამატებითი ინფორმაციების მიღება ოჯახში ძალადობის შესახებ? დიახ/არა
5. იცით თუ არა უახლოესი ცენტრი, სადაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება ხდება? დიახ/არა
6. ოდესმე თუ თქვენზე განხორციელდება ძალადობა, იცით თუ არა, სად უნდა ითხოვოთ დახმარება? დიახ/არა

### **უსაფრთხოების შეფასება**

**უსაფრთხოების შეფასების მიზნით შესაძლებელია ქვემოთ მოყვანილი კითხვების გამოყენება:**

- პარტნიორის მხრიდან ძალადობრივი შემოტევა უფრო და უფრო მძიმდება?
- ძალადობამ ბოლო დროს უფრო მეტად იჩინა თავი?
- უცდია თუ არა მოძალადეს თქვენი დახმარება?
- გაქვთ თუ არა სახლში რაიმე სახის იარაღი: დანა, პისტოლეტი ან სხვა სახის ციფი და ცეცხლსასროლი იარაღი?
- დაგმუქრებიათ თუ არა პარტნიორი, რომ მოგადავდათ?
- როგორ ფიქრობთ, პარტნიორს მართლა შეუძლია თქვენი დასახიჩრება ან თავის მოკვლა?
- სექსუალური ურთიერთობების დროს მიმართავს თუ არა პარტნიორი ძალადობას?
- არის თუ არა პარტნიორი ეჭვიანი და ფიქრობს თუ არა, რომ თქვენ მას ყოველ ნაბიჯზე დალატობთ?
- დაგმუქრებიათ თუ არა პარტნიორი საკუთარ თავზე რაიმე ცედის გაკეთებით ან თვითმკვლელობით?

უსაფრთხოებაზე საუბრის დროს შესაძლებელია შემდეგი კითხვების გამოყენება:

- შეგიძლიათ თუ არა დღეს უსაფრთხოდ დაბრუნდეთ სახლში?
- თუ ამჯობინებთ დღეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავ-შესაფარში დარჩენას?
- რა გარემოებამ შეიძლება გაგრძნობინოთ თავი უსაფრთხოდ?
- განსაკუთრებით რა გადელებები ბავშვებისა და თქვენს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით?
- ბავშვებისა და საკუთარი თავის უსაფრთხოების მიზნით წარსულში რა მოიმოქმედეთ (სახლიდან წახვედით რამდენიმე დღით, ოჯახის სხვა წევრებისგან და მეგობრებისგან ითხოვეთ ნუებში, დაიწყეთ ბრძოლა და ა.შ.)?
- ამ ქმედებებიდან რომელიმემ პოზიტიური შედეგი გამოიღო? რომელიმე ქმედება შეიძლება უკვე დღეს აღმოჩნდეს სასარგებლო?

### **შეკითხვები ძალადობის ფორმებსა და ინტენსიურობაზე**

დიაგნოზის დასმის მიზნით შესაძლებელია შემდეგი კითხვების დასმა:

#### **● ფიზიკური ძალადობა:**

გახსენდებათ თუ არა თუნდაც ერთი მოვლენა, როცა პარტნიორ-მა ხელი გკრაო? მომხდარა თუ არა ოდესმე, რომ პარტნიორმა კარი ჩაკეტა და ოთახიდან გასვლის საშუალებას არ გაძლევდათ? უსვრია თუ არა თქვენთვის პარტნიორს ოდესმე რამე? პარტნიორს ხელი თუ ამოუტრიალებია თქვენთვის ოდესმე? პარტნიორს უცდია თუ არა ოდესმე დაეხრჩვეთ?

#### **● ფსიქოლოგიური ძალადობა:**

თქვენი პარტნიორი საუბრის დროს იყენებს თუ არა თქვენს მიმართ შეურაცხმყოფელ სიტყვებს? ხშირად გაქვთ თუ არა იმის

შეგრძნება, რომ არაფერი გამოგდით ცხოვრებაში? პარტნიორი გიპ-რძალავთ თუ არა ახლობლებთან და ოჯახის სხვა წევრებთან შეე-ვეღრას? აუკრძალავს თუ არა შეხვედრები? როცა ჩეუბი იწყება, პარტნიორის რეაქცია როგორია? გაშინებთ თუ არა პარტნიორი? როგორ გაშინებთ? უთქვაშს თუ არა პარტნიორს თუნდაც გაკვრით, რომ მოგვლავდათ თქვენ, ბავშვებს და თვითმკვლელობასაც განახ-ორციელებდა?

### ● სექსუალური ძალადობა:

გაიძულებთ თუ არა პარტნიორი სექსუალურ ურთიერთობას? მომხდარა თუ არა ერთხელ მაინც, რომ პარტნიორი შეეცადა, თქვენ შეგრცხებიდათ სექსუალური აქტის დროს? გაიძულებთ თუ არა პარტნიორი სექსუალური აქტის განხორციელებას იმ შემთხვევაშიც კი, როცა თქვენ ეს არ გხურთ? ცდილობს თუ არა პარტნიორი თქვენს წინააღმდეგ ბავშვების გამოყენებას? უთქვაშს თუ არა პარტ-ნიორს თქვენთვის, რომ ბავშვებს წაგართმევთ ან მათ დაასახირებს, თუ თქვენს მას მიატოვებთ?

### ● გეონომიკური ძალადობა:

პარტნიორი გიქრძალავთ თუ არა საყიდლების გაკეთებას? გართ-მევთ თუ არა ფულს? პარტნიორი მონაწილეობს თუ არა ბავშვების ფინანსურ უზრუნველყოფაში? უზრუნველყოფს თუ არა ოჯახის ელემენტარული საჭიროებების დაკმაყოფილებას?

ასევე დირს დავსვათ ისეთი კითხვები, რომლებიც დაგვეხმარება გამოვაშკარავოთ ძალადობის როგორც სიხშირე, ასევე ინტენსი-ურობა:

- შეგიძლიათ თუ არა აღწეროთ პირველი ინციდენტი, როდესაც პარტნიორმა დაგარტყათ ან დაგაშინათ? როდის ჰქონდა მას ადგილი?
- შეგიძლიათ თუ არა აღწეროთ ყველაზე გამორჩეული ძა-ლადობა, როცა ძალიან შეგემინდათ და ვერ დამშვიდდით?

- შეგიძლიათ აღწეროთ ბოლო ინციდენტი?
- რამდენად ხშირად აქვს პარტნიორის მხრიდან ძალადობას ადგილი? არ აქვს მნიშვნელობა, რა ტიპის ძალადობაა (ფიზიკური, გმოციური თუ სექსუალური)

### კითხვები, რომელიც დაგეხმარება ძალადობის შეფასებაში

უპანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში შეამჩნიეთ თუ არა საჯეოთარ თავში შემდგენ პრობლემები:

- ძილის პრობლემა, ღამით გაღვიძება, კოშმარული სიზმრები;
- ყოველდღიურ საქმეებზე - როგორებიცაა: ტელევიზორის ყურება, ან წიგნის კითხვა - ინტერესისა და კონცენტრაციის დაკარგვა;
- დეპრესიის, მწეხარების, გულგრილობის და ინტერესის არარსებობის შეგრძნება;
- მადის დაკარგვა ან პირიქით - მოჭარბება;
- გადაჭარბებული დაღლილობა;
- ალკოჰოლის ან დამამშვიდებელი წამლების მიღების ინტენსივობის გაზრდა;
- შეგრძნება, რომ არაფერი გამოგდით;
- ხერხემლისა და სახსრების ტკივილი;
- საშარდე გზების ქრონიკული ინფექციები;
- გენიტალური ტრაქტიდან მტკიცნეული ან ინტენსიური სისხლდენა;
- მტკიცნეული სექსუალური ურთიერთობები.

- საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. 25.05.2006.

<https://matsne.gov.ge/document/view/26422?publication=17>

- საქართველოს მთავრობის დადგენილება №437. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე. 2016 წლის 12 სექტემბერი.

<https://matsne.gov.ge/document/view/3394478?publication=2>

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება ბრძანება №01-81/ნ- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ გამოსაყენებელი აღმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ. 14/07/2020

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4916629?publication=0>

- ამონარიდი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან

### **მუხლი 126 1. ოჯახში ძალადობა**

- ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანგაუ ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი,
- ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდათ საათამდე ან თავისუფლების

აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

**2. იგივე ქმედება, ჩადენილი:**

- წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;
- არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წვერის მიმართ;
- გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;
- დ) ჯიგურად;
- ე) არაერთგზის, –

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

**მუხლი 133. უკანონო აბორტი**

**1. უკანონო აბორტი,**

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან სამას საათამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ორ წლამდე.

**2. იგივე ქმედება, ჩადენილი უკანონო აბორტისათვის მსჯავრდებულის მიერ, ან რამაც გამოიწვია შვილოსნობის სამუდამო მოშლა ან სხვა მძიმე შედეგი,**

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან/და საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

**3. უკანონო აბორტი, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა,**

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე, თანამდებობის დაკავების ან/და საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

### **მუხლი 133 1. სტერილზაცია თანხმობის გარეშე**

1. წინასწარი თანხმობის გარეშე პირისთვის ისეთი ოპერაციის ან მანიპულაციის ჩატარება, რომლის მიზანი ამ პირის რეპროდუქციის უნარის მოშლაა, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
  - ა) ჯგუფურად;
  - ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;
  - გ) არაერთგზის, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.
3. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თერთმეტ წლამდე.

### **მუხლი 133 2. ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება**

1. რელიგიური, რიტუალური, ეთნიკური ან სხვა ტრადიციის გავლენით ან ამგვარი გავლენის გარეშე ქალის სასქესო ორგანოების მთლიანად ან ნაწილობრივ ამოკვეთა, ინფიბულაცია ან სხვაგვარი დასახიჩრება, ან ქალის იძულება ან დაყოლიება, ჩაიტაროს ამგვარი ოპერაცია, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
  - ა) ჯგუფურად;
  - ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;
  - გ) არაერთგზის, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

3. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თერთმეტ წლამდე.

### **მუხლი 137. გაუპატიურება**

1. გაუპატიურება, ესე იგი პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური სასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით,  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან რვა წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.
2. იგივე ქმედება:  
ა) ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;  
ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი,  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან ათ წლამდე,  
იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.
3. იგივე ქმედება, ჩადენილი:  
ა) არაერთგზის;  
ბ) იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი პქონდა ამ კოდექსის 138-ე-141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული;  
გ) ჯგუფურად;  
დ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;  
ე) დამნაშავის მზრუნველობის, მეურვეობის ან მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირის მიმართ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით გადით ათიდან ცამეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

#### 4. იგივე ქმედება:

- ჩადენილი დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ განსაკუთრებული სისახტით;
- რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა;
- ჩადენილი წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით გადით თხუთმეტიდან ოც წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

#### **მუხლი 138. სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება**

- სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რომელიც არ შეიცავს ამ კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით გადით ოთხიდან ექვს წლამდე.

#### 2. იგივე ქმედება:

- ჩადენილი არაერთგზის;
- ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- ჩადენილი ჯგუფურად;
- ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულ-წლოვნის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;
- ჩადენილი იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 137-ე, 139-ე, 140-ე და 141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული;
- ჩადენილი დამნაშავის მზრუნველობის, მეურვეობის ან მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირის მიმართ;

ზ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი,  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.

3. იგივე ქმედება:

- ჩადენილი დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ განსაკუთრებული სისახტით;
- რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა;
- ჩადენილი წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწევლთან, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე.

**მუხლი 139. პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება**

- პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება, ჩადენილი ქონებრივი დაზიანების, სახელის გამტები ინფორმაციის, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან ისეთი ცნობის გახმაურების მუქარით, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს ამ პირის უფლება, ანდა დაზარალებულის უმწოდის ან მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით,  
ისჯება ჯარიმით ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამწლამდე.

2. იგივე ქმედება:

- რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი,  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- არაერთგზის;

- ბ) იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი პქონდა ამ კოდექსის 137-ე, 138-ე, 140-ე და 141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული;
- გ) ჯგუფურად;
- დ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;
- ე) დამნაშავის მზრუნველობის, მეურვეობის ან მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირის მიმართ, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე.

4. იგივე ქმედება:

- ა) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა;
- ბ) ჩადენილი წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე.

#### **მუხლი 140. სექსუალური ხასიათის შეღწევა თექსმეტი წლის ასაკს მიუღწეველის სხეულში**

1. სრულწლოვნის სექსუალური ხასიათის შეღწევა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში,  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ცხრა წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:  
ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;  
ბ) ჯგუფურად;  
გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;  
დ) არაერთგზის, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან ათ წლამდე.

### **მუხლი 141. გარევნილი ქმედება**

1. ძალადობის გარეშე სრულწლოვანის გარევნილი ქმედება დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ,  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ცხრა წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
  - ა) დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;
  - ბ) ჯგუფურად;
  - გ) არაერთგზის;
  - დ) ორი ან მეტი პირის მიმართ;
  - ე) იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 137-ე 140-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული;
  - ვ) დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ;
  - ზ) ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით,  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე. (ამოქმედდეს 2020 წლის 3 აგვისტოდან)

### **მუხლი 150 1. ქორწინების იძულება**

1. ქორწინების (მათ შორის, არარეგისტრირებულის) იძულება,  
ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით  
ორასიდან ოთხას საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით  
ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
  - ა) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ;
  - ბ) არაერთგზის, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე,

იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისობიდ.

### **მუხლი 151. მუქარა**

1. სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუტნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში,

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით გადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- a) ჯგუფურად;
  - b) არაერთგზის;
  - c) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსულის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან არასრულწლოვნის მიმართ,
- ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას სამოცდაათიდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

### **მუხლი 151 1. აღევნება**

1. პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი, ან არსასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და

ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვ-  
რების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიტულებს ან მისი  
მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის, –  
ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო  
შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა თავი-  
სუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავ-  
შირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის,  
უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლო-  
ბის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;
- ბ) ჯგუფურად;
- გ) არაერთგზის;
- დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, –  
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამ-  
დე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან  
უამისოდ.